საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№30 (454)
15 აგვისტო - 4 სექტემბერი, 2018

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 5 სექტემბერს**

## «ქადქები კი არ მიდიან, ქადქები მოდიან!» 2



## ბედაური თუ ჯაგლაგი – არჩევანი აი ეს არის! მაგრამ სად არის ბედაური?

«არჩევნების ჩატარებას სჯობს, ლატარია გავათამაშოთ, ეს უფრო ეკონომიური იქნება. ყველა კანდიდატმა იყიდოს ათასი ლარის ლატარიის ბილეთი, ჩაყაროს დოლურაში და 28 ოქტომბერს ეს დოლურა დავატრიალოთ, ვისი გვარიც ამოვა, ის იქნება პრეზიდენტი. დამიჯერეთ, ეს უფრო დემოკრატიული პროცესი იქნება მოცემულ ვითარებაში» 3



## ნეოლიბერალი ხლისტების ღირებულება-ფასეულობები და ღვთის უარყოფა თუ კონსერვატიულ-ტრადიციული იდეოლოგია, რომლის ერთადერთი დამცველიც მსოფლიოში მართლმადიდებელი რუსეთია 4



## მისი უდიდებულესობა მუშათა კლასი 17



## ლომჯარიას «ლიბერალური» ისტერიკა – «ოჯახის უფროსობა» დისკრიმინაციაა 6

## რა მორალზე უნდა გველაპარაკოს შვილის ნათლიაზე გათხოვილი ქალი?! 7

რომელი კრიტერიუმით უნდა შევაფასოთ, საზოგადოდ, ქართველებმა და კონკრეტულად, სალომე ზურაბიშვილმა, რა არის მორალური და რა ამორალური

## რატომ არ ჩამოაგდეს ამერიკელებმა ატომური ბომბი ტოკიოში 20

## ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**იქნებ გვიპასუხონ ამ ძალიან „დამოუკიდებლებმა“: თუკი არასოდეს ცეკვავენ სხვის დაკრულზე და ვერავინ ვერასოდეს უბედავს მათთვის მიუღებელი ნება-სურვილის თავს მოხვევას, მაშ, რას და რატომ აკეთებდნენ ისინი 2004-2012 წლებში? განსაკუთრებით საინტერესოა მათი „მოღვაწეობა“ 2008 წლის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც სააკაშვილის მანიაკებმა დაარბიეს და დახოცეს ხალხი, აშკარა გახდა სანდრო გირგვლიანისა და სისხლიანი რეჟიმის სხვა მსხვერპლთა ამბები, ციხეებში პატიმართა გაუგონარი წამების ფაქტები. აი ამის შემდეგ ეს ადამიანები საკუთარი ნებითა და სურვილით კიდევ 4 წელიწადი ემსახურებოდნენ მანიაკებს, ხომ ასე გამოდის?**

# «ქადჟები კი არ მიდიან, ქადჟები მოდიან!»

# ოხ, ეს «დამოუკიდებელი» მომავალი პრეზიდენტები!

**საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის არჩევნები უამრავ სიურპრიზს რომ გვიმზადებდა, ეს ისედაც ცხადი იყო დაკვირვებული თვალისთვის. ჯერ კიდევ ორიოდე წლის წინათ დაიწყეს გარკვეულმა ძალებმა ამ არჩევით თანამდებობაზე ძალიან უცნაური პერსონების დასახელება. მართალია, ყველა დასახელებული პერსონა მხოლოდ სავარაუდო იყო, მაგრამ მოგეხსენებათ, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება და ფაქტი იყო, რომ ყველა პოლიტიკურ ძალას ჩაფიქრებული ჰქონდა, საპრეზიდენტო კანდიდატად „სრულიად ახალი და მოულოდნელი“ ვინმე დაესახელებინა.**

საზოგადოდ, საქართველოში უკვე ყველა ის ძალა, რომლებიც ქართულ პოლიტიკაში მეტ-ნაკლებად ტრიალებენ, გამუდმებით გვთავაზობს „ახალ სახეებს“ და სწორედ ამაზე არის ხოლმე ყველაზე დიდი ბრძოლვნა და იმის მტკიცება, ვის მიერ წარმოდგენილი „სახე“ უფრო „ახალია“. სინამდვილეში ქართული პოლიტიკის „ახალი სახე“ არ არსებობს. ისინი, უბრალოდ, მათ წიაღში ისედაც მყოფ, მაგრამ შედარებით უკანა პლანზე მდგომ პერსონებს გვასაღებენ ხოლმე „ახალ სახედ“.

ხშირად ისეც ხდება, რომ წარმოგვიდგენენ ვინმე ძალიან ნაცნობ და ნათრევ პოლიტიკოსს, რომელიც არასოდეს ყოფილა „ნომერ პირველ“ თანამდებობაზე, თორემ ისე, საკმაოზე მეტი ხანია, საზოგადოებისთვის ცნობილია, და დაჟინებით გვიმტკიცებენ: გინდა თუ არა, ახალი სახე ეს არისო! შორს რომ არ წავიდეთ, აგერ, ამას წინათ, ლეიბორისტმა **გიორგი გუგავამ** დაგვამუნათა, — საპრეზიდენტო არჩევნებში ხმა **შალვა ნათელაშვილს** მიეცით, არ გინდათ ახალი სახე პრეზიდენტადო? შალვა ნათელაშვილი რომ „ახალი სახეა“, ეს დაახლოებით ისეთივე თემაა, როგორც **სალომე ზურაბიშვილია** დამოუკიდებელი საპრეზიდენტო კანდიდატი ან კიდევ 2016 წლის არჩევნებში იყო დამოუკიდებელი მაჟორიტარი. ძალიან საინტერესოა ეს ტენდენციაც — ბოლო პერიოდში ვინც კი დასახელდა პრეზიდენტობის ოფიციალურ კანდიდატად, რომ ჰკითხო, ყველა „დამოუკიდებელია“. ასე განსაჯეთ, **გრიგოლ ვაშაძემაც** კი განაცხადა, მე **მიშა სააკაშვილს** არაფერს ვეკითხები და, მიუხედავად იმისა, რომ თერთმეტმა პოლიტიკურმა პარტიამ წამოაყენა ჩემი კანდიდატურა, მაინც დამოუკიდებელი კანდიდატი ვარო. მეტი დამაჯერებლობისთვის კი დასძინა: ვინც მიცნობთ, ხომ იცით, რომ ჩემი დამორჩილება და ჩემთვის რაიმეს კარნახი, იმის იძულება, რომ ჩემი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ რამე გავაკეთო, გამორიცხული, შეუძლებელი და წარმოუდგენელიაო.

ფაქტობრივად, ანალოგიურ „ოპერას“ მღერის „ევროპული საქართველოს“ კანდიდატი **დავით ბაქრაძეც.** მისი თქმით, არ არსებობს ბუნებაში ადამიანი ან ძალა, რომელიც აიძულებს, გააკეთოს ან თქვას ის, რაც არ სურს.

საკმაოდ იქაჩება „გირჩის“ ლიდერი და აწ უკვე პრეზიდენტობაზე პრეტენზიის მქონე **ზურაბ ჯაფარიძეც** და აცხადებს, რომ ცხოვრებაში მთავარია ადამიანის პიროვნული თავისუფლება, რომ ადამიანმა არავის ნება-სურვილზე არ უნდა იაროს და მხოლოდ ის უნდა გააკეთოს, რაც თვითონ „უსწორდება“ (ასეთი ჟარგონები „ჯაფარას“ უკვე ოფიციალურ გამოსვლებშიც შემოაქვს, რითიც, ალბათ, ცდილობს, ძალიან „თავისუფალი ტიპის“ შთაბეჭდილება დატოვოს და გონებაჩამოუყალიბებელი სტუდენტების დიდი ნაწილი მოხიბლოს).

აი, ასეთი „მაგრები“ და დამოუკიდებლები არიან ხსენებული კანდიდატები, მაგრამ, ამ თავიანთი პიროვნული თავისუფლებისა და ძალიან მაგრობის ეშხში შესულთ, ავიწყდებათ, რომ ამით საკუთარ თავზე ძალიან უარყოფითი ინფორმაციის გავრცელებას უწყობენ ხელს.

აბა, იქნებ გვიპასუხონ ამ ძალიან „დამოუკიდებლებმა“: **თუკი არასოდეს ცეკვავენ სხვის დაკრულზე და ვერავინ ვერასოდეს უბედავს მათთვის მიუღებელი ნება-სურვილის თავს მოხვევას, მაშ, რას და რატომ აკეთებდნენ ისინი 2004-2012 წლებში?** განსაკუთრებით საინტერესოა მათი „მოღვაწეობა“ 2008 წლის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც სააკაშვილის მანიაკებმა დაარბიეს და დახოცეს ხალხი, აშკარა გახდა სანდრო გირგვლიანისა და სისხლიანი რეჟიმის სხვა მსხვერპლთა ამბები, ციხეებში პატიმართა გაუგონარი წამების ფაქტები. აი ამის შემდეგ ეს ადამიანები საკუთარი ნებითა და სურვილით კიდევ 4 წელიწადი ემსახურებოდნენ მანიაკებს, ხომ ასე გამოდის?

იქნებ, მათში „დაუმორჩილებელმა სულმა“ 2012 წლის შემდეგ გაიღვიძა და მხოლოდ მას შემდეგ გახდნენ ასეთი „დაუმორჩილებელი პიროვნებები“? მაშინ ეს ასეც უნდა თქვან, თორემ რომ გაიძახიან, **ვერავინ ვერასოდეს მიმორჩილებდა და ვერავინ ვერასოდეს მამყოფებდა იქ, სადაც ყოფნა არ მინდოდაო, ვერავინ ვერასოდეს გამაკეთებინებდა იმას, რის გაკეთებაც არ მინდოდაო და ვერავინ ვერასოდეს მათქმევინებდა იმას, რის თქმაც არ მინდოდაო... ასე ხომ გამოდის, რომ ისინი სწორედ საკუთარი „ურყევი“ ნებითა და სურვილით იდგნენ მანიაკების გვერდით და ტერმინი „სისტემის მსხვერპლნი“ მათ არ ერგებათ?!** იმედია, მომავალში მაინც გაითვალისწინებენ ამას ამ „დაუმორჩილებელი სულის“ პატრონი კანდიდატების „პიარსამსახურები“.

საქმე არც სალომე ზურაბიშვილის „პიარსამსახურს“ დაელევა, როგორც ეტყობა. ამ ქალბატონის ერთადერთი „დამსახურება“ ერის წინაშე არის ის, რომ იგი **ნინო ბურჯანაძეზე** ცოტა ადრე წამოვიდა **მიშა სააკაშვილის** გარემოცვიდან და ისიც არა რაიმე სერიოზული მიზეზით, არამედ სწორედ „რკინის ნინოსთან“ დაპირისპირების გამო. როგორც იმხანად ამბობდნენ, სალომემ და ნინომ მომდევნო საპარლამენტო არჩევნებში მათთვის სასურველი ადამიანების სიაში ჩასმის გამო იჩხუბეს. ეს იმ ეტაპზე ნინოს გამარჯვებით დასრულდა, რამაც სალომეს „უკვდავი“ ფრაზა ათქმევინა: **„ქადჟები კი არ მიდიან, ქადჟები მოდიან!“**







**როდესაც ადამიანი თვალსა და ხელს შუა გატყუებს და თავხედურად გეუბნება: მე არც ერთ პარტიას არ წარმოვადგენ და დამოუკიდებელი დეპუტატი ვარო, ამ დროს კი მმართველი პარტიის მთელი ადმინისტრაციული რესურსი და აქტივი მის სასარგებლოდ მუშაობს, ვფიქრობ, ეს გაცილებით დიდი შეურაცხყოფაა ამომრჩევლისა, ვიდრე ნებისმიერი სხვა საარჩევნო დარღვევა**

ეტყობა, ეს ფრაზა საბოლოოდ დაებედა ქართულ პოლიტიკას და აგერ უკვე მისი წარმოთქმიდან 10-ზე მეტი წლის შემდეგაც, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებშიც, მოდიან და მოდიან „ქადჟები“ კანდიდატებად; უფრო სწორად, კი არ მოდიან, ბრუნდებიან, წრეზე ტრიალებენ და ისევ ბრუნდებიან დაუსრულებლად.

ვიდრე ზურაბიშვილის „დამოუკიდებლობაზე“ გადავიდოდეთ, მინდა, ორი სიტყვით შევეხო მის უმთავრეს წინასაარჩევნო მესიჯს — „პირველი ქალი პრეზიდენტი საქართველოში“ — და მის დაპირებას, რომ იგი ქალების მეგობარი და დამცველი იქნება. ვერ გეტყვით, რა გავლენას მოახდენს ეს ამომრჩეველი ქართველი ქალების იმ ნაწილზე, რომლებიც **ირაკლი ალასანიას** ტუჩზე ხალის გამო აძლევდნენ ხმას, მაგრამ ფაქტია: **თუ ქალბატონი სალომე ვინმეს დაუპირისპირდა ქართულ პოლიტიკაში, ეს, პირველ რიგში, სწორედ ქალები იყვნენ და ისიც აშკარაა, რომ, როგორც მსოფლიო, ასევე ქართულ პოლიტიკაში „ქალურ სოლიდარობაზე“ მეტად ქალური შური უფრო დომინირებს.**

რაც შეეხება სალომეს „დამოუკიდებლობას“, ეს, ალბათ, უკვე სასაცილოც აღარ არის, რადგან, როგორც დასაწყისშივე აღვნიშნე, 2016 წელს „ქართულ ოცნებას“ მთაწმინდის რაიონში თავისი კანდიდატი რომ დაეყენებინა და სალომე ზურაბიშვილისთვის არ დაეჭირა მხარი, საეჭვოა, იგი პარლამენტში მოხვედრილიყო. უფრო ზუსტად, უეჭველია, რომ რეალურად დამოუკიდებელ სალომე ზურაბიშვილს ხმების 5 პროცენტის მოგროვებაც კი ძალიან გაუჭირდებოდა.

პირდაპირ ვთქვათ: ნორმალური ამომრჩევლისთვის სწორედ ასეთი აფერისტული მოქმედებები უნდა იყოს გაცილებით გამაღიზიანებელი, ვიდრე თუნდაც ყველაზე სახელგატეხილი პარტიის მიერ კანდიდატად ოფიციალურად წამოყენება. **როდესაც ადამიანი თვალსა და ხელს შუა გატყუებს და თავხედურად გეუბნება: მე არც ერთ პარტიას არ წარმოვადგენ და დამოუკიდებელი დეპუტატი ვარო, ამ დროს კი მმართველი პარტიის მთელი ადმინისტრაციული რესურსი და აქტივი მის სასარგებლოდ მუშაობს, ვფიქრობ, ეს გაცილებით დიდი შეურაცხყოფაა ამომრჩევლისა, ვიდრე ნებისმიერი სხვა საარჩევნო დარღვევა.**

რამ განაპირობა ეს შედეგი, ესეც ნათელია: საქართველოში პოლიტიკურმა პარტიებმა ისე გაიტეხეს სახელი, ისე გაუფასურდნენ და „გაფარჩაკდნენ“, რომ უკვე საკუთარ თავსაც აღარ ენდობიან და ცდილობენ, თავიანთი კანდიდატები, გინდაც საპარლამენტო და გინდაც საპრეზიდენტო არჩევნებში, მაქსიმალურად „დამოუკიდებელ“ ადამიანებად გაასაღონ. ნებისმიერი პარტიის წევრობა ან კიდევ რომელიმე პარტიის წარმომადგენლობა და აქტივისტობა ძალიან სამარცხვინოდ და „ბანძობად“ არის მიჩნეული.

**გარკვეული ძალები კი, ნაცვლად იმისა, რომ ზოგადი სიტუაცია გამოასწორონ და გადადგან ისეთი ნაბიჯები, რომლებითაც პოლიტიკურ პარტიებს სასტიკად შელახული რეპუტაცია გამოუსწორდებათ, ამჯობინებენ „მარტივ“ გზას — გაცვეთილი, ნათრევი და ამავე პარტიებზე არანაკლებად რეპუტაციაშელახული ოდიოზური ფიგურები ხალხს „ახალ სახეებად“ შეტენონ. ნუ გაგიკვირდებათ, ხვალ შალვა ნათელაშვილმაც რომ განაცხადოს: ლეიბორისტული პარტია არაფერ შუაშია, მეც დამოუკიდებელი კანდიდატი ვარო.**

უკვე ვამთავრებდი ამ სტატიის წერას, როდესაც სანფორმაციო სააგენტოებმა ორი ძალიან საინტერსო ინფორმაცია გაავრცელეს. პირველი — პრეზიდენტის წლევანდელი არჩევნები სარეკორდო იქნება იმ მხრივ, რომ მასში პრეზიდენტობის ყველაზე მეტი მსურველი მიიღებს მონაწილეობას. არჩევნებამდე 75 დღით ადრე უკვე 15 კანდიდატია რეგისტრირებული და საბოლოოდ 40-მდე კანდიდატს ელიან. და მეორე — ორგანიზაცია „გირჩის“ ლიდერი ზურაბ ჯაფარიძე იუსტიციის სახლს მიმართავს და ოფიციალურ დოკუმენტებში ე.წ. მიდლ-ნეიმის („მეორე სახელის“) ჩამატებას აპირებს, რის შემდეგაც იგი ზურაბ-გირჩი ჯაფარიძე გახდება.

ეს საჭირო შეიქნა იმისთვის, რომ ორგანიზაცია „გირჩი“ წინა არჩევნებზე ჯერ კიდევ არ იყო რეგისტრირებული და მას არ აქვს უფლება, წარადგინოს კანდიდატი, ამიტომ, საარჩევნო ბიულეტენში „გირჩი“ რომ ჩაიწეროს, „ჯაფარამ“ ეს გამოსავალი მონახა. აქვე აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობით მოქალაქეს არ აქვს უფლება, მეორედ შეიცვალოს სახელი, ამიტომ ზურაბ-გირჩი ჯაფარიძე მას სიცოცხლის ბოლომდე დარჩება სახელად. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ გაიძვერა ტიპს უკვე ბევრი გონებაჩლუნგი სტუდენტი **ვაჟა-ფშაველასაც** ადარებს (რომელიც თურმე ლობიოში „პლანს“ ყრიდა და ისე ქმნიდა შედევრებს), მოსალოდნელია, რომ ახლო მომავალში დაბადებულ ბიჭებს მოსახლეობამ მასობრივად „გირჩი“ დაარქვას სახელად, ისევე, როგორც ვაჟა-ფშაველამ დაამკვიდრა საქართველოში მასობრივად მანამდე არარსებული სახელი „ვაჟა“...

ხუმრობის გარეშე კი, საპრეზიდენტო კანდიდატების სიას რომ გადავხედე, ფაქტობრივად, ყველა მათგანს მოუხდებოდა „მიდლ-ნეიმად“, ანუ მეორე სახელად „გირჩის“ ჩამატება...

მაშ, ასე: წინ სარეკორდო საპრეზიდენტო არჩევნებია!

„ასეთი არჩევნები ნიჰილიზმს აჩენს. ჩვენ არ ვენდობით ენ-დი-აის კვლევებს, მაგრამ ამ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ვიცით, რომ მოსახლეობის 70 პროცენტზე მეტი არჩევანის გარეშეა დარჩენილი. არავინ მოსწონთ და არავინ უნდათ. არ ენდობიან არავის, რადგან მოტყუებულები არიან, ამიტომ სწორი იქნება ლატარიის გათამაშება — გადაიხადონ და ხმას გადავუგდებთ. ჩვენ გვყავს პოლიტიკურ სტაგნაციაზე ორიენტირებული ხელისუფლება, სტაგნაციას კი დასასრული აქვს, რამეს თუ არ შეცვლიან, არაფერი გამოვა“.

რაკურსი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



გია ხუხაშვილი:

# ყველა კანდიდატმა იყიდოს ათასი ლარის ლატარიის ბილეთი, ჩაყაროს დოლურაში და 28 ოქტომბერს ეს დოლურა დავატრიალოთ, ვისი გვარიც ამოვა, ის იყოს პრეზიდენტი

**შემოდგომაზე მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები უნდა გაიმართოს. უკვე ცნობილია, რომ მმართველი გუნდი საპრეზიდენტო კანდიდატს არ დაასახელებს და მხარს დაუჭერს დამოუკიდებელ კანდიდატს, პარლამენტის წევრ სალომე ზურაბიშვილს, თუმცა „ქართულ ოცნებას“ ეს ინფორმაცია საჯაროდ არ დაუდასტურებია.**



წარმოდგენილ კანდიდატებს შორის არიან: „ნაციონალური მოძრაობიდან“ — ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი **გრიგოლ ვაშაძე;** „ევროპული საქართველოდან“ — პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე **დავით ბაქრაძე;** „შენების“ პარტიის თავმჯდომარე, ასევე, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე **დავით უსუფაშვილი;** ორგანიზაცია „გირჩის“ ხელმძღვანელი **ზურაბ ჯაფარიძე** და სხვ. მართალია, წინასაარჩევნო კამპანია აქტიურად არ დაწყებულა და ჯერ არ მოგვისმენია საპრეზიდენტო კანდიდატების საარჩევნო პროგრამები, მაგრამ მაინც გავიხსენებ ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლის, უზენაესი საბჭოს წევრის, აწ გარდაცვლილი **თემურ ქორიძის** ფრაზას, რომელიც რამდენიმე წლის წინათ თქვა: **„თუ გინდა გაიგო, სიგიჟის რა ზღვარი არსებობს, თვალი უნდა ადევნო წინასაარჩევნო ბატალიებს“...**

**საპრეზიდენტო კანდიდატების შანსებსა და მომავალი არჩევნების სავარაუდო შედეგებზე ექსპერტი გია ხუხაშვილი გვესაუბრება.**

— „ქართული ოცნება“, დიდი ხანია, პოლიტიკას უყურებს ძალის ცენტრების პრიზმაში. გამომდინარე იქიდან, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტს ძალის ცენტრად არ თვლიან, არც ინსტიტუციურად და არც პოლიტიკურად, ყველანაირად აკნინებენ და, თუკი პრეზიდენტობის კანდიდატს არ დაასახელებენ, მიაჩნიათ, რომ ეს ტრაგედია არ იქნება. თუ ვსაუბრობთ **სალომე ზურაბიშვილის**, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატის, მხარდაჭერაზე, ეს წყალზე თითით დაწერილს ჰგავს. ამნეზია არავის გვჭირს. სალომე ზურაბიშვილი ფორმალურად „ქართულ ოცნებაში“ არის თუ არა, ის „ქართული ოცნების“ რესურსით გახდა მაჟორიტარი დეპუტატი და მას შემდეგ ერთ-ერთი აგრესიული აქტივისტია მმართველი პარტიისა. **საუბარი, რომ ზურაბიშვილი არის დამოუკიდებელი კანდიდატი, ძალიან სასაცილოა.**

**— რატომ მოიქცა ასე „ქართული ოცნება“ — არ ჰყავდა კანდიდატი, რომელიც არჩევნებში გაიმარჯვებდა?**

— დღეს პოლიტიკაში ასეთი ვითარებაა: ვერც ხელისუფლებამ და ვერც ოპოზიციამ ვერ მოახერხეს პოლიტიკური ალტერნატივის შექმნა. შესაბამისად, არჩევნებს აქვს ნეგატიური ხასიათი. **ამომრჩეველი დაშორებულია პოლიტიკურ ელიტას და არჩევანის გაკეთება უწევს ცუდსა და უარესს შორის, ამიტომ არჩევნებს იგებს რესურსი — მოიგებს ის, ვისაც რესურსი აქვს, თანაც — ვინც უნდა იყოს მისი კანდიდატი.**

არ ვიცი, „ქართულ ოცნებაში“ რას ფიქრობენ, მაგრამ მმართველ პარტიას ნებისმიერი კანდიდატის გაყვანა არ გაუჭირდება და სალომე ზურაბიშვილი არ არის საუკეთესო ვარიანტი პრეზიდენტის პოსტზე. „ქართული ოცნება“ არჩევნებს იგებს არა იმიტომ, რომ მას ქარიზმული ლიდერები ჰყავს ან რეიტინგული არიან, არამედ იმიტომ, რომ ალტერნატივის ფორმირება ვერ მოხდა ქართულ პოლიტიკურ ბაზარზე. ასე რომ, **ვერსიას, რომ ვერ იპოვეს სალომე ზურაბიშვილზე უკეთესი კანდიდატი, ვერ დავეთანხმები.**

**— პოლიტოლოგები ვარაუდობდნენ, რომ თვით ბიძინა ივანიშვილი იქნებოდა მმართველი გუნდის საპრეზიდენტო კანდიდატი...**

— ივანიშვილის კანდიდატურის დაყენება სახელმწიფოებრივად იქნებოდა კარგი. ეს კარგი იქნებოდა ქვეყნისთვის, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ ინსტიტუციური პრობლემა გვაქვს. ჩვენთვის გაუგებარია, როგორ ხდება გადაწყვეტილების მიღება, იმპლემენტაცია. ეს ინსტიტუციური უწესრიგობა აფერხებს ქვეყნის განვითარებას და ამის უამრავი მაგალითი გვაქვს. აქედან გამომდინარე, თუ ბიძინა ივანიშვილი რეალურად იქნებოდა პრეზიდენტი, ქართულ სახელმწიფოს ძალიან წაადგებოდა. ეს კარგი იქნებოდა თვითონ ბიძინა ივანიშვილისთვისაც, რადგან ოპონენტები ხშირად ეჭვქვეშ აყენებენ მისი ლეგიტიმაციის საკითხს. პრეზიდენტობა მას პოლიტიკურ იმუნიტეტს შეუქმნიდა და ოპონენტებსაც დააცხრობდა. მოკლედ, ივანიშვილის გაპრეზიდენტება უპრიანი იქნებოდა.

**— მაშ, რა მოხდა? რატომ არ დააყენეს მისი კანდიდატურა, ვერ გათვალეს ამდენი?**

— ივანიშვილს სხვადასხვა მიზეზის გამო არ უნდა ამის გაკეთება. დღეს თეორიული შანსი არსებობს, შემობრუნდეს ყველაფერი. შესაძლოა, „ქართულმა ოცნებამ“ ივანიშვილის კანდიდატურა დააყენოს. ეს შანსი მცირეა, მაგრამ არსებობს, რადგან ზურაბიშვილის მიმართ თვით „ქართულ ოცნებაში“ არის სერიოზული წინააღმდეგობა.

მეჩვენება, რომ ზურაბიშვილს მხარდაჭერას დაჰპირდნენ, მაგრამ გამარჯვების გარანტია არავის მიუცია. პირობა მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ არ გაჩნდება სალომე ზურაბიშვილის დამარცხების ან მეორე ტურის რისკი. ასეთ ვითარებაში მმართველი გუნდი იტოვებს უფლებას, გადაათამაშოს ეს ყველაფერი და მხარი სხვა კანდიდატს დაუჭიროს. ეს რეალურია იქიდან გამომდინარე, რომ „ქართულ ოცნებას“ ღია მხარდაჭერა ზურაბიშვილისთვის არ გამოუცხადებია. აქედან გამომდინარე, თუ ამ ორ-სამ კვირაში სალომე ზურაბიშვილმა თავისი ქმედებებით მოახერხა იმ მწირი კაპიტალისთვისაც კი, რომელიც აქვს, საფრთხის შექმნა, რადგან საკუთარი თავის დაზიანება ამ ქალბატონს კარგად გამოსდის, ბოლო მომენტში უარს იტყვიან მის მხარდაჭერაზე და, თუ ეს ასე მოხდა, „ქართულ ოცნებას“ არ ექნება შანსი, მეორეხარისხოვანი კანდიდატი დააყენოს და აქ ჩნდება ივანიშვილის კანდიდატურის წამოყენების თეორიული შანსი, თანაც, არა იმიტომ, რომ მას ასე სურს, ეს გამოწვეული იქნება პოლიტიკური რეალობით. ვიცით, რომ ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნებასაც არ აპირებდა, მაგრამ შექმნილმა სიტუაციამ დააბრუნა...

**— პოლიტოლოგები საუბრობენ, რომ შესაძლოა, ხელისუფლებამ ფსონი დავით უსუფაშვილზე დადოს...**

— ეს ნაკლებად მოსალოდნელია. არა მგონია, ხელისუფლებამ ეს გადაწყვეტილება მიიღოს. ისე, თუ გადავხედავთ პრეზიდენტობის კანდიდატების „მენიუს“, **უსუფაშვილი** ყველაზე უკეთ გამოიყურება. ისინიც კი, ვისაც უსუფაშვილი არ მოსწონს, არ ფიქრობენ, რომ დათო ქვეყნის შემარცხვენელი პიროვნებაა; არავინ ფიქრობს, რომ ის უგუნურ ნაბიჯებს გადადგამს. უსუფაშვილს კანდიდატების რეიტინგში ბიძინა ივანიშვილის შემდეგ პირველ ადგილზე დავაყენებდი, სახელმწიფოებრივი აზროვნებიდან და პროფესიული კვალიფიკაციიდან გამომდინარე. მას აქვს ფასეულობათა სისტემა, რომელიც ამომრჩევლის დიდი ნაწილისთვის მისაღები არ არის, მაგრამ სახელმწიფოებრივად აზროვნებაში ვგულისხმობ იმას, რომ პირადს სახელმწიფოზე მაღლა არასოდეს დააყენებს.

**— დავუბრუნდეთ სალომე ზურაბიშვილს. მასზე ხშირად ამბობენ, რომ რამდენიმე ქვეყნის აგენტია და რომ ნორმალურ ქვეყანაში პარლამენტში ვერ მოხვდებოდა...**

— არ მიყვარს ადამიანების ხელაღებით დადანაშაულება. ეს საკმაოდ მძიმე ბრალდებაა. აგენტი მოღალატეს ნიშნავს... სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტება ძალიან სახიფათოა. ის არასტაბილური ადამიანია და მისგან ბევრ არასასიამოვნო სიურპრიზს უნდა ველოდოთ. **მარგველაშვილი,** მიუხედავად იმისა, რომ მუდმივად დაპირისპირებული იყო ხელისუფლებასთან, საკონსტიტუციო ჩარჩოებს არ გასცდენია. სალომე ზურაბიშვილისგან კი ყველაფერია მოსალოდნელი. ამ ყველაფერს ტრაგიკულად არ ვუყურებ, რადგან მოცემულობა გვაქვს ისეთი, რომ ღირსეული კანდიდატი არ გვყავს, ზურაბიშვილი გაგვართობს მაინც. რეალითი შოუს ვუყურებთ. გახსოვთ, ალბათ, **მამუკა ღლონტს ჰქონდა ასეთი შოუ „ამტანები“. აი, ამგვარ შოუს ვიხილავთ, ოღონდ ამტანები ვიქნებით ჩვენ — ხალხი.**

**— რას იტყვით ნაციონალებისა და „ევროპული საქართველოს“ კანდიდატებზე?**

— ეს ორი კანდიდატი არ იბრძვის გამარჯვების მოსაპოვებლად, ისინი „ნაციონალური მოძრაობის“ ელექტორატისთვის იბრძვიან. მთავარი ინტრიგა არის ის, როგორ გაიყოფენ ისინი „ნაცების“ ელექტორატს.

**— გამოდის, ერთმანეთს ებრძვიან და არა ხელისუფლებას?**

— რა თქმა უნდა. ეს ჩაკეტილი სისტემაა, დაბალი აქტივობის შემთხვევაში, მათ აინტერესებთ, ვის დაუჭერს მხარს ნაციონალების ამომრჩეველი. მათ აინტერესებთ, ქართულ პოლიტიკაში ვინ გახდება მეორე პოლუსი. ამ ორ პარტიას ერთმანეთთან ფარული ომი აქვს.

**— რომელს აქვს უპირატესობა, თქვენი აზრით?**

— უპირატესობა ჯერ **სააკაშვილის** მხარეს არის. ვფიქრობ, მეორე ადგილზე ვაშაძე გავა.

**— ხალხი ბევრს საუბრობს იმაზე, რომ მეორე ტური გარდაუვალია. ვინ გავა მეორე ტურში?**

— არ ვფიქრობ, რომ მეორე ტური აუცილებლად იქნება. მეორე ტური რეალური გახდება მაშინ, თუ ზეპარტიული კანდიდატები გამოჩნდებიან, ისეთები, რომლებსაც ამომრჩევლები არ ჰყავს. ასეთი კანდიდატები არიან **მარგველაშვილი** და **ელისაშვილი.** თუ ისინი არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას, მაშინ შესაძლოა, ელექტორატი გადაქაჩონ და „ქართულ ოცნებას“ მეორე ტურის გამართვის საფრთხე შეუქმნან, რადგან მმართველი პარტიის პოტენციურ ამომრჩეველს წაიყვანენ. თუ მარგველაშვილი და ელისაშვილი კენჭს იყრიან და მეორე ტური გაიმართა, ზურაბიშვილის კონკურენტი **ვაშაძე** იქნება.

**— ქართველი საზოგადოება მიჩვეული იყო, რომ ყოველთვის სახელისუფლო კანდიდატს უჭერდა მხარს, უფრო ზუსტად, არჩევნებში სახელისუფლო კანდიდატი იმარჯვებდა.**

— ეს არ არის არჩევნები, რადგან რეალურად საპრეზიდენტო კანდიდატების რეიტინგი ძალიან დაბალია. წარმოდგენილ კანდიდატებს საპრეზიდენტო ლეგიტიმაცია, ფაქტობრივად, არ აქვთ. საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია ნულიდან დაიწყოს და ორ თვეში აკრიფოს ისეთივე რეიტინგი, როგორიც საპრეზიდენტი კანდიდატებს დღეს აქვთ. რამდენიმე ხნის წინათ ვთქვი, რომ **არჩევნების ჩატარებას სჯობს, ლატარია გავათამაშოთ, ეს უფრო ეკონომიური იქნება-მეთქი. ყველა კანდიდატმა იყიდოს ათასი ლარის ლატარიის ბილეთი, ჩაყაროს დოლურაში და 28 ოქტომბერს ეს დოლურა დავატრიალოთ, ვისი გვარიც ამოვა, ის იქნება პრეზიდენტი. დამიჯერეთ, ეს უფრო დემოკრატიული პროცესი იქნება მოცემულ ვითარებაში.**

ასეთი არჩევნები ნიჰილიზმს აჩენს. ჩვენ არ ვენდობით ენ-დი-აის კვლევებს, მაგრამ ამ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ვიცით, რომ მოსახლეობის 70 პროცენტზე მეტი არჩევანის გარეშეა დარჩენილი, არავინ მოსწონთ და არავინ უნდათ, არ ენდობიან არავის, რადგან მოტყუებულნი არიან, ამიტომ სწორი იქნება ლატარიის გათამაშება — გადაიხადონ და ხმას გადავუგდებთ.

ჩვენ გვყავს პოლიტიკურ სტაგნაციაზე ორიენტირებული ხელისუფლება, სტაგნაციას კი დასასრული აქვს, რამეს თუ არ შეცვლიან, არაფერი გამოვა. ისე, არ მაქვს იმედი, რამე შეცვალონ.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**რადგან რუსოფობი პოლიტისტებლიშმენტის მთავარი სამსჯელო თემა ის კი არ იყო, რატომ მოხდა ის, რაც 2008 წლის აგვისტოში მოხდა, არამედ კითხვა — ვინ დაიწყო ომი, ამიტომ, სანამ წერას განვაგრძობ, ამ კითხვას მინდა ვუპასუხო: ომი საქართველოს არ დაუწყია. ომი დაიწყო სააკაშვილმა და, თუ ვინმეს სააკაშვილი და საქართველო ერთი და იგივე ჰგონია, ის უკვე ავლიპ ზურაბაშვილის კლინიკის პაციენტია.**

# ნეოლიბერალი ხლისტების ღირებულება-ფასეულობები და ღვთის უარყოფა თუ კონსერვატიულ-ტრადიციული იდეოლოგია, რომლის ერთადერთი დამცველიც მსოფლიოში მართლმადიდებელი რუსეთია

## მხოლოდ რუსეთი, დანარჩენი ბრმის სინათლე, მუნჯის ენა და ტყუილის სიმართლეა

**საქართველოში ნატოსთან ურთიერთობაზე პირველად გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში (თუ არ ვცდები, 1994 წელს) ალაპარაკდნენ, როდესაც, სრულიად მოულოდნელად, სულ სხვაგან მიმავალმა ნატოს იმჟამინდელი შეფის, ხავიერ სოლანას, თვითმფრინავმა თბილისში შემოიფრინა (თუ შეიძლება ასე ითქმა) — საქართველოს დედაქალაქის აეროპორტში დაშვებულ თვითმფრინავს ხეირიანად ძრავებიც არ გამოურთავს, ისევ მოუწია აფრენა, რადგან ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივანი, სულ რაღაც, ორი-სამი საათით სტუმრობდა ედუარდ შევარდნაძეს.**

ამ სპონტანურ „შემოფრენა-აფრენას“ **ხავიერ სოლანას** ოფიციალურ ვიზიტს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ, მაგრამ ის დღე ნამდვილად შეიძლება მივიჩნიოთ ნატო-საქართველოს ურთიერთობის დაწყების ათვლის წერტილად. არავინ იცის, კონკრეტულად რაზე ისაუბრეს ბატონებმა — ხავიერმა და ედუარდმა, მაგრამ პირველი ქართული სამხედრო ოცეული სიმბოლურად სწორედ სოლანას ვიზიტის შემდეგ გაიგზავნა რომელიღაც ე.წ. ცხელ წერტილში... ასე იყო თუ ისე, ნატოს მაღალჩინოსანთა ვიზიტებმა თბილისში და პირიქით — ოფიციალური თბილისის წარმომადგენელთა ვიზიტებმა ბრიუსელში მეტ-ნაკლებად რეგულარული სახე მიიღო. თუმცაშევარდნაძე **(„თეთრი მელა“), ერთი მხრივ, ახერხებდა, რომ ქართველ ჯარისკაცთა უცხოეთში გასაგზავნი კონტინგენტი სიმბოლურ რაოდენობას არ გასცდენოდა და, მეორე მხრივ, რუსეთსაც არ აღიზიანებდა მალიმალ განცხადებებით, რომ საქართველო მიისწრაფვის ნატოსკენ.**

დრონი მეფობენო და, 2003 წელს აშშ-მა „ვარდების რევოლუციად“ წოდებული სახელმწიფო გადატრიალება მოუწყო უკვე „ვადაგასულ“ და, შესაბამისად, არასაჭირო შევარდნაძეს და საქართველოს ხელისუფლების სათავეში მისივე გამოზრდილი ლეკვები მოვიდნენ ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორთა, **ჟვანია-სააკაშვილის** გუნდების სახით და სწორედ სააკაშვილის გაპრეზიდენტების შემდეგ დაიძაბა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, რომელმაც სახიფათო ზღვარს თბილისის 2007 წლის ნოემბრის საპროტესტო აქციების სასტიკი დარბევისას მიაღწია, რადგან მიშარასტების ხელისუფლებამ ხალხის სრულიად სამართლიანი მასობრივი პროტესტი რუსეთის მიერ მართულად გამოაცხადა (გახსოვთ, ალბათ, **გივი თარგამაძის** ისტერიკა: „რუსთაველზე რუსული დროშები არ იფრიალებენ“ და „სულს ამოგხდით“), თუმცა **ჯორჯ (დაბლიუ) ბუშის** მიერ „დემოკრატიის შუქურად“ შერაცხილ სააკაშვილს მაინც მოუწია გადადგომა, რადგან, თუ მისი „ნათლია“ მზად იყო, თვალები დაეხუჭა მომიტინგეთა სასტიკ დარბევაზე, იგივე ვერ შეძლო ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრაზე და თავის ხელისბიჭ სააკაშვილს დროებით გადადგომა უბრძანა მოკლე ხანში ხელახლა არჩევის (წაიკითხე — დანიშვნის) გარანტიით. და მართლაც — **2008 წლის იანვარში, იმის მიუხედავად, რომ იპოდრომზე 300 ათასი ადამიანი მივიდა არჩევნების ფალსიფიკაციის გასაპროტესტებლად და პრეზიდენტად ლევან („გრეჩიხა“) გაჩეჩილაძის აღიარებას ითხოვდა, ისე, რომ ცესკოს მიერ თუნდაც ფალსიფიცირებული შედეგების გამოქვეყნებასაც არ დალოდებია, „ნათლიამ“ პირველმა მიულოცა გამარჯვება „ნათლულს“.**

რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბულობამ პიკს 2008 წლის მარტში მიაღწია ბუქარესტში ნატოს სამიტის შემდეგ. სამიტისა, რომლის საბოლოო რეზოლუციაში პირველად ჩაიწერა, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი, რაც საბედისწერო აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან... მართალია, სააკაშვილმა დაიბრუნა პრეზიდენტობა, მაგრამ სწორედ ზემოხსენებული 7 ნოემბრის მოვლენების გამო, რომ იტყვიან, მყარად ვერ გრძნობდა თავს პრეზიდენტის სავარძელში და ამიტომ ისეთი რაღაც სჭირდებოდა, რომლითაც ქართველი საზოგადოების თვალში დაცემული რეიტინგის ამაღლებას შეძლებდა. ასეთი „რაღაც“ აღმოჩნდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, რომლის დაწყებიდან 10 წლის „იუბილე ვიზეიმეთ“ ახლახან და, რადგან რუსოფობი პოლიტისტებლიშმენტის მთავარი სამსჯელო თემა ის კი არ იყო, რატომ მოხდა ის, რაც 2008 წლის აგვისტოში მოხდა, არამედ კითხვა — **ვინ დაიწყო ომი?** სანამ წერას განვაგრძობ, ამ კითხვას მინდა ვუპასუხო: **ომი საქართველოს არ დაუწყია. ომი დაიწყო სააკაშვილმა და, თუ ვინმეს სააკაშვილი და საქართველო ერთი და იგივე ჰგონია, ის უკვე ავლიპ ზურაბაშვილის კლინიკის პაციენტია.**



**მხოლოდ იმისთვის ებრძვიან რუსეთს, რომ ეს უზარმაზარი ქვეყანა, მრავალეროვან-მრავალკონფესიური, მაგრამ მაინც მართლმადიდებელი იმპერიაა და რომც მოხდეს არმოსახდენი და ნეოლიბერალმა ხლისტებმა მსოფლიოს ლგბტ-ზაციაც რომ შეძლონ, ხმელეთის 1/6 ტერიტორიასა და რუსეთის «პოლუსის ქვეშ» მყოფ ქვეყნებში სატანისტები ვერ გაიმარჯვებენ...**

აშშ-ის ხელისუფლების გარკვეული წრეების მიერ დეზინფორმაციით (რომ რუსეთს ე.წ. სამხრეთ ოსეთი არ აინტერესებს და ამიტომ საქართველოს შესაძლო აგრესიისას კონფლიქტში არ ჩაერევა) შეგულიანებულმა სააკაშვილმა ცხინვალზე იერიშის მიტანა ბრძანა იმ იმედით, რომ ხანმოკლე ომის შედეგად წლების წინ დე ფაქტო დაკარგულ ცხინვალს დე ფაქტოც და დე იურეც შემოიერთებდა და, შედეგად, დიდების შარავანდს დაიდგამდა, მაგრამ რუსეთის არმიის „ჟანგიანმა ტანკებმა“ გამანადგურებელი მარცხი აგემეს ნატოს სტანდარტებით გაწვრთნილ ქართულ არმიას და დე ფაქტოდ დაკარგული სოხუმ-ცხინვალი, პლუს ახალგორი და კოდორი, დე იურედაც დავკარგეთ. ამასთანავე, ამ **ჰალსტუხის მცოხნელი და მიწაზე მხოხავი ცინგლიანი სააკაშვილის ამბიციებს შეეწირა ათობით ქართველი გმირი ჯარისკაცი (რომ არაფერი ვთქვათ მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლზე) და ამიტომ, როდესაც გლდანის ძმათა სასაფლაოზე მოვხვდები ხოლმე, სიამაყე კი არა, სინანული მეუფლება — რატომ, რისთვის და ვისთვის შვილებო?..**

და კიდევ — მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოს ომში გამოჩნდა, „რა ღირს“ აშშ-ნატოს სტრატეგიული მოკავშირეობა (როდესაც ჩვენს დასახმარებლად და რუსეთის შესაშინებლად ფოთსა და ბათუმს წყლითა და პამპერსებით დატვირთული კრეისერები მოადგნენ), ჯერ ნაცები და ახლა ქოცები, უკვე 10 წელიწადია, ნატოს კარზე ხან აფხაჭუნებენ, ხან აბრახუნებენ, მაგრამ პასუხად დაცინვის მეტი არაფერი მიგვიღია: ხან მაპზე უკეთესი მოგვცეს, ხან — ასპირანტობა, საქართველო კი შაგრენის ტყავივით პატარავდებოდა და ცოტავდებოდა. ქოცნაცების ხელისუფლება (დიახ, ქოც-ნაცების, რადგან მათ შორის სრული იდეოლოგიური თანხვედრაა და ხელისუფლება-ოპოზიცია მხოლოდ ქართველი საზოგადოების თვალის ასახვევად დაირქვეს) დღესაც ჯიუტად ელოდება ნატოს კარის გაღებას... მაქსიმუმი, რასაც ნატოს მიმართ სკეპტიკურად განწყობილი პოლიტიკოსები ბედავენ, არის ეს — „ნატო იმიტომ არ გვინდა, რომ იქ მაინც არ მიგვიღებენ“. მსგავს პოზიციას, რბილად რომ ვთქვათ, კონფორმიზმის სუნი ასდის, რადგან რეალურად კითხვა ასე უნდა დაისვას: **ნატოში რომც მიგვიღონ, ამით რა ხეირი საქართველოს?** ანალოგიური რამ შეიძლება ითქვას ევროკავშირზეც...

ამ ყველაფრის შემხედვარეს, მოდი და, ნუ გაგახსენდება დიდი **ილიას** ბრწყინვალე წერილი **„რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“**, რომელიც მისთვის ჩვეული „მოყვარეს პირში უძრახე“-დან გამომდინარე საახალწლო მილოცვად მიართვა მშობელ საქართველოს.

სტატიიდან, რომლის პროლოგიდანაც რამდენიმე ციტატას გთავაზობთ, ახალი წლის ნაცვლად აგვისტოს ომიდან გასული კიდევ ერთი, მეათე „საიუბილეო“ წელიწადი იგულისხმეთ და ისე მიირთვით საჭაშნიკოდ:

„აჰა, ერთი კიდევ ახალი წელიწადი.... რა მოვულოცოთ ჩვენს თავს, ქართ- ▶

## საქართველოში ცხოვრების უფლების ნებართვის მიღება შეიძლება გართულდეს

**პარლამენტის თავმჯდომარემ პირობა დადო, რომ ქვეყანაში ცხოვრების უფლების ნებართვის გაცემის წესების შეცვლასთან დაკავშირებით დაბალანსებულ გადაწყვეტილებას მიიღებენ**

საქართველოს პარლამენტში შევიდა კანონპროექტი ცხოვრების უფლების მიღების წესების გამკაცრების შესახებ უცხოელებისთვის, რომელთაც ქვეყანაში სამართლებრივი მდგომარეობა არ აქვთ. კანონში „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ შესწორებების ავტორები არიან დეპუტატები მმართველი პარტიიდან „ქართული ოცნება—დემოკრატიული საქართველო“ — **გოჩა ენუქიძე** და **ილია წულაია.** „საკითხი წინასწარი კონსულტაციების ეტაპზეა. შესაბამისად, ჩვენ უნდა შევუდგეთ საკითხის სიღრმისეულ განხილვას და ამის შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას. რა თქმა უნდა, აქაც იქნება დაბალანსებული გადაწყვეტილება მიღებული, ავწონ-დავწონით ყველა გარემოებას, რომლებიც დაკავშირებულია ამ გადაწყვეტილებასთან“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდზე განთავსებული მასალების თანახმად, საქართველოში, 2017 წლის მონაცემებით, 83 ათასი მიგრანტი იმყოფება. მათი უმეტესობა მამაკაცია. საქართველოს მოქალაქეობა მიგრანტებიდან აქვს 48 ათასზე მეტ ადამიანს. მიგრანტებს შორის ლიდერობენ რუსეთისა (9,7 ათასი) და თურქეთის მოქალაქეები (4,4 ათასი).

ავი მუსაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## 2008 წლის იანვარში, იმის მიუხედავად, რომ იპოდრომზე 300 ათასი ადამიანი მივიდა არჩევნების ფალსიფიკაციის გასაპროტესტებლად და პრეზიდენტად ლევან („გრეჩიხა") გაჩეჩილაძის აღიარებას ითხოვდა, ისე, რომ ცესკოს მიერ თუნდაც ფალსიფიცირებული შედეგების გამოქვეყნებასაც არ დალოდებია, „ნათლიამ" პირველმა მიულოცა გამარჯვება „ნათლულს".

◀ ველნო? ...უკან მივიხედავთ ამ ახლო ხანებში და ისეთი არა გვრჩება რა, რომ თავი მოვიწონოთ... ...წინ ვიყურებით და ხვალინდელის ნისლში იმისთანა არა მოსჩანს რა, რომ გული გულის ადგილსავე დაგვრჩეს"...

ბავშვობას სურვილების ხშირი ცვალებადობა ახასიათებს — ხან ექიმი გინდა გამოხვიდე, ხან — კოსმონავტი, ხან — მეხანძრე და ა.შ., მაგრამ ადამიანის ცხოვრებაში დგება ჟამი, როდესაც ოცნებაში აქეთ-იქეთ ხტუნაობას თავი უნდა დაანებო და ყმაწვილკაცმა ცხოვრების ფართო ასპარეზზე გასასვლელად ერთი რაღაც უნდა აირჩიო. დღევანდელი საქართველოც გზაგასაყარზე მდგომ იმ ყმაწვილკაცს მაგონებს — **ან იქეთ, ან აქეთ!** მესამე, ე.წ. ბალანსირების პოლიტიკა, ჟარგონით თუ ვიტყვით, „ბაბაც მინდა და ჩიჩიაც" აღარ არსებობს, ისევე, როგორც არ შეიძლება არსებობდეს პოლიტიკურად მრავალპოლუსიანი მსოფლიო და **ვლადიმერ პუტინი** აშკარად „თავმდაბლობს", როდესაც ამბობს, რომ მისი მიზანი მსოფლიოს მრავალპოლუსიანობის მიღწევაა.

**მსოფლიო ან ერთპოლუსიანია, როგორც იყო ბოლო 20-25 წელიწადი სსრკ-ის დანგრევის შემდეგ, ამერიკის ეგიდის ქვეშ, ამ პერიოდში კი აშშ-ის დაუსჯელმა პარპაშმა ზღვა სისხლი და ცრემლი მოუტანა კაცობრიობას და ვინ იცის, კიდევ რა გველოდა, რომ არა სსრკ-ის სამართალმემკვიდრე რუსეთის დიდ პოლიტიკაში ძლევამოსილი დაბრუნება, რის შემდეგაც მსოფლიო ნელ-ნელა, მაგრამ განუხრელად უბრუნდება გასული საუკუნის სტატუს-კვოს** — სსრკ-ისა და აშშ-ის ჰეგემონის ორპოლუსიან სტატუსს, რომელიც პლანეტა დედამიწაზე მეტ-ნაკლებად მშვიდობის გარანტია იყო და იმედია, ასე იქნება 21-ე საუკუნეშიც, თუმცა ამის მიღწევა ძნელი იქნება, რადგან, თუ XX საუკუნეში აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის დაპირისპირების საგანი პოლიტიკური იდეოლოგიების (კაპიტალიზმ-სოციალიზმი) განსხვავება იყო და, ხატოვნად თუ ვიტყვით, დასავლეთიცა და აღმოსავლეთიც ზოგადსაკაცობრიო მორალთან მწყრალად არ იყვნენ, ახლა დაპირისპირების რეალური მიზეზი სწორედ მორალურ-ზნეობრივი ხასიათისაა — **ერთი მხრივ, ნეოლიბერალი ხლისტები, რომლებიც იმ ძირითად ღირებულება-ფასეულობებს უარყოფენ, რომლებითაც ადამიანი განსხვავდება ცხოველისგან — არა რელიგიას, არა ეროვნებას, არა სქესს, არა ოჯახის ინსტიტუტს და ა.შ. სხვა მრავალი წვრილმან-მსხვილმანი „არა", რომლებსაც, საბოლოო ჯამში, ღმერთის უარყოფამდე მივყავართ, ხოლო, თუ ღმერთი არ არსებობს, როგორც დოსტოევსკი ამბობს, მაშინ „ყველაფერი მოსულა"! ამ „ყველაფერი მოსულას" მქადაგებელ-დამცველი კი „დემოკრატიული" დასავლეთია, აშშ.** მეორე მხრივ კი, პირიქით, ნეოლიბერასტთა მიერ უარყოფილი ღირებულება-ფასეულობების კონსერვატიულ-ტრადიციული იდეოლოგიაა, რომლის დამცველიცა და ფლაგმანიც მართლმადიდებელი რუსეთია. რუსეთი, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, უკვე იქცა მესამე რომად...

რეალურად **მხოლოდ იმისთვის ებრძვიან რუსეთს, რომ ეს უზარმაზარი ქვეყანა, მრავალეროვანმრავალკონფესიური, მაგრამ მაინც მართლმადიდებელი იმპერიაა და, რომც მოხდეს არმოსახდენი და ნეოლიბერალმა ხლისტებმა მსოფლიოს ლგბტ-ზაციაც რომ შეძლონ, ხმელეთის 1/6 ტერიტორიასა და რუსეთის „პოლუსის ქვეშ" მყოფ ქვეყნებში სატანისტები ვერ შეაღწევენ...** ზემოთ საქართველო არჩევანის წინაშე მდგარ ყმაწვილს შევადარე და ყოველივე შემდეგ თქმულიდან გამომდინარე, რა არჩევანი უნდა გააკეთოს ჩვენმა სამშობლომ, ეს კითხვა, ვფიქრობ, რუსოფობიით მოუწამვლელი ქართველებისთვის, რიტორიკულია.

სამწუხაროდ, **„მოწამლულთა" შორის არის „ვარდების რევოლუციის" შემდგომი ახალგაზრდობის უმრავლესობა. ნეოლიბერასტებმა კარგად იციან, ვის, სად და როდის უნდა დაარტყან. ჰოდა, პირველი, რაც მიშარასტ-სოროსისტებმა გააკეთეს, იყო ის, რომ განათლების სისტემა დაანგრიეს და დღეს სკოლებში საქართველოს ისტორიას მხოლოდ შავთეთრ ფერებში ასწავლიან, რომლის მიხედვით რუსეთი ოკუპანტია და მორჩა, ბასტა...**



**მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოს ომში გამოჩნდა, „რა ღირს" აშშ-ნატოს სტრატეგიული მოკავშირეობა, ჯერ ნატები და ახლა ქოტები, უკვე 10 წელიწადია, ნატოს კარზე ხან აფხაჭუნებენ, ხან აბრახუნებენ, მაგრამ პასუხად დაცინვის მეტი არაფერი მიგვიღია: ხან მაპზე უკეთესი მოგვცეს, ხან — ასპირანტობა, საქართველო კი შაგრენის ტყავივით პატარავდებოდა და ცოტავდებოდა**

**ბაგრატიონთა სამეფო დინასტია გაგვიუქმეს, ავტოკეფალია წაგვართვეს, ფრესკები კირით გადაგვილესეს და მე-19 საუკუნეში მრავალი აჯანყება** — აი ძირითადი „არგუმენტები", რომლებითაც რუსოფობები აპელირებენ, რაც თითიდან გამოწოვილი თუ არ არის, აიხსნება მაინც, მაგრამ აქ ახლა არც მაგის დროა და არც ადგილი. ამიტომ მკითხველს ვპირდები, რომ მომავალში აუცილებლად ვრცლად და გამოწვლილვით ვისაუბრებთ ხსენებულ „არგუმენტებზე", მანამდე კი ახალგაზრდა თუ ძველგაზრდა რუსოფობებს ვთავაზობთ ილიას ერთ წერილს, რომელიც მაშინ დაიწერა, როდესაც დღევანდელივით 22% კი არ ჰქონდა ოკუპირებული რუსეთს, არამედ 100% ვიყავით რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში:

**„რუს და ქართველ ხალხთა ტრადიციული ურთიერთსიყვარული,** — წერდა **ილია ჭავჭავაძე** თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ **სერაფიმეს** 1898 წელს, **— ჩვენთვის უფროა საჭირო, ვიდრე რუსთათვის, ვინაიდან ამაშია ჩვენი კეთილდღეობის, ჩვენი ხსნის ერთადერთი საწინდარი. დიდ, თვალუწვდენელ რუსეთისათვის კი — ქართველის მისდამი სიყვარულის საკითხი შეიძლება იყვეს მხოლოდ ზნეობრივი ხასიათის კეთილშობილური მზრუნველობის საგანი და მოკლებულია ყოველგვარ პრაქტიკულ მნიშვნელობას; ვინაიდან რუსეთი თავისთავად მეტად ღონიერი და ძლიერია და ამიტომ არ სჭირდება რომელიმე პატარა ხალხის თანაგრძნობაში ეძიოს თავისთვის საყრდენი; ვიმეორებ, ჩვენთვის, ქართველებისათვის, ეს სიყვარული დაკავშირებულია ჩვენი ყოფნა არ ყოფნის საკითხთან. ...დიდი რუსეთის გარეშე არ არის ხსნა საქართველოსა და ქართველებისათვის".**

**დიდმა ილიამ არ იცოდა იმ თქვენი «რკინისებური არგუმენტების» შესახებ და ამიტომ თქვა ის, რაც თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ სერაფიმესთვის მიწერილ წერილში თქვა?**

ახლა ვეკითხები რუსოფობებს: **დიდმა ილიამ არ იცოდა იმ თქვენი „რკინისებური არგუმენტების" შესახებ და ამიტომ თქვა ის, რაც თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ სერაფიმესთვის მიწერილ წერილში თქვა? თუ ასეა, გამოდის, უცოდინარი ყოფილა ქართველთა საფიცარი ილია. ხოლო თუ იცოდა და მაინც თქვა, გამოდის, სამშობლოს მოღალატე რუსოფილი ყოფილა საქართველოს უგვირგვინო მეფე ილია მართალი...** ვფიქრობ, კითხვა რიტორიკულია და ამიტომ რუსოფობებს მივმართავ: ვინ ხართ ილიაზე დიდი პატრიოტები? გამოდით, დაგვენახვეთ!

ახლა კიდევ ერთი დიდი ქართველის ნააზრევი ევროკავშირის ბაზრის მოიმედეთა საყურადღებოდ:

**ნიკო ნიკოლაძემ** ჯერ კიდევ 1865 წელს გერცენის გამოცემულ გაზეთ „კოლოკოლში" აღნიშნა, რომ საქართველო რუსეთთან კავშირში **„უფრო მალე მიაღწევს თავისი მდგომარეობის საუკეთესოდ მოწყობას, ვიდრე მაშინ, როცა მას მოკავშირედ ან მფარველად ეყოლება** (აღარაფერს ვამბობ მფლობელობაზე — დ.მ.) **ევროპის რომელიმე ერი** (წაიკითხე, ევროკავშირი — დ.მ.), **რომ აღარაფერი ვთქვათ ოსმალეთსა და სპარსეთზე, რომლებისაც საქართველოში არც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი მოწადინებული არ არის".**

„ნუ დაკარგავ ძველთა გზათა, ნურცა ხსოვნას წინაპართა"-ო, — უთქვამთ ჩვენს ძველებს და, თუ ჩვენ, „ახლებს", ფიზიკური და განსაკუთრებით მენტალური გადარჩენა გვინდა, ზემოხსენებულ გზაგასაყარზე დიდ წინაპართა გამოცდილებიდან გამომდინარე უნდა გავაკეთოთ არჩევანი, ანუ ვიხელმძღვანელოთ წინამდებარე წერილის სათაურით — **მხოლოდ რუსეთი, დანარჩენი ბრმის სინათლე, მუნჯის ენა და ტყუილის სიმართლეა! სიტყვები, რომლებიც მეფე ერეკლედან მოყოლებული, უკლებლივ ყველა მამულიშვილს ეწერა სამშობლოს სიყვარულით ანთებულ გულის ფიცარზე!**

**დავით მხეიძე**

**P.S.** 1947 წელს იოსებ სტალინმა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში შესატან მასალებზე სამსჯელოდ რიწის აგარაკზე მიიწვია ისტორიოგრაფიის ქართველი კორიფეები: სიმონ ჯანაშია, კორნელი კეკელიძე და ნიკო ბერძენიშვილი. ამ შეხვედრაზე დიდმა ბელადმა საქართველოს რუსეთთან შეერთებას ორ ბოროტებას შორის ნაკლები ბოროტება უწოდა და იქვე დასვა კითხვა: სად უფრო შეინარჩუნეს ქართველებმა ქართველობა — ირანში, თურქეთში თუ რუსეთში? — რა თქმა უნდა, რუსეთში, ლამის ერთხმად უპასუხეს ისტორიკოსებმა და კი მაგრამ, რატომო? კითხვას, კითხვა მოაყოლა სტალინმა და, როდესაც ისტორიკოსებს ყოყმანი შეატყო, მის მიერ დასმულ კითხვას თვითონვე უპასუხა „ულმერთო სემინარისტმა" სტალინმა: იმიტომ, რომ რუსები ქართველების ერთმორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიანები არიანო! მეფე ერეკლე კარგი კაცი იყოო, — დასვა ბეჭედი სოსელომ! თავს ნებას მივცემ, რომ ერთ რამეში არ დავეთანხმო ყველა დროისა და ხალხის დიდ გენიოსს — როგორც დღევანდელი გადასახედიდან ჩანს, რუსეთთან საქართველოს შეერთება ნაკლები ბოროტება კი არა, ბოროტსა და კეთილს შორის არჩევანი ყოფილა! თუმცა მეც ვნახე რა, დაბალი ღობე. თუნდაც გენიოსი სტალინი, აბა, რას წარმოიდგენდა, რომ დადგებოდა დრო, როდესაც კაცი კაცობაზე იტყოდა უარს, ქალი — ქალობაზე და თავის დროზე რუსეთის მიერ ისლამიზაციას გადარჩენილ მშობელ ქართველ ერს, ლგბტ-ზაციის საფრთხე დაემუქრებოდა. საქართველო კი რუსეთთან დამოყვრებას, ანუ ზნეობრივ, ეკონომიკურ, მენტალურ გადარჩენას „ნა-ტო, ნა-ტო"-ს ღნავილს ამჯობინებდა?...

---

ჭადრაკი



## ნონა გაფრინდაშვილი კვლავ უძლიერესია

**ლეგენდარულმა ქართველმა მოჭადრაკე ნონა გაფრინდაშვილმა ნორვეგიის ქალაქ დრამენში ვეტერანებს შორის ევროპის ჩემპიონატი მოიგო, — იუწყება პირველი არხი.**

ცხრა შესაძლო ქულიდან გაფრინდაშვილმა 5,5 ქულა დააგროვა. იგივე რაოდენობა ჰქონდა რუს ელენა ფატალიბეკოვას, მაგრამ დამატებითი მაჩვენებლებით ქართველმა მოჭადრაკემ გაუსწრო მეტოქეს. **კონტინენტური პირველობის ბრინჯაოს მედალიც საქართველოს წარმომადგენელმა — თამარ ხმიადაშვილმა მოიპოვა, რომლის აქტივში 5 ქულაა.**

ნონა გაფრინდაშვილი ჭადრაკის ისტორიაში მეხუთე მსოფლიო ჩემპიონია (1962-1978), პირველი საერთაშორისო დიდოსტატი ქალთა შორის (1976) და პირველი მანდილოსანი, რომელსაც მამაკაცთა შორის საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიენიჭა (1978). 1982 წელს იგი გახდა „ჭადრაკის ოსკარის" პრიზის პირველი მფლობელი.



საქართველო და მსოფლიო
სოროსელთა შემოტევა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვეკითხები ქალბატონ ლომჯარიას: გამადიდებელი შუშით რომ ეძებთ ყველგან და ყველაფერში შარის მიზეზს, რათა განგაში ატეხოთ და როგორც ხელისუფლება, ისე საზოგადოება, დაასმინოთ თქვენს დასავლელ მარჩენლებთან, ერთხელ მაინც გიფიქრიათ უსამართლობით გულგატეხილ მოქალაქეებზე? ერთხელ მაინც გაგიმახვილებიათ ყურადღება იმ ადამიანების პრობლემებზე, რომლებსაც წინა ხელისუფლებამ ყველაფერი წაართვა და გააუბედურა? ვის უშავდება რამე, თუ რომელიღაც საკანონმდებლო აქტში წერია „ოჯახის უფროსი“, ამით ვინმე დაიჩაგრა, შეიზღუდა თუ ქვეყანა დაიქცა?!**



# ლომჯარიას «ლიბერალური» ისტერიკა — «ოჯახის უფროსობა» დისკრიმინაციაა

**საქართველოს სახალხო დამცველად წოდებული სახალხო ალქაჯი და სოროსის გრანტის მთავარი მოტრფიალე ნინო ლომჯარია, რომელმაც მცირე ხნის წინათ პარლამენტის წინაშე ყოველწლიური მოხსენების ფარგლებში დეპუტატების თავზე წისქვილის ქვა დაატრიალა, ამჯერად ჩვეული „ლიბერალური“ რიტორიკით მიადგა ივანიშვილის მარიონეტულ მთავრობას და უშუალოდ მთავრობის მეთაურ მამუკა ბახტაძეს. ომბუდსმენმა პრემიერს ზოგადი წინადადებით მიმართა და მთავრობის სახელით გამოცემულ საკანონმდებლო აქტებში გამოყენებული ტერმინის — „ოჯახის უფროსის“ — სხვა უფრო ნეიტრალური ფორმით ჩანაცვლება მოსთხოვა.**

„საკანონმდებლო დონეზე ასახული ტერმინი კი შინაარსშივე ეწინააღმდეგება თანასწორობის პრინციპს და ერთმნიშვნელოვნად გულისხმობს ერთი რომელიმე პირის დომინირებას. აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველი მიზანშეწონილად მიიჩნევს, საკანონმდებლო აქტების მიზნებისთვის აქცენტი ტერმინ „ოჯახის უფროსის“ შინაარსობრივ მხარეზე გაკეთდეს, რომელშიც, როგორც წესი, ოჯახის შემადგენლობაში მყოფი საკონტაქტო პირი იგულისხმება, რომელიც ოჯახის წევრების შესახებ ყველაზე მეტად არის ინფორმირებული“, — აღნიშნულია ლომჯარიას განცხადებაში. მისივე განმარტებით, საკანონმდებლო აქტებში დისკრიმინაციის შემცველი ტერმინების გამოყენება საზოგადოებაში ქალის როლის მიმართ არსებულ ნეგატიურ ფონს კიდევ უფრო აძლიერებს (ეს კი თურმე უხეშად არღვევს დემოკრატიის დასავლურ პრინციპებს, რომლებიც ხელისუფლების მიერ გაცხადებულ პოლიტიკასა და პრიორიტეტებს არ შეესაბამება).

**ცნობისთვის:** ნინო ლომჯარიამ პრემიერს ზემოაღნიშნული წინადადებით უცხოეთიდან დაფინანსებული სამოქალაქო პლატფორმა „ახალი საქართველოს“ ქალთა ორგანიზაციის განცხადების საფუძველზე მიმართა. როგორც ჩანს, ომბუდსმენის „ლიბერალური“ წიოკი ამ კონკრეტულ საკითხზე უკვე საქართველოს მასშტაბებს გასცდა და პრემიერი მალე პოლიტიკურ „პოუშამ“-ს დასავლეთიდანაც მიიღებს (თუ, რა თქმა უნდა, ლომჯარიას დარიგება ყურად არ იღო)...

**რა მიზანს ემსახურება სახალხო დამცველის წინადადება და კიდევ რა მოწოდებებსა თუ რეკომენდაციებს უნდა ველოდოთ მისგან მომავალში? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება 21“ -ის ხელმძღვანელი ზვიად ტომარაძე:**

— დავიწყოთ იმით, რომ **ნინო ლომჯარია** არ არის და არც შეიძლება იწოდებოდეს საქართველოს სახალხო დამცველად. რატომ? — იმიტომ, რომ ის თავისი საქმით — ანგარიშებითა და განცხადებებით — მხოლოდ უმცირესობის (ჰომოსექსუალების, ტრანსგენდერების, სექტების) უფლებებს იცავს. სახალხო დამცველის ინსტიტუტი სწორედ ყველას უფლებების დაცვას გულისხმობს.

ახლა რაც შეეხება ლომჯარიას კონკრეტულ განცხადებას. ჯერ ერთი, ცინიზმია ის, რომ ქვეყანაში, სადაც ამდენი უსამართლობაა და უამრავი ადამიანის უფლებები ფეხქვეშ გათელილი, უმთავრესი პრობლემა თურმე მთავრობის საკანონმდებლო აქტებში ტერმინის — „ოჯახის უფროსის“ გამოყენება ყოფილა. **ვეკითხები ქალბატონ ლომჯარიას: გამადიდებელი შუშით რომ ეძებთ ყველგან და ყველაფერში შარის მიზეზს, რათა განგაში ატეხოთ და როგორც ხელისუფლება, ისე საზოგადოება, დაასმინოთ თქვენს დასავლელ მარჩენალებთან, ერთხელ მაინც გიფიქრიათ უსამართლობით გულგატეხილ მოქალაქეებზე? ერთხელ მაინც გაგიმახვილებიათ ყურადღება იმ ადამიანების პრობლემებზე, რომლებსაც წინა ხელისუფლებამ ყველაფერი წაართვა და გააუბედურა? ვის უშავდება რამე, თუ რომელიღაც საკანონმდებლო აქტში წერია „ოჯახის უფროსი“, ამით ვინმე დაიჩაგრა, შეიზღუდა თუ ქვეყანა დაიქცა?!**

**— ქალთა მიმართ დისკრიმინაციულ ფონს აძლიერებსო...**

— საქმეც ის არის, რომ არც ერთ საკანონმდებლო აქტში, სადაც ეს ტერმინია გამოყენებული, დაკონკრეტებული არ არის, ოჯახის უფროსი ქალია თუ მამაკაცი, ანუ განცხადება იმის თაობაზე, რომ თურმე ამით ქალთა დისკრიმინაცია ძლიერდება, „ლიბერალების“ მორიგი ავადმყოფური ინტერპრეტაციაა და სხვა არაფერი. საერთოდ, თანამედროვე დასავლური ნეოლიბერალიზმი ასეთ თეორიულ აბსურდებსა და ალოგიკურ თვალსაზრისზეა აგებული. რა გიკვირთ?! **ეს არის ხალხი, რომელიც ამბობს, რომ მამაკაცი შეიძლება იყოს ცოლი და ქალი — ქმარი, ხოლო თუ კაცს, მაგალითად, უნდა, რომ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სქესის გრაფაში ჩაუწერონ მდედრობითი, მისი სურვილი უნდა დაკმაყოფილდეს... მალე ესენი იქამდეც მივლენ, რომ ოფიციალურ დოკუმენტებში სიტყვა „საქართველოს“ გამოყენებასაც დისკრიმინაციად გამოაცხადებენ.** გამოვა ლომჯარია და იტყვის, რომ ამით ეთნიკური უმცირესობების უფლებები ირღვევა. სხვათა შორის, დღეს თუ ვინმეს უფლებები ირღვევა, მათ შორის არიან ფერეიდნელი ქართველები. **ლაპარაკია საქართველოს მოქალაქეობის მქონე ფერეიდნელებზე, რომლებსაც ქართული ბანკები სესხებს არ აძლევენ იმის გამო, რომ ისინი დაიბადნენ ირანში. არადა, პარლამენტის მიერ მიღებულ ანტიდისკრიმინაციულ კანონში შავით თეთრზე წერია, რომ არ შეიძლება ადამიანის დისკრიმინაცია მისი დაბადების ადგილის მიხედვით.** მივმართე ამის თაობაზე განცხადებით სახალხო დამცველის აპარატს, მაგრამ არაფერი, რაღაც პასუხი გამცეს მოხდის მოვალეობის მოხდის მიზნით და მორჩა... ახლა წარმოგიდგენიათ, რომელიმე ბანკმა ლგბტ პირს ან რომელიმე რელიგიური სექტის წარმომადგენელს რომ უთხრას სესხზე მისი ორიენტაციის ან მრწამსის გამო, რა ამბავს ატეხენ?! **სამყაროს შეყრიან: დემოკრატიას თავზე გვამხობენო...**

**— საზოგადოება რატომ არ ტეხს ასეთივე განგაშს, როგორ ფიქრობთ? ყოველ შემთხვევაში მოსახლეობა არ გამოხატავს უკმაყოფილებას მისთვის მიუღებელი საკანონმდებლო ცვლილებების გამო იმ ფორმით, რომ ამას რამე კონკრეტული შედეგი მოჰყვეს. ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის — ყველაფრის მიუხედავად, „ლიბერალური ელიტა“ თავის მიზანს აღწევს...**

— ასე პესიმისტურადაც ნუ შევხედავთ მოვლენებს. შეგახსენებთ, რომ გენდერული კვოტირების კანონპროექტი, რომლის გატანაც „ფემინისტლიბერალებს“ სურდათ, პარლამენტმა ჩააგდო და ეს მოხდა როგორც საზოგადოების, ისე პარლამენტში მყოფი შედარებით კონსერვატიული სუბიექტების ძალისხმევით. მათ ასევე ჩაეშალათ გეგმა, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ლგბტ თემატიკის წამოწევას გულისხმობდა. ასე რომ, საზოგადოება რამდენჯერაც პრინციპულად დადგა და დაანახვა ხელისუფლებას, რომ მისი მოთხოვნების გაუთვალისწინებლობას მძიმე პოლიტიკური შედეგები მოჰყვებოდა, ბრძოლა ყოველთვის დასრულდა მეტ-ნაკლებად სასურველი შედეგით. მაგალითად, **6 აგვისტოს ძალაში შევიდა ახალი კანონი, რომლითაც უცხოელებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამკაცრდა.** შარშანდელი 30 მაისიდან მოყოლებული მე და ემზარ კვიციანი ვითხოვდით, რომ უცხოელებისთვის კანონპროექტით გამკაცრებულიყო საქართველოს მოქალაქეობის მიღება. ერთწლიანმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო და ახალი კანონით: **1.უცხოელებისთვის მოქალაქეობის მინიჭებისას საქართველოში 5-წლიანი უწყვეტად ცხოვრების ვადა გაიზარდა 10 წლამდე; 2. ფიქტიური ქორწინებების გამოსარიცხავად არსებული 2-წლიანი ვადა გაიზარდა 5 წლამდე; 3. საგამონაკლისო წესით მოქალაქეობის მინიჭებისას, სავალდებულო გახდა ქართული ენისა და ისტორიის ცოდნა.**

**სექტემბრიდან დავიწყებთ ბრძოლას ბინადრობის უფლების „გაყიდვის“ ასაკრძალავად.**

**— თუმცა საზოგადოება მკაცრად იდგა თავის პოზიციაზე მაშინაც, როცა პარლამენტმა ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღო. მაშინ რატომ არ გაჭრა ამ სიმკაცრემ?**

— იმიტომ, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, ხელისუფლებამ მაინც ვერ დაინახა საფრთხე საზოგადოებისგან. კი, ერთი მხრივ, მას შეიძლება გათვითცნობიერებული ჰქონდეს, რომ ეს ყველაფერი პოლიტიკურად წინ დახვდება, მაგრამ მეორე მხარეს არის გარე ძალა, რომელიც მისთვის უფრო მეტს ნიშნავს. აი, ამაზე კეთდება არჩევანი და, ბუნებრივია, **საზოგადოების განწყობა იმ პირობებში, როცა ხელისუფლება ხალხს კი არ უსმენს, არამედ თვალებში შესციცინებს უცხოეთს, გადამწყვეტი ვერ იქნება. გადამწყვეტი იქნება, კიდევ ვიმეორებ, ერთადერთ შემთხვევაში — თუ მოსახლეობის პროტესტი პიკს მიაღწევს. თუმცა, სანამ ქვეყანაში არ შეიქმნება რეალური ალტერნატიული ძალა გაერთიანებული კონსერვატიული სუბიექტების სახით, რომელსაც გაჰყვება მოსახლეობის უმრავლესობა, ხელისუფლება ყოველთვის დარჩება საზღვარგარეთიდან წამოსული დირექტივების შემსრულებლად.**

**— ალტერნატიულ ძალას რაც შეეხება, ბოლო პერიოდში იყო ასეთი ძალისა თუ გაერთიანების ჩამოყალიბების რამდენიმე მცდელობა... რატომ ვერ მოხერხდა?**

— სამწუხაროდ, ჩვენს ფლანგზე არის რამდენიმე პრობლემა: პირველი — ფინანსების უქონლობა, რომელიც, ბუნებრივია, ბევრ რამეს აფერხებს; და მეორე — ვერ მოხერხდა გაერთიანება. გარდა ამისა, ჩვენ არ გვაქვს საინფორმაციო ველი, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ფართო საზოგადოებას ▶

# ევროპულ იტალიაში ტრადიციულ ოჯახსა და მცნებებს უბრუნდებიან, ჩვენი ომბუდსვუმენი კი საქართველოში უკუღმართობის დამკვიდრებას ცდილობს

**მატეო სალვინი იტალიის ვიცეპრემიერი და შინაგან საქმეთა მინისტრია და სწორედ მისი ინიციატივით იტალიის ელექტრონულ პირადობის მოწმობაში ტერმინები „მშობელი 1“ და „მშობელი 2“ „დედამ“ და „მამამ“ შეცვალა.**



**„იტალიის ხელისუფლება დაიცავს ოჯახს, რომელიც ქალისა და მამაკაცის კავშირზეა დაფუძნებული. მთავრობა ქვეყანაში სუროგატი დედობის ლეგალიზაციასა და ერთნაირსქესიანი წყვილებისთვის ბავშვის შვილებას ეწინააღმდეგება“, — განაცხადა სალვინიმ.**

მიმდინარე წლის 6 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა **ნინო ლომჯარიამ** წინადადებით მიმართა საქართველოს პრემიერმინისტრს და მთავრობის სახელით გამოცემულ საკანონმდებლო აქტებში გამოყენებული ტერმინის „ოჯახის უფროსის“ სხვა უფრო ნეიტრალური ფორმით მოდიფიცირება მოითხოვა. ზემოხსენებულ აქტებში პირდაპირ არ არის მითითებული, ვინ არის ან ვინ უნდა იყოს ოჯახის უფროსი, თუმცა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ტრადიციულ წარმოდგენებში „ოჯახის უფროსად“ განიხილებოდა მამაკაცი, რომელიც მისი სქესის გამო ოჯახში გადაწყვეტილების მიმღები პირი იყო. სახალხო დამცველის აზრით, დღეს აღნიშნული ტერმინის გამოყენება ამყარებს ქალის შესახებ სტერეოტიპულ წარმოდგენებს, რომ ქალი ოჯახის მეორეხარისხოვანი წევრია, არ არის თანასწორად გადაწყვეტილების მიმღები და დოვლათის შემომტანი, რაც, თავის მხრივ, სქესის საფუძველზე ნეგატიური თვალსაზრისის წამახალისებელია.

ამასთანავე, სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ოჯახის, როგორც საზოგადოების უმნიშვნელოვანესი სოციალური უჯრედის, მთავარი მახასიათებელი არის თანასწორობა და პირთა თანაბარი მონაწილეობა შინამეურნეობაში. საკანონმდებლო დონეზე ასახული ტერმინი კი თავისივე შინაარსში ეწინააღმდეგება თანასწორობის პრინციპს და ერთმნიშვნელოვნად გულისხმობს ერთი რომელიმე პირის დომინირებას. აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველი მიზანშეწონილად მიიჩნევს, აქცენტი ტერმინის — „ოჯახის უფროსის“ შინაარსობრივ მხარეზე გაკეთდეს, რომელშიც, როგორც წესი, ოჯახის შემადგენლობაში მყოფი საკონტაქტო პირი იგულისხმება, რომელიც ოჯახის წევრების შესახებ ყველაზე მეტად არის ინფორმირებული.

მოკლედ, **ევროპა, რომლისკენაც მივისწრაფვით, ილვიძებს და ხვდება, რომ ის, რისკენაც მიდიოდა, არ არის სწორი და რომ ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინება, ბავშვებისთვის მშობლების უპატივცემულობის ჩანერგვა, დედ-მამის დანომვრა მომავალს ღუპავს. სამაგიეროდ, ჩვენი ომბუდსვუმენი მატრიარქატის დამკვიდრებას ცდილობს. როგორც ჩანს, სახალხო დამცველად დანიშვნამ და კიდევ იმან, რომ პრეზიდენტობის რეალური კანდიდატი ქალია, დააჯერა, რომ მცირე „ოჯახური გადატრიალების“ მოწყობა შესაძლებელია და საამისოდ ძალ-ღონეს არ იშურებს.**

**ბესო ბარბაქაძე**

**ევროპა, რომლისკენაც მივისწრაფვით, იღვიძებს და ხვდება, რომ ის, რისკენაც მიდიოდა, არ არის სწორი და რომ ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინება, ბავშვებისთვის მშობლების უპატივცემულობის ჩანერგვა, დედ-მამის დანომვრა, მომავალს ღუპავს. სამაგიეროდ, ჩვენი ომბუდსვუმენი მატრიარქატის დამკვიდრებას ცდილობს. როგორც ჩანს, სახალხო დამცველად დანიშვნამ და კიდევ იმან, რომ პრეზიდენტობის რეალური კანდიდატი ქალია, დააჯერა, რომ მცირე „ოჯახური გადატრიალების“ მოწყობა შესაძლებელია და საამისოდ ძალ-ღონეს არ იშურებს.**

კანდიდატი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ვუთხრათ სიმართლე...

**— კი მაგრამ, კონსერვატიულ ფრთაში არიან ბიზნესმენები, რომლებსაც ფინანსურად ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ. საინფორმაციო ველს რაც შეეხება, არ ფიქრობთ, რომ საპატრიარქოს ტელევიზიას რეალურად უფრო მეტის რესურსი აქვს?**

— საპატრიარქო, ცხადია, უფრო აქტიური უნდა იყოს, მაგრამ დღეს იქ, სამწუხაროდ, ძალიან სერიოზული პრობლემებია. **პრობლემაა, მაგალითად, ის, რომ თავის დროზე სააკაშვილის რეჟიმის მიერ შეგზავნილი ზოგიერთი სასულიერო პირი, მათ შორის მაღალი იეარარქებიც, დღემდე მნიშვნელოვანი გავლენით სარგებლობენ; პრობლემაა ის, რომ ამ ადამიანების მიერ შექმნილი გარკვეული ჯგუფები უდიდეს ზეგავლენას ახდენენ სინოდზე. აი, ამიტომაა, რომ ეკლესიაც დღეს გარკვეულწილად რაღაც თავის მართლების რეჟიმშია და თავის პრობლემებზე უფრო მეტ აქცენტს აკეთებს, ვიდრე სხვა რამეზე.**

რაც შეეხება იმას, აქვს თუ არა საპატრიარქოს მეტის რესურსი, ამ ეტაპზე მას მეტის გაკეთება, ალბათ, არ შეუძლია, თუმცა მე მაინც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და დარწმუნებული ვარ, ასე დიდხანს არ გაგრძელდება.

**— რას გულისხმობთ?**

— დასავლეთში — ევროპასა და ამერიკაში, სადაც გაჩნდა „ლიბერალიზმი“, როგორც იდეოლოგია, და საზოგადოების ცნობიერებაზე ზემოქმედების უმაღლეს წერტილს მიაღწია, უკვე ძირეული ცვლილებებია. უნგრეთი, ავსტრია, იტალია, პოლონეთი ნათელი მაგალითებია იმისა, რომ ამ იდეოლოგიას ბუნაგშივე გამოეცალა საფუძველი. ზუსტად ეს მაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს და **დარწმუნებული ვარ, ის ანტილიბერალური კონსერვატიული მუხტი ადრე თუ გვიან საქართველოშიც მოაღწევს. სხვათა შორის, ამას კიდევ უფრო დააჩქარებენ ლომჯარიასნაირი სულსწრაფი ლიბერალები, რომლებმაც ბოლო პერიოდში რატომღაც ჩათვალეს, რომ დასავლეთიდან ნაკარნახევი ყველა დირექტივის შესრულება ახლა ერთბაშადაა შესაძლებელი. ადრე ისინი ამბობდნენ: „ჯერ საზოგადოება მზად არ არისო“.**

რაც შეეხება ხელისუფლებას და ამ შემთხვევაში პრემიერმინისტრ **მამუკა ბახტაძეს,** რომელსაც ომბუდსმენმა ზოგადი წინადადებით მიმართა, მას უნდა ესმოდეს ერთი რამ, რომ **ქართველი ხალხი „ლიბერალიზმის“ სახადს აუცილებლად მოიხდის;** პრემიერმინისტრები კი მოდიან და მიდიან, რჩება მხოლოდ მათი საქმეები. ამიტომ ვურჩევ მას, რომ გაითვალისწინოს, რომელი ქვეყნის, ერის და კულტურის შვილია. აქედან გამომდინარე მიიღოს გადაწყვეტილება და არა იმის შიშითა და ფიქრით, რა გაუხარდება ან ესიამოვნება უცხოეთიდან მართული ერთი მუჭა „ლიბერალების“ ხროვას...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

# რა მორალზე უნდა გველაპარაკოს შვილის ნათლიაზე გათხოვილი ქალი?!

## საინტერესოა, რომელი კრიტერიუმით უნდა შევაფასოთ, საზოგადოდ, ქართველებმა და კონკრეტულად, სალომე ზურაბიშვილმა, რა არის მორალური და რა ამორალური

**დამოუკიდებელმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა, როცა საკუთარ განცხადებაზე კომენტარი სთხოვეს, ღიმილიანი სახით (როგორ უხდება თან) აღნიშნა, რომ მისი საქმე განცხადებების კეთებაა, კომენტარები კი ანალისტებმა და ჟურნალისტებმა უნდა გააკეთონ.**



ჟურნალისტები გავიგე, აი, ანალისტები რა პროფესიის ხალხია, ვერ მივხვდი და საბოლოოდ, კოლეგებთან კონსულტაციების გავლის შემდეგ, შევთანხმდით, რომ ქალბატონი სალომე ანალიტიკოსებს გულისხმობდა. მართალია, ჩემს კოლეგებში (და არამხოლოდ) განსხვავებული აზრიც არსებობდა, ზურაბიშვილმა ანალისტებში, საზოგადოდ, პოლიტიკური სპექტრის უმრავლესობა იგულისხმაო (და ეს საფუძვლიანი არგუმენტია), მაგრამ ბოლოს მაინც ანალიტიკოსებზე შევჯერდით.

ისე, ამბობენ, ქალბატონი სალომე აღმსარებლობით კათოლიკე-ქრისტიანიაო და მართებულია თუ არა მართლმადიდებლურ ქვეყანაში კათოლიკეს არჩევა პრეზიდენტად, თვითონ განსაჯეთ, თუმცა, კიდევ ვიმეორებ, ამ თემაზე აქტიურად ჯერ კიდევ 2003 წლიდან საუბრობდნენ... და არა მხოლოდ ამ თემაზე. სერიოზული ეჭვი გვაქვს, ქალბატონ სალომეს ოპონენტები წინასაარჩევნოდ აუცილებლად ისაუბრებენ ამაზე და ამიტომ ჩვენ თავს შევიკავებთ.

ისე ჩანს, ქალბატონმა სალომემ მყარი გარანტია მიიღო **ბიძინა ივანიშვილისგან**, რომ მმართველი პარტია სწორედ მას დაუჭერს მხარს და სხვა არავის. სხვაგვარად ის საპრეზიდენტო მარათონში ვერც ფინანსური რესურსით ჩაერთვებოდა და ამომრჩევლის იმედიც არ ექნებოდა. ალბათ, ამიტომ, ივანიშვილის გარანტიებით გათამამებულმა, თავს ისეთი განცხადებების გაკეთების უფლება მისცა, როგორსაც სხვა დროს, ალბათ, მოერიდებოდა. მეტიც, ზურაბიშვილმა დამოძღვრაც დაგვიწყო და ისიც თქვა: ყველა ჩემნაირი უნდა გახდეთ, ანუ ქართველი და თანაც ევროპელიო. ღმერთმა დაგვიფაროს, ყველა ზურაბიშვილს დავემსგავსოთ, მაგრამ...

**„პრეზიდენტმა მორალური და საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტაში უნდა მიიღოს მონაწილეობა“, — ეს ზურაბიშვილმა ერთ-ერთი ტელეკომპანიის პირდაპირ ეთერში განაცხადა და, სავარაუდოდ, ისიც გაიფიქრა, ანალისტებმა და ჟურნალისტებმა გაარჩიონო. ანალისტების რა გითხრათ, მაგრამ საინტერესოა, რომელი კრიტერიუმით უნდა შევაფასოთ, საზოგადოდ, ქართველებმა და კონკრეტულად, სალომე ზურაბიშვილმა, რა არის მორალური და რა ამორალური და უზნეო?! და ადეკვატურია საქართველოში, ტრადიციულ პატრიარქალურ საზოგადოებაში, რომ აღმსრებლობით კათოლიკემ და საკუთარი შვილის ნათლიაზე გათხოვილმა ქალმა (თუნდაც პრეზიდენტმა) მორალის კითხვა დაგვიწყოს?! და რა მორალზე უნდა გველაპარაკოს? ასეთი ადამიანის ასეთი საქციელი გამაერთიენებელი იქნება (როგორც ზურაბიშვილი ცდილობს, საკუთარი პერსონის წარმოჩენას პრეზიდენტის პოსტზე) თუ უფრო მიუღებლობა-გათიშულობისა და გაუცხოების გამომწვევი? თუმცა, რაღა ტრადიციულ-პატრიარქალურში, აგე, სახალხო დამცველი ხომ ამბობს, ტერმინი „ოჯახის უფროსი“ ამოიღეთ კანონიდან, მე აქ ქალი ვარ თუ „პრობკაო“?!**

## «პრეზიდენტმა მორალური და საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტაში უნდა მიიღოს მონაწილეობა»

კიდევ ის არის საინტერესო, რა გაუკეთებია ცხოვრებაში ზურაბიშვილს ისეთი, რითაც მოიპოვა ავტორიტეტი, რომ თავს ამდენის უფლება მისცეს და ხალხმაც მოუსმინოს?! გადავხედე მის ბიოგრაფიას და მისი არსებობის შესახებ, ალბათ, ვერც შევიტყობდით, საქართველოში ელჩად რომ არ გამოეშვათ და მერე სააკაშვილს საგარეო საქმეთა მინისტრად არ დაენიშნა, აქაოდა, გამოცდილი დიპლომატიაო. მის გამოცდილებაში ნჯამენაში (ჩადის რესპუბლიკის დედაქალაქი) ელჩის მეორე მრჩევლობა იგულისხმებოდა, ალბათ, მაგრამ ეს გავლილია და დღევანდელობას მივხედოთ.

ვირს პიტნა ეჯავრებოდა და ცხვირში ტენიდნენო, ასეა ჩვენი საქმეც. ერი და ბერი იმას გაიძახის, ძველ ტრადიციებს ვუღალატეთ, ევროპულ თუ ამერიკულ თარგზე ვიჭრებით და გადაშენების პირას ვართო, ხელისუფლებას კი თითქოს არ ესმის და ჯიუტად ცდილობს ის პოლიტიკა გაატაროს, რომელიც არავის უნდა. ჰო, არავის, თორემ აგერ არის, ბატონებო, არჩევნები და ჩაატარეთ პარალელურად რეფერენდუმი, გაიგეთ, რა სურს ქართველ ხალხს და ეგებ მერე მაინც მიხვდნენ ევროპა და ამერიკა, რომ ილუზიებში ამყოფებს საქართველოს ხელისუფლება, რომ არ გვსურს მშობლების დანომვრა, რომ არ გვინდა ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების დაკანონება, რომ ქართული ტოლერანტობა უკვე იდიოტიზმში გადაიზარდა და საკუთარ მიწაზე მალე უმცირესობა დავრჩებით. მაგრამ არა, ასეთ შემთხვევაში, ძია სემი გრანტებს აღარ გაიღებს და ველარ იტყვის მაღალჩინოსანი: „ფული, ბაბა, ბევრი ფული!“ და კიკუსავით, გაშიშვლების სანაცვლოდ, ვერ ჩაიკუჭავს „თუმნიანებს“ ჯიბეში.

და ამ პირობებში, ამ რეალობაში, როცა ერს გადარჩენის პრობლემა უდგას, გვაიძულებენ, პრეზიდენტად ავირჩიოთ ქალი, თანაც ისეთი, რომელიც ახლავე გვეუბნება: მორალზე მე უნდა გესაუბროთ და თქვენ უნდა მისმინოთო. ისე არ გაგვიგოთ, თითქოს სხვა კანდიდატებით ვიყოთ ბედნიერი და აღფრთოვანებული, არა, ბატონებო! ცხოვრებამ მიგვაჩვია, რომ ბოლო ათწლეულები, არჩევანს ცუდსა და უარესს შორის ვაკეთებთ, თორემ ადრე სხვაგვარად იყო. **პრეზიდენტად, ქვეყნის სახედ, მართლმადიდებელი, ღვთისმოშიში, პატრიოტი ადამიანი გვინდა და არ მითხრათ ახლა: „ასეთი დიმიტრია გელოვანი და ისიც მოკვდაო“.** მორიგი უბედურებისკენ მივექანებით და გამჩერებელიც არავინ ჩანს. არც პასუხს აგებს არავინ, რადგან მშვიდად იტყვიან: შეგვეშალა, ბატონო, რა მოხდა, ვის არ შეშლიაო?! და როგორც **მარგველაშვილის** შემთხვევაში, ყველაფერ ცუდს მას დააბრალებენ; სამაგიეროდ, ევროპისა და ამერიკის თვალში ქულებს დაიწერენ, — დემოკრატიული ქვეყანა ვართ, დამოუკიდებელი პრეზიდენტი გვყავსო და **ერთ მშვენიერ დღეს ამ პრეზიდენტმა სახალხო დამცველს რომ აუბას მხარი, ჰომოსექსუალებს შორის ქორწინების დაკანონებაზე ხმამაღლა ალაპარაკდეს, ოჯახის უფროსობის ცნება გააქროს, მართლმადიდებლობა ფეხქვეშ გათელოს, მხოლოდ ეგ სიტყვები შეგვრჩება, რომ შეგვეშალათ?!** ხომ ყველამ იცის, რომ ეს „დამოუკიდებელი“ კანდიდატი რეალურად მმართველი გუნდის კანდიდატია და აქედანვე გვატყუებენ. **ტყუილით დაწყებული და გაკეთებული საქმე კეთილად როდის დასრულებულა, ეს რომ დასრულდეს?!** თანაც საუბარი ქვეყნის პრეზიდენტზეა და, როგორც არასდროს, სიფრთხილე გვმართებს, თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, პლასტილინი კაცის შემდეგ პლასტილინ ქალს მივიღებთ, რომელსაც, როგორც სურს, ისე რომ მოზელს და საბოლოოდ რას გამოძერწავს, უფალმა უწყის. „ერთი ხისგან ბარიც გამოვა და ნიჩაბიცო“, — ნათქვამია და ერთი პლასტილინისგან, როგორც ჩანს, მმართველ გუნდს ქალის გამოძერწვაც შეუძლია და კაცისაც. კაცი უკვე ვნახეთ, თუმცა ეს ჟურნალია და კინო წინ გველოდება.

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S.. ნეტავ, ის შავი კაცი ვინლა იყო, ჰა?!**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუკი მამალაძე დამნაშავეა, რატომ არ არის გამორკვეული და დადგენილი თანამზრახველები, დამკვეთები, ის ანტურაჟი და გარემოცვა, რომელიც მუდმივად მის გარშემო იყო და ემსახურებოდა მისი პიროვნების რეკორდული სისწრაფით ზესვლას? მხედველობაში მაქვს მისი დაწინაურება, როგორც საეკლესიო რეგალიების თვალსაზრისით, ისე ადმინსტრაციული თანამდებობების კუთხით და სხვ. ამასთანავე, ცნობილია, რომ იგი მოღვაწეობდა ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიაში, იქ ეწეოდა გაურკვეველ საქმიანობას და იყო ერთ-ერთი გავლენიანი ფიგურა...**



# გიორგი ტიგინაშვილი: ეს საქმე მომავალშიც გაგრძელდება და იქნება ძალიან ფატალური და მტკივნეული საქართველოს ეკლესიისთვის

**9 აგვისტოს „ციანიდის საქმეზე“ მსჯავრდადებული გიორგი მამალაძის ადვოკატებმა საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს ოფიციალურად მიმართეს დეკანოზის შეწყალების თხოვნით. განცხადებაში, რომელიც მოგვიანებით მედიაში ფართო განხილვის საგნად იქცა, ნათქვამია, რომ დეკანოზი ქართული მართლმსაჯულების მსხვერპლია და იგი გარკვეული ჯგუფების ინტერესს შეეწირა: „ვის, თუ არა საქართველოს პრეზიდენტს, აქვს პასუხისმგებლობა და უფლება, რომ დეკანოზი გიორგი მამალაძე შეიწყალოს, ვინაიდან ჩვენ ყველა სამართლებრივი დარღვევა, რაც საქმეშია, რა თქმა უნდა, მივაწოდეთ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას“, — განაცხადა მამალაძის ერთ-ერთმა ადვოკატმა გიორგი ფანცულაიამ. მანვე ჟურნალისტის შეკითხვას, აქვს თუ არა პრეზიდენტის მხრიდან თხოვნის დაკმაყოფილების მოლოდინი, უპასუხა, რომ ვერ წარმოუდგენია, პირველმა პირმა სწორი გადაწყვეტილება არ მიიღოს და დეკანოზი არ შეიწყალოს. ფანცულაიას განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილება საზოგადოებაში უკმაყოფილებას არ გამოიწვევს, პირიქით — მოიწონებს პრეზიდენტის გადაწყვეტილებას.**
**შეიწყალებს თუ არა მარგველაშვილი პატრიარქის მდივან-რეფერანტ შორენა თეთრუაშვილის მკვლელობის მცდელობისთვის მსჯავრდადებულ გიორგი მამალაძეს და, თუ შეიწყალებს, რა პოლიტიკურ ჟესტად შეიძლება ეს შეფასდეს? — „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება თეოლოგი გიორგი ტიგინაშვილი.**

**— ბატონო გიორგი, „ციანიდის საქმე“ ისევ აქტუალურია, მამალაძის ადვოკატებმა პრეზიდენტს, რომელსაც კონსტიტუციური ვადის ამოწურვამდე, სულ რაღაც, ორი თვე დარჩა, შეწყალების თხოვნით მიმართეს. პარალელურად ისმის ურთიერთბრალდებები, როგორც სასულიერო პირებს შორის, ისე მათი გარემოცვის წევრების მხრიდან. თქვენი აზრით, თუ პრეზიდენტი მამალაძეს შეიწყალებს, რა პოლიტიკური ნაბიჯი იქნება ეს მისი მხრიდან და, საერთოდ, რა პროცესები შეიძლება ამას მოჰყვეს?**

— თუკი პრეზიდენტი დეკანოზს შეიწყალებს, ეს ნიშნავს, რომ არ დაელოდა სხვადასხვა ინსტანციას, რომლებსაც აქვთ უფრო მაღალი კომპეტენცია, მტკიცებულებები, სამხილები და არგუმენტები. პირველი პირის მოქმედება ამ შემთხვევაში შეზღუდულია იმ მორალური ფაქტორით, რომელიც გულისხმობს ეკლესიის საპატრიარქო ადმინისტრაციის მიმართ ნდობასა და პატივისცემას. შესაბამისად, **რაკი კანონიკური სამართლის აღსრულების კუთხით ბრალდებულს ჯერ კიდევ არ დასდო ერთსახოვანი მსჯავრი წმინდა სინოდმა, ვფიქრობ, პრეზიდენტი არ აჩქარდება და ვერ გაბედავს დეკანოზის შეწყალებას; ვერ გარისკავს თუნდაც იმის გამო, რომ საზოგადოებაში არის ძალიან დიდი დაძაბულობა, ორაზროვნება ამ საკითხის გარშემო...**



გიორგი მამალაძე

**— მაგრამ მამალაძის ადვოკატები ასე არ ფიქრობენ. ისინი ამბობენ, რომ დეკანოზის შეწყალება პროტესტს არ გამოიწვევს, პირიქით, ამ საკითხზე ყველა გაიზიარებს პრეზიდენტის აზრს.**

— მაშინ ჩვენ უნდა ველოდოთ ადვოკატების მხრიდან საჯარო, ღია და გამჭვირვალე სივრცეში მამალაძის უდანაშაულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოჩენას, მაგრამ, **თუ მსგავსი მტკიცებულებები ჰქონდეთ, აქამდეც შეეძლოთ მათი გასაჯაროება.** საერთოდ, ვფიქრობ, რომ **„ციანიდის საქმე“ არ არის ერთი კონკრეტული საქმე. ეს არის ერთგვარი ლაკმუსის ქაღალდი, რომელმაც წარმოაჩინა სისტემაში (ვგულისხმობ როგორც საერო, ისე საეკლესიო სივრცეს) არსებული პრობლემები.** შესაბამისად, ეს პროცესი მალე არ დასრულდება, იგი გაჭიანურდება და იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულებრივი ნარატივი რეალურია, დიდი ალბათობით, მომავალში სხვა დამნაშავეებიც გამოვლინდებიან.

**— ფიქრობთ, რომ დანაშაულის მომზადებაში, თუ ის მართლა მზადდებოდა, მამალაძესთან ერთად სხვა პირებიც შეიძლება ყოფილიყვნენ?**

— ზუსტად ეს შეკითხვები მაქვს პროკურატურასთან: **თუკი ვიღაცამ ციანიდი შეიძინა, მიგვითითონ: სად შეიძინა, ვისგან, რა ვითარებაში. ასევე, როცა გვაჩვენებენ სიუჟეტს, სადაც მამალაძე თავმოწონებით აღნიშნავს, რომ გარკვეულ ძალებს სურდათ მისი დაწინაურება, აღზევება და თანამდებობრივი წინსვლა, გვითხრან, ვინ არიან ის ადამიანები.** აი, ეს საკითხებია დღეს საზოგადოებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა: **თუკი მამალაძე დამნაშავეა, რატომ არ არის გამორკვეული და დადგენილი თანამზრახველები, დამკვეთები, ის ანტურაჟი და გარემოცვა, რომელიც მუდმივად მის გარშემო იყო და ემსახურებოდა მისი პიროვნების რეკორდული სისწრაფით ზესვლას? მხედველობაში მაქვს მისი დაწინაურება, როგორც საეკლესიო რეგალიების თვალსაზრისით, ისე ადმინსტრაციული თანამდებობების კუთხით და სხვ. ამასთანავე, ცნობილია, რომ იგი მოღვაწეობდა ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიაში, იქ ეწეოდა გაურკვეველ საქმიანობას და იყო ერთ-ერთი გავლენიანი ფიგურა...**

**— რუსეთში მამალაძის მოღვაწეობაზე რა იცით?**

— რუსეთში მის მოღვაწეობაზე, სამწუხაროდ, კარგი არაფერი მსმენია. პირიქით, **თუ მოარულ ხმებსა და იმ კონტაქტებს დავეყრდნობი, რომლებიც ჩვენ, თეოლოგებს, გვაქვს სხვადასხვა ეკლესიაში, მისი პიროვნების მიმართ ძალიან ნეგატიური აზრები არსებობდა. ცნობილია, რომ იგი გაეხვია რამდენიმე სკანდალში და მათ შორის იყო როგორც ქონებრივი დავა, ასევე გარკვეული ტიპის ზნეობრივი საკითხები, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, არ არის იმის საფუძველი, რომ მას მკვლელობაში ერთმნიშვნელოვნად დასდონ ბრალი;** მით უფრო, იმ დროს, როცა გამოძიება ამაზე მხოლოდ ირიბად ამახვილებს ყურადღებას და დანაშაულის მტკიცების პარალელურად ღიად, საჯაროდ არ საუბრობს მსჯავრდებულის გარემოცვაზე. შესაძლოა, ადამიანი იყოს დევიაციური, მაგრამ ეს აპრიორი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი დავადანაშაულოთ უმძიმეს ბოროტებაში.

**— მოდი, ლოგიკურად შევხედოთ ამ ყველაფერს. რატომ უნდა იკავებდეს თავს გამოძიება მსჯავრდადებულის გარემოცვის — დამკვეთების, თანამზრახველების, ხელშემწყობი პირების სრულად გამოაშკარავებისგან?**

— ჩემი ვარაუდით, ვინაიდან კათოლიკოს-პატრიარქის ოჯახის წევრები არიან ამ საქმეში გარეული, ვგულისხმობ მიტროპოლიტ **დიმიტრი შიოლაშვილსა** და მის სიძე **სოსო ოხანაშვილს**, სახელმწიფომ, ალბათ, გაითვალისწინა მისი უწმინდესობის მორალური ფაქტორი და ბრალი არ დასდო იმ ადამიანებს, რომლებსაც უზარმაზარი წვლილი მიუძღვით გიორგი მამალაძის პიროვნებად ჩამოყალიბებაში. **მამალაძე, მოგეხსენებათ, პირდაპირ არის დაკავშირებული მეუფე დიმიტრის ოჯახთან, ის არის მისი ნათესავი. ზუსტად ეს ფაქტორები ახდენდა, ჩემი აზრით, ზეგავლენას გამოძიების პროცესზე და ამიტომ ვფიქრობ, რომ „ციანიდის საქმე“ არ დასრულებულა.**

ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს მისი უწმინდესობა და უნეტარესობა, მაგრამ, როდესაც ახალი პატრიარქის კურთხევის საკითხი დადგება, რეალურად ამოტივტივდება და გამოვლინდება ყველა თანამზრახველი, რომლებიც რამე ფორმით ჩართული იყვნენ „ციანიდის საქმეში“. ეს არ არის მხოლოდ ჩემი მოლოდინი, ეს არის ამ საკითხში ჩახედული და კარგად გარკვეული ადამიანების თვალსაზრისიც. კიდევ ვიმეორებ: ეს საქმე მომავალშიც გაგრძელდება და იქნება ძალიან ფატალური და მტკივნეული საქართველოს ეკლესიისთვის...

**«ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს მისი უწმინდესობა და უნეტარესობა, მაგრამ, როდესაც ახალი პატრიარქის კურთხევის საკითხი დადგება, რეალურად ამოტივტივდება და გამოვლინდება ყველა თანამზრახველი, რომლებიც რამე ფორმით ჩართული იყვნენ «ციანიდის საქმეში»**

**— ზოგიერთი სასულიერო (და არა მხოლოდ სასულიერო) პირი ფიქრობს, რომ ის პროცესები, რომლებიც „ციანიდის საქმეს“ მოჰყვა, წინასწარ იყო დაგეგმილი, რათა გარკვეულ ძალებს საპატრიარქოში არსებულ პრობლემებზე აპელირებით ეკლესიის დისკრედიტების მეტი საშუალება ჰქონოდათ. თქვენ რა აზრის ხართ ამაზე?**

— რა თქმა უნდა, „ციანიდის საქმე“ დაგეგმილი იყო, მაგრამ არის მეორე მხარეც: ნებისმიერ პრობლემას საყრდენი შიგნით აქვს, ანუ, თუ ეს ყველაფერი მოამზადეს გარკვეულმა ანტიეკლესიურმა ძალებმა, მაინც ეკლესიაში არსებულ პრობლემებზე მეტყველებს, თუმცა სხვა თვალსაზრისითაც შეიძლება მივუდგეთ ამ ყველაფერს...

**— კონკრეტულად?**

— ის, რაც მოხდა და დღემდე გრძელდება, იყო ღვთის მიერ დაშვებული განსაცდელი ეკლესიისთვის, რათა მოხდეს გარკვეული ფილტრაცია და გაჯანსაღება.

თვით პროცესს რაც შეეხება, ცხადია, არის მტკივნეული, მაგრამ, ჯამში, ეს მოვლენები, როგორი დრამატულიც უნდა ჩანდეს ახლა ეს ყველაფერი, ვფიქრობ, უფრო მეტ დადებით შედეგს გამოიღებს. საერთოდ, ეს „ციანიდის საქმე“ და პროცესები, რომლებიც შემდეგ განვითარდა, პირადად ჩემთვის გასაკვირი არ ყოფილა. მეტიც, ბოლო პერიოდში გარკვეულწილად აუცილებლობაც კი იდგა იმის, რომ ეკლესია არ ყოფილიყო სტაგნაციაში, დახუთულობასა და ჩაკეტილობაში, რათა რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ერთგვარ უცვლელ მოცემულობად ქცეული უძრაობა საპატრიარქოსი საბოლოოდ დასრულდეს...

ესაუბრა **ჭაბა ჭვანია**

**«თუკი მამალაძე დამნაშავეა, რატომ არ არის გამორკვეული და დადგენილი თანამზრახველები, დამკვეთები, ის ანტურაჟი და გარემოცვა, რომელიც მუდმივად მის გარშემო იყო და ემსახურებოდა მისი პიროვნების რეკორდული სისწრაფით ზესვლას? მხედველობაში მაქვს მისი დაწინაურება, როგორც საეკლესიო რეგალიების თვალსაზრისით, ისე ადმინსტრაციული თანამდებობების კუთხით და სხვ. ამასთანავე, ცნობილია, რომ იგი მოღვაწეობდა ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიაში, იქ ეწეოდა გაურკვეველ საქმიანობას და იყო ერთ-ერთი გავლენიანი ფიგურა»**

**პარლამენტმა მიიღო მნიშვნელოვანი კანონი, რომელიც ჰაერივით სჭირდებოდა დღევანდელ საქართველოს. ყოფილმა პრემიერმა კი კანონის მოთხოვნით შექმნილი კომიტეტი დააკომპლექტა იმ ხალხით, რომელიც აღნიშნული კანონის წინააღმდეგი იყო, და ბიუჯეტიდან დააფინანსა.**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვაფრთხილებთ ოფიციალურ სტრუქტურებს: მზადდება მორიგი პროვოკაცია ქართველური ენების თემის გამოყენებით!

# მიმართვა

**ეს მიმართვა მზად გვქონდა გამოსაქვეყნებლად, როცა ყურადღება მიიპყრო „საერთო გაზეთში“ (რედაქტორი ვახტანგ ხარჩილავა) დაბეჭდილმა აკადემიკოს ავთანდილ არაბულის წერილმა „დიახ, ეს ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული იდეოლოგიური დივერსიაა!“. გადავწყვიტეთ, ჩვენი მიმართვის შესავალი ნაწილი მთლიანად შეგვეცვალა აღნიშნული წერილიდან ამონარიდებით და ამ სახით მიგვეწოდებინა საზოგადოებისთვის ბატონ ავთანდილ არაბულის ტკივილი, რომელმაც ყველა გულანთებული ქართველის სათქმელი თქვა და მოგვიწოდა სიფხიზლისა და გონიერებისკენ.**



ჩვენი უახლესი ისტორიის გათვალისწინებით, აბა, რა გასაკვირია, თუ ქართული სახელმწიფო ენის, საზოგადოდ, ენობრივი პოლიტიკის საკითხი ის მტკივნეული სფერო აღმოჩნდა, რომლის მიმართაც განსაკუთრებული იდეოლოგიური და შორსმიმავალი ინტერესი გამოავლინეს დივერსანტებმა. რა გასაკვირია, თუ ქართული სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი კრიზისი ამ სფეროში განსაკუთრებულად გამოვლინდა. მართლაც არ გვჭირს სასახელო საქმე: მაშინ, როცა ყველა პოსტსაბჭოურმა სახელმწიფომ ენობრივი პოლიტიკა, უკვე კარგა ხანია, რაციონალურად დაალაგა, ჩვენ დღემდე ვერ მივაღწიეთ გარკვეულობას ამ საკითხში.

ამიტომაც ამ მიმართულებით მართლაც დიდ მონაპოვარად უნდა მივიჩნიოთ (და ასეც შეფასდა) სახელმწიფო ენის კანონი, რომელიც პარლამენტმა 2015 წლის 22 ივნისს დაამტკიცა. ჩვენს ქვეყანაში ამ კანონამდე მისვლას მეოთხედ საუკუნეზე მეტი დასჭირდა (მაშინ, როცა ბალტიისპირელებმა ჯერ კიდევ 1989 წელს შექმნეს ამგვარი საკანონმდებლო პრეცედენტი). აღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებით ინტენსიური ჩვენს სინამდვილეში იყო ამ საუკუნის პირველი წლები და „ქართული ოცნების“ პირველი პარლამენტის ორ-ნახევარი წელიწადი. რაც შეეხება ნაცხელისუფლების ხანგრძლივ შუალედს, მათ შესაძლებლობაც კი მოსპეს, მეტიც — კვალის წაშლაც კი სცადეს ამ მიმართულებით გავლილი მნიშვნელოვანი გამოცდილებისა!

აღნიშნულის ფონზე მართლაც გასაკვირია, როგორ დაუსხლტა ამდენ წინააღმდეგობას მითითებული საკანონმდებლო ინიციატივა სახელმწიფო ენის შესახებ (ერთ-ერთი მძაფრი განხილვის დროს ასეთი სწორი, მაგრამ არცთუ ტაქტიანი ფრაზაც კი წამომცდა: ლუსტრაციის კანონი რომ მიღებული ყოფილიყო, ენის კანონი უკვე დიდი ხნის დამტკიცებული იქნებოდა!), ამიტომაც ქებას იმსახურებს მაშინდელი კომიტეტის თავმჯდომარე — ბატონი **ივანე კიღურაძე,** თითქმის მთელი კომიტეტი.

და, აი, ამ რის ვაი-ვაგლახით მიღებულ კანონს **კვირიკაშვილმა** პრემიერის პოსტზე მოსვლისთანავე წიხლი დააჭირა.

არც რაიმე განმარტება გაუკეთებია ეროვნული ღირსების ესოდენი შეურაცხყოფის გამო. და **როდესაც იძულებული გახდა, ბოლოს და ბოლოს, შეექმნა კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, ისე დაამახინჯა ამ კანონის რეალურად განმახორციელებელი ერთადერთი სამთავრობო სტრუქტურის იდეა, ისე დააკომპლექტა კოაბიტაციური ძალებით, რომ მის შემადგენლობაში აღმოჩნდა თითქმის ყველა ის, ვინც ღიად, აქტიურად იბრძოდა სახელმწიფო ენის კანონის წინააღმდეგ. რა გასაკვირია, თუ ამ ე.წ. დეპარტამენტის პირველივე ნაბიჯები წარმოაჩენს იმას, თუ რა სიკეთეს უნდა ველოდოთ მათგან.**

კერძოდ, მათ განუზრახავთ, ქართველური ენების ხსენება გააქრონ სახელმწიფო ენის კანონიდან და ეს მუხლი ისე შეცვალონ, რომ მასში ადვილად შეაღწიონ და ჩვენგან მოსავლელ, ჩვენს საგულშემატკივრო მემკვიდრეობას თავიანთი „ნიველირები“ მოარგონ ათასგვარმა უფლებადამცველმა სუბიექტებმა.

**არაორაზროვნად ვაფრთხილებთ ქართველ საზოგადოებას, ჟურნალისტთა კორპუსს, ეროვნულ ინსტიტუტებსა და საღად მოაზროვნე ინტელიგენციას, ვაფრთხილებთ ოფიციალურ სტრუქტურებს: მზადდება მორიგი პროვოკაცია ქართველური ენების თემის გამოყენებით!** ეს იქნება ამ ნიშნით დივერსიის უკვე მესამე ეტაპი, რომელსაც შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვეს. ყოველი ასეთი პროვოკაცია ჩვენი ქვეყნისთვის კრიტიკულ პერიოდს ემთხვევა და თავის მძიმე ნაკვალევსაც ტოვებს. პირველი ეტაპი, რა გასაკვირია, 90-იან წლებს უკავშირდება და ის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელია მაშინდელი სახელმწიფოებრივი ცნობიერების ეროზიისა; მეორე ეტაპი, ცხადია, ნაცხელისუფლების პერიოდზე მოდის და მაშინ ამ „ლინგვოპოლიტიკოსებმა“ ლამის საბოლოო გამარჯვებაც კი მოიპოვეს. ვეჭვობ, ახლა ამ გამოცდილმა პროვოკაციულმა ძალებმა კვლავ მიიღეს რაღაც კრიტიკული პერიოდის მოახლოების ნიშანი და სხვა დესტრუქციულ პროცესებთან ჰარმონიაში ამოქმედდნენ...



ლაშა გახარია

დიდი ხანია, ვიცნობთ **ფუტკარაძეს**, რომელიც ენათმეცნიერების ინსტიტუტიდანაც კი გარიცხეს თავისი ანტიქართული მოღვაწეობის გამო, და რომელმაც პატრიარქიც კი შეიყვანა შეცდომაში; ვიცნობთ მის ჯგუფს, ასევე ცალკეულ მეცნიერებს, რომლებიც დღესაც თვით დედაუნივერსიტეტშიც ტვინს ურეცხავენ ახალგაზრდებს, თავში უტენიან აზრს, რომ არ არსებობს არავითარი ქართველური ენები. ყველა ეს ვაიმეცნიერი უარყოფს თავისი სამშობლოს წარსულს, უარყოფს თავის მასწავლებლების, დიდი მეცნიერების შრომებსა და მეცნიერულ კვლევებს. ჩვენ ვსვამთ კითხვებს: **ვინ და რა ფასად აიძულა ეს ხალხი, აწარმოოს იდეოლოგიური ბრძოლა ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ? მიჩქმალოს ნამდვილი ისტორია, როგორც ეს შურით გააკეთეს „ქართლის ცხოვრების“ ავტორებმა, როცა ამოაგდეს ისტორიიდან კოლხური კულტურის, მისი აყვავების მთელი პერიოდი?**

ჩვენ ვიცოდით თითქმის ყველაფერი, რაც ხდებოდა ქართველური ენების გარშემო ბოლო 30 წლის განმავლობაში და ნამდვილად არ გვეგონა, თუ კიდევ გაგვაოცებდა რამე. გაოცება არ ჰქვია იმას, რაც ჩვენ დაგვეუფლა ბატონ ავთანდილ არაბულის წერილის წაკითხვის შემდეგ. ეს იყო გაბრაზება. გაბრაზება იმის გამო, რომ **სახელმწიფო ჩვენი ფულით აფინანსებს ისეთ ხალხს, რომელიც ებრძვის ჩვენს კულტურას, ჩვენს წარსულს, ქართულ და ქართველურ ენებს. რა კრიტერიუმით შეირჩა და დაინიშნა უავტორიტეტო, რიგითი ფილოლოგი, ბატონი ალიბეგაშვილი ასეთი მნიშვნელოვანი „სახელმწიფო ენის დეპარტამენტის“ ხელმძღვანელად, როცა მას საკრებულოშიც არაფრით გამოუჩენია თავი? „რატომღაც კომიტეტის შემადგენლობაში აღმოჩნდა თითქმის ყველა ის, ვინც ღიად, აქტიურად იბრძოდა სახელმწიფო ენის კანონის წინააღმდეგ“,** — წერს ბატონი ავთანდილ არაბული.

ნახეთ რა ხდება: **პარლამენტმა მიიღო მნიშვნელოვანი კანონი, რომელიც ჰაერივით სჭირდებოდა დღევანდელ საქართველოს. ყოფილმა პრემიერმა კი კანონის მოთხოვნით შექმნილი კომიტეტი დააკომპლექტა იმ ხალხით, რომელიც აღნიშნული კანონის წინააღმდეგი იყო, და ბიუჯეტიდან დააფინანსა.**

აკადემიკოს ავთანდილ არაბულის წერილმა კიდევ უფრო დაგვარწმუნა ჩვენი იდეის განხორციელების აუცილებლობაში. იდეა კი მდგომარეობს შემდეგში: **კოლხურ (მეგრულ) ენაზე გამოცემული ყველა წიგნი შევაგროვოთ და მოვათავსოთ ლაშა გახარიას სახლ-მუზეუმში, რადგან გვწამს, მოვა დრო და კოლხური კულტურის გასაცნობად, მისი დღევანდელი მდგომარეობის შესასწავლად საერთაშორისო დონის მეცნიერები ჩამოვლენ, რადგან თეორიულ და არქეოლოგიურ მეცნიერებაში მძიმედ, მაგრამ მაინც ხდება მსოფლიოში ახალი აღმოჩენები კოლხური კულტურისა და დამწერლობის შესახებ.** მარტო „ფესტოსის დისკოს“ გაშიფრვა რად ღირს. ხომ უთხრეს ბატონ **გია კვაშილავას** ინგლისში ერთ-ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე: „ყველაზე სწორ გზაზე ჩვენ შორის თქვენ დგახართო“.

უნდა თუ არა ეს ფუტკარაძესა და მის გუნდს, ასევე ახალ „კანტორაში“ ნეპოტიზმით გაწესებულ ალიბეგაშვილსა და მის „ამალას“, ქართველურ, კოლხურ (მეგრულ) ენაზე გამოდის შესანიშნავი წიგნები, როგორც შინაარსობრივად, ისე პოლიგრაფიულად, ლექსიკონები, ლექსები, ნოველები, თარგმანები.

ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მუხურში, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ინიციატივით გაიხსნა ლაშა გახარიას სახლ-მუზეუმი, აღადგინეს ძველი ოდა, რომელშიც დაიბადა და გაიზარდა პოეტი. გამოიყო ერთი საშტატო ერთეული ყოველთვიური დაფინანსებით.

5-6 თვის წინათ ჩვენი წარმომადგენელი ჩავიდა ჩხოროწყუში, შეხვდა მერს — ბატონ **დავით გოგუას** და ჩვენი იდეა გააცნო, მან კი შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებაც აღგვითქვა.

ლაშა გახარია XX საუკუნის 70-იან წლებში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე და იმთავითვე მიიქცია მკითხველთა ყურადღება. ლაშა საკუთარი ხედვის, საკუთარი ხელწერის პოეტი იყო. მისი ლექსები გამოირჩევა უშუალობითა და გულწრფელობით, სამშობლოსა და მისი მშობლიური კუთხის სიყვარულით.

ქართულ პოეზიასთან ერთად ლაშა გახარიამ მეგრული ლექსებითაც მოგვაწონა თავი. „მოგვაწონა“ ის სიტყვა არ არის, რომელიც სრულად ასახავს მის მიერ შექმნილი მეგრული ლექსების მხატვრულ ღირებულებას და სიდიადეს. გადაჭარბებული არ იქნება, განვაცხადოთ, რომ მან მშობლიური კუთხის ენაზე შედევრები შექმნა. მისი რამდენიმე მეგრული ლექსი, ზოგადად, ქართული პოეზიის, ქართულენოვანი სულიერი საგალობლების ფასდაუდებელ საგანძურად შეიძლება ჩაითვალოს. ის იყო მეგრული ენის უბადლო მცოდნე.

**კაპიტონ გახარია** ლაშას მამა გახლდათ. ახლახან გახარიების საგვარეულოს მხარდაჭერით გამოიცა პოეტური კრებული „მუმა-სქუაშ ლერსეფი“ (მამა-შვილის ლექსები), რომელშიც ლაშასა და ბატონ კაპიტონის მეგრული ლექსებია დაბეჭდილი. ამ კრებულიდან ჩანს, თუ საიდან იღებდა სათავეს ლაშას პოეზია. პოეტ ზაალ ჯალაღანიას თქმით, „ისინი ლამაზად ავსებენ ერთმანეთს, ისე, რომ არც ერთს საკუთარი პოეტური ინდივიდუალიზმი არ ეკარგება“.

ამ ჩვენი ინიციატივით, რომელსაც განვახორციელებთ ყველანი ერთად, ქართველური ენების წარსულითა და მომავლით დაინტერესებულ საზოგადოებას, მეცნიერ მკვლევარებს ხელს შევუწყობთ, რომ შესანიშნავი პოეტის სახლმუზეუმში თავმოყრილი იხილოს და გაეცნოს მეგრულ ენაზე გამოცემულ ლიტერატურულ თუ მეცნიერულ წიგნებს.

**მოგმართავთ ყველას — მეგრულ ენაზე გამოცემული წიგნების ავტორებს, მთარგმნელებს, მეცნიერული ნაშრომების ავტორებს, მათ ნათესავებს! გთხოვთ, მოიტანოთ თქვენი წიგნები შემდეგ მისამართებზე:**

**1. ქ. ზუგდიდში — გამარჯვების ქ. №13 (სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ოფისი);**

**2. ქ. თბილისში, ტაშკენტის ქ. №25, I სადარბაზო, ბინა 1;**

**3. მარტვილში — ფაუსტ ნადარაიასთან.**

წიგნში უნდა იყოს ფურცელი წარწერით, განკუთვნილია ლაშა გახარიას სახლ-მუზეუმისთვის.

**პატივისცემით,**

**გიორგი სიჭინავა,**
მწერალი, ჟურნალ „აიას“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი;

**ზაურ გახარია,**
ჟურნალ „აიას“ რედაქტორი, გახარიების საგვარეულო საბჭოს თავმჯდომარე;

**ზურაბ კვარაცხელია,**
სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ კოორდინატორი;

**ფაუსტ ნადარაია,**
მწერალი, დამოუკიდებელი გაზეთ „მარტვილის“ გამომცემელი და მთავარი რედაქტორი

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ისტერიული საინფორმაციო ფონიდან სულაც არ გამომდინარეობს, რომ ზურაბიშვილი „ოცნების“ მხარდაჭერით არჩევნებს ვერ მოიგებს. ეს შეიძლება სამმა ფაქტორმა უზრუნველყოს: ა) მმართველ პარტიას გაცილებით მეტი რესურსი აქვს, ვიდრე ყველა კონკურენტს, ერთად აღებულს; ბ) ამომრჩეველთა დიდი ნაწილი არ მიიჩნევს სააკაშვილის რეჟიმს უდანაშაულოდ 2008 წლის მოვლენებში და ამ თემაში ჩაღრმავება ზურაბიშვილს შესაძლებლობას მისცემს, „ნაცებთან მებრძოლის“ წაუგებელი თამაში დაიწყოს; გ) ამომრჩეველთა მნიშვნელოვან ნაწილს ისე ეზიზღება ნაციონალები, რომ მათი რევანშის შიშით ხმა შეიძლება არათუ ზურაბიშვილს, არამედ ლუციფერსაც კი მისცეს.**

**საპრეზიდენტო არჩევნებმა დამატებითი ინტრიგა შეიძინა — „ქართული ოცნება“ სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერის შესახებ განცხადების გაკეთებას არ ჩქარობს. შესაძლოა, ის ყველა კანდიდატის დასახელებას ელოდება, თუმცა ექსპერტების ნაწილმა ამის საფუძველზე ჩათვალა, რომ გადაწყვეტილება საბოლოო არ არის და ივანიშვილმა შეიძლება ყველაფერი გადაათამაშოს.**

# ვინ და რატომ ებრძვის სალომე ზურაბიშვილს?



განცხადება იმაზე, რომ „ქართულ ოცნებას“ საკუთარი საპრეზიდენტო კანდიდატი არ ეყოლება და მხარს დამოუკიდებელ კანდიდატს დაუჭერს (ან საერთოდ არავის), ბიძინა ივანიშვილმა 24 ივლისს გააკეთა. სანამ ეს მოხდებოდა, პარლამენტმა საგულისხმო საკანონმდებლო ცვლილება მიიღო და, „საარჩევნო კოდექსის“ კორექტირებისას ცვლილება მის 98-ე მუხლშიც შეიტანა. ამიერიდან ცესკო-ში წარდგენილ „განცხადებას უნდა ერთვოდეს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის ხელწერილი, რომ იგი იმავე დროს არ არის სხვა სახელმწიფოს მოქალაქე. თუ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი სხვა სახელმწიფოს მოქალაქეცაა, განცხადებას უნდა ერთვოდეს დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატმა მიმართა სხვა, შესაბამისი სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოს ამ სახელმწიფოს მოქალაქეობიდან გასვლის შესახებ“. უკლებრივ ყველა კომენტატორმა, რომლებმაც ამის თაობაზე მოსაზრება გამოთქვეს, განაცხადა, რომ კოდექსი სპეციალურად ზურაბიშვილისთვის ჩაასწორეს. საქმე ისაა, რომ მან უკვე მიმართა საფრანგეთის ხელისუფლებას განცხადებით მოქალაქეობიდან გასვლის შესახებ, მაგრამ პროცედურამ შეიძლება რაღაც პერიოდი დაიკავოს, შესაბამისად, წარმოიშვას იურიდიული კოლიზია, რომელიც ზურაბიშვილის მონაწილეობას არჩევნებში შეუძლებელს გახდის.

საინტერესოა, რომ 2013-ში, როდესაც სალომე ზურაბიშვილმა პირველად დააპირა მონაწილეობის მიღება საპრეზიდენტო არჩევნებში, ცესკო-მ რეგისტრაციაზე უარი იმ საბაბით უთხრა, რომ კონსტიტუცია ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს ამ თანამდებობის დაკავებას უკრძალავს. ზურაბიშვილი მაშინ ამტკიცებდა, რომ აკრძალვა ეხება უკვე არჩეულ პრეზიდენტს და არა არჩევნებში მონაწილე კანდიდატს. მომდევნო წლებში ზურაბიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“ საერთო ენა გამონახეს. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მთაწმინდის მაჟორიტარულ ოლქში მათ წარმატებით გამოსცადეს „დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდაჭერის“ სქემა. ბოლოს კი საქმე „საარჩევნო კოდექსში“ ერთ პირზე მორგებული ცვლილებების შეტანამდე მივიდა.

ნაციონალები და მათთან აფილირებული ჯგუფები სალომე ზურაბიშვილს აგვისტოს ომთან დაკავშირებული პოზიციის გამო აკრიტიკებენ. ამის მორალური უფლება ნაკლებად აქვთ, რადგან 2008-ში სააკაშვილის ხელისუფლება დაეთანხმა და ხელი მოაწერა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1633-ე რეზოლუცია, რომლის მე-5 პუნქტში ნათქვამია: „2008 წლის 7 აგვისტოს საქართველოს სამხედრო ძალების მიერ ცხინვალის დაბომბვის გაუფრთხილებლად დაწყებით ესკალაცია ახალ, კერძოდ ღია და სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების საფეხურზე გადავიდა. მძიმე არტილერიისა და კასეტური ბომბების გამოყენება, რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა სამოქალაქო მოსახლეობას, წარმოადგენდა სამხედრო ძალის არაპროპორციულ გამოყენებას საქართველოს მხრიდან, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ხდებოდა მისი ტერიტორიის ფარგლებში; და, როგორც ასეთი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და საქართველოს მიერ აღებული ვალდებულების დარღვევას, კონფლიქტები გადაწყვიტოს მშვიდობიანი საშუალებებით“. შეუძლებელია, ხელს აწერდე ამას და ამავე დროს სხვას, ამ შემთხვევაში, სალომე ზურაბიშვილს ანალოგიური პოზიციის გამოხატვისთვის „მოღალატეს“ უწოდებდე, თუმცა აქ უფრო საგულისხმოა სხვა რამ.

**ნაციონალების კამპანიის ფონზე, გამოჩნდა რამდენიმე ექსპერტი, რომლებიც დაუცხრომლად ამტკიცებენ, რომ ზურაბიშვილის მხარდაჭერა ამ სკანდალის ფონზე „ქართულ ოცნებას“ ამომრჩევლებს დააკარგვინებს. ისინი პირდაპირ ან ირიბად მოუწოდებენ ივანიშვილს, ზურაბიშვილის მხარდაჭერის გადაწყვეტილებას გადახედოს.**

აქ შეიძლება გაჩნდეს რამდენიმე კითხვა:

**თუ ზურაბიშვილის განცხადება აგვისტოს ომზე ასეთი კომპრომატია, რატომ არ შემოინახეს ნაციონალებმა ეს თემა გადამწყვეტი მომენტისთვის, ანუ იმ პერიოდისთვის, როდესაც „ქართულ ოცნებას“ მხარდაჭერა ზურაბიშვილის მიმართ უკვე გამოხატული ექნებოდა, ხოლო რეგისტრაცია დასრულებული?** თუმცა ისინი ისე მოქმედებენ, თითქოს ურჩევნიათ, ბიძინა ივანიშვილმა ყველაფერი გადაათამაშოს და, მოწყვლადი კანდიდატის ნაცვლად, მხარი უფრო ძლიერს დაუჭიროს. ამან შეიძლება ორი ეჭვი გააჩინოს: ა) ნაციონალები ხვდებიან, რომ ეს კამპანია ამომრჩეველთა განწყობაზე არსებით გავლენას ვერ მოახდენს; ბ) ისინი სხვისი ინსტრუმენტის როლს ასრულებენ, რადგან აშკარაა, რომ მათ ინტერესებში იყო თემის აქტუალიზაცია უკვე მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნება“ ფსონს საბოლოოდ და საჯაროდ გააკეთებდა.

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ის, რომ ხაზი კიდევ ერთ გარემოებას გავუსვათ: ხსენებული ექსპერტები ცდილობენ, გააიგივონ რამდენიმე ასეული ადამიანის (თუ „ბოტის“) პოზიცია სოციალურ ქსელებში საზოგადოებრივ აზრთან, ხოლო მათი სტატუსები — საზოგადოების პოზიციასთან. ეს კარგად აპრობირებული ხერხია. სინამდვილეში, ვერავინ გაიგებს, რა გავლენა მოახდინა „აგვისტოს სკანდალმა“ ზურაბიშვილის რეიტინგზე მანამ, სანამ მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი სოციოლოგიური მონაცემები არ გამოქვეყნდება და არ გაჩნდება მათი შედარების შესაძლებლობა, თუმცა ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ ერთ-ერთი ბოლო მაგალითი. ივნისში თანამდებობაზე თეა წულუკიანის დარჩენის თაობაზე სოცქსელებში ნამდვილი აპოკალიფსი სუფევდა — ივანიშვილს ულტიმატუმებს უყენებდნენ და აფრთხილებდნენ, ეს ნაბიჯი არ გადაედგა. მან კი ყურადღება არ მიაქცია, წულუკიანი დატოვა და დღეს, არათუ ქუჩაში, სოცქსელებშიც კი ამას თითქმის არავინ აპროტესტებს (ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ წულუკიანი იდეალური მინისტრია, უფრო — პირიქით). ასეა ახლაც — **ისტერიული საინფორმაციო ფონიდან სულაც არ გამომდინარეობს, რომ ზურაბიშვილი „ოცნების“ მხარდაჭერით არჩევნებს ვერ მოიგებს. ეს შეიძლება სამმა ფაქტორმა უზრუნველყოს: ა) მმართველ პარტიას გაცილებით მეტი რესურსი აქვს, ვიდრე ყველა კონკურენტს, ერთად აღებულს; ბ) ამომრჩეველთა დიდი ნაწილი არ მიიჩნევს სააკაშვილის რეჟიმს უდანაშაულოდ 2008 წლის მოვლენებში და ამ თემაში ჩაღრმავება ზურაბიშვილს შესაძლებლობას მისცემს, „ნაცებთან მებრძოლის“ წაუგებელი თამაში დაიწყოს; გ) ამომრჩეველთა მნიშვნელოვან ნაწილს ისე ეზიზღება ნაციონალები, რომ მათი რევანშის შიშით ხმა შეიძლება არათუ ზურაბიშვილს, არამედ ლუციფერსაც კი მისცეს.**

ალბათ, ყველა დამოუკიდებელ კანდიდატს მოსწონს, რომ ზურაბიშვილს „ძირავენ“ (და ხელს უწყობენ ამას), რადგან აქვთ იმის იმედი, რომ ფორს-მაჟორულ ვითარებაში, სააკაშვილის მოწინააღმდეგეების უმეტესობის შემაკავშირებელ ფიგურად იქცევიან და არჩევნებს მოიგებენ. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის ფუნქცია საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ სიმბოლურია, საყოველთაო არჩევნებზე მიღებული მხარდაჭერა საკუთარი თამაშის წამოწყებისთვის აუცილებელ რესურსს მისცემთ.

**ფართოდ გავრცელებულია ვარაუდი, რომ ზურაბიშვილის „დისკვალიფიკაცია“ ხელს აძლევთ გარკვეულ ჯგუფებს „ქართულ ოცნებაში“, თუმცა მათ მოტივებთან დაკავშირებით სრული გაუგებრობაა.** ზოგიერთი ავტორი, კონსპიროლოგიაში იძირება და ამტკიცებს, რომ ისინი აპირებენ, პრეზიდენტის პოსტი ნაციონალებს, უფრო სწორად „ევრონაციონალებს“ (რამ გაყო) დაუთმონ, რადგან ამას დასავლელი პარტნიორები მოითხოვენ; ზოგი ირწმუნება, რომ მათ დაუკმაყოფილებელი ამბიცია ამოძრავებს. საუბარია მათზე, ვინც ახლო წარსულში სახელისუფლო პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატად მოიაზრებოდა, და მათ უკან მდგომ ჯგუფებზე. თუმცა აქ შეიძლება მოიძებნოს კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც ამ (პრინციპში ვიწრო) წრისთვის „გამაძლიერებლის“ როლს ასრულებს და შესაძლებლობას აძლევს, ზურაბიშვილის წინააღმდეგ წარმოებულ ფარულ ბრძოლაში ელიტის საკმაოდ სერიოზულ მხარდაჭერას დაეყრდნოს.

საქმე ის როდია, რომ ზურაბიშვილს რთული ხასიათი აქვს და ძნელად სამართავია, გარკვეულ სიტუაციებში კი — უმართავი, მმართველი ელიტის მიერ ზურაბიშვილი განიხილება, როგორც ქართული ემიგრაციის წარმომადგენელი და ლობისტი. დღევანდელი ქართული ელიტა ოდნავ სახეცვლილი საბჭოთა ელიტაა. ის ემიგრაციას, განსაკუთრებით „ძველს“, თითქოს პატივს მიაგებს, თუმცა რეალურად მის ზედა ფენას კონკურენტად და „უცხო სხეულად“ აღიქვამს. **ეს ადამიანები ზურაბიშვილის გაპრეზიდენტებაში ზედმეტ პრობლემას ხედავენ, რომელმაც ერთგვარი „პლაცდარმი“ შეიძლება შექმნას ემიგრანტებისთვის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათ ძლიერ მფარველად მოევლინოს. „წითელ ელიტას“ ეს არაფერში სჭირდება. შესაძლოა, სწორედ ეს ქვეტექსტი შესაძლებლობას აძლევს სალომე ზურაბიშვილის მოწინააღმდეგეებს, როგორც მმართველ პარტიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ შედარებით ფართო მხარდაჭერა მოიპოვონ.**

**საბოლოო გადაწყვეტილებას ბიძინა ივანიშვილი მიიღებს. ის, როგორც ჩანს, ცდილობს, მანევრის თავისუფლება ბოლომდე შეინარჩუნოს და მაქსიმალურად გამოფიტოს პროცესის ყველა მონაწილე. «ქართული ოცნების» წარმომადგენლები ხან მხარს უჭერენ ზურაბიშვილს ნაციონალებთან პოლემიკაში (ვოლსკი), ხან აცხადებენ, რომ არ ჩამოყალიბებულან, რომელ დამოუკიდებელ კანდიდატს დაუჭერენ მხარს (მდინარაძე, სერგეენკო და სხვები). ყველაფერი ისევ იქითკენ მიდის, რომ ნაციონალების რევანშის საფრთხით შეშინებული «2012 წლის ამომრჩეველი» მხარს ივანიშვილის ნებისმიერ გადაწყვეტილებას დაუჭერს**

საბოლოო გადაწყვეტილებას ბიძინა ივანიშვილი მიიღებს. ის, როგორც ჩანს, ცდილობს, მანევრის თავისუფლება ბოლომდე შეინარჩუნოს და მაქსიმალურად გამოფიტოს პროცესის ყველა მონაწილე. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ხან მხარს უჭერენ ზურაბიშვილს ნაციონალებთან პოლემიკაში (ვოლსკი), ხან აცხადებენ, რომ არ ჩამოყალიბებულან, რომელ დამოუკიდებელ კანდიდატს დაუჭერენ მხარს (მდინარაძე, სერგეენკო და სხვები). ყველაფერი ისევ იქითკენ მიდის, რომ ნაციონალების რევანშის საფრთხით შეშინებული „2012 წლის ამომრჩეველი“ მხარს ივანიშვილის ნებისმიერ გადაწყვეტილებას დაუჭერს გარდა ერთი ასპექტის, ნაციონალებისთვის პრეზიდენტის პოსტის დათმობის გარდა; ამ შემთხვევაში ეს ადამიანები „შუშის სასახლეს“ თავზე დაამხობენ.

**წვიმების პერიოდი დაიწყო და ნათლად გამოჩნდა, რომ სამ მილიარდ ლარზე მეტი წყალს მიაქვს. პრინციპში, რაღა მიაქვს, წაიღო უკვე და საქართველოში არ დარჩა კუთხე, სადაც წყალმა და მეწყერმა „საფუძვლიანად“ გაკეთებული ჯებირები არ გაანგრია, მეწყერსაშიშ ზონებში მიწის შემაკავებელი ბარიერები არ ჩამოშალა და ჩამარხა. ახლა უკვე კიდევ ერთი ყოფილი პრემიერი, ბიძინა ივანიშვილიც, ამბობს, რომ კვირიკაშვილი და ალავიძე, პრაქტიკულად, ერთპიროვნულად წყვეტდნენ ყველაფერს და ამ სავალალო შედეგამდე ამიტომ მივედითო, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, პასუხისგებაში არავის მისცემენ და ეს სამი მილიარდი ისევ ჩვენი გადასახდელია.**

პარადოქსების ქვეყანა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2012 წელს ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღიდან „ქართული ოცნების“ ლიდერებმა საჯაროდ განაცხადეს: „ნაცმოძრაობის“ მმართველობის 9 წლის განმავლობაში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები ბუტაფორია იყო, რეალურად არაფერი კეთდებოდა და „ატკატების“ სახით თანხები რამდენიმე ადამიანის ჯიბეში მიდიოდაო. ამ ყველაფერზე გამოძიებაც დაიწყო, რამდენიმე კაცი დაკითხეს კიდეც, მაგრამ სწორედ გამოძიება აღმოჩნდა „ბუტაფორია“ — არავინ დაუკავებიათ, მაგრამ „ატკატების“ თემა კარგად შეისწავლეს და ამ პროცესის სიამესაც მიხვდნენ.**

# ხელისუფლებამ 3 მილიარდი ლარი წყალს გაატანა



2014 წელი სახელმწიფომ ინფრასტრუქტურული პროექტების წელიწადად გამოაცხადა და რეგიონებში ბული დააყენა. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მდინარეებსა და მათ კალაპოტებს, აქაოდა, პატარა ღელეებიც კი ზაფხულობით დიდდება და მოსახლეობას აზარალებსო. პარალელურად, დედაქალაქში საზეიმოდ გახსნეს შემოვლითი გზა, რომელიც ვერეს ხეობაზე გადიოდა და, იმის მიუხედავად, რომ რამდენიმე ექსპერტმა მაშინ ეჭვი გამოთქვა, ვერეს ხეობაში არსებული სანიაღვრე არხები დიდი ნალექის შემთხვევაში გაიბიდნებაო, მათ არავინ მოუსმინა. შედეგად მივიღეთ 2015 წლის 13 ივნისის ტრაგედია, როცა ადიდებულმა ვერემ ზოოპარკის ბინადარნი და 19 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ისე, ასეთი რამ მხოლოდ საქართველოში შეიძლება მოხდეს — 19 ადამიანის სიკვდილის გამო პასუხი არავის აგებინეს და ყველაფერი წინა ხელისუფლებას დაბრალდა, თუმცა, ამ ბრალის მიუხედავად, არც იმ ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელი დაუსჯიათ.

სამაგიეროდ, ხელისუფლება თავს იწონებდა, ინფრასტრუქტურულ პროექტებში სამ მილიარდ ლარზე მეტი დავხარჯეთო. კი ამბობდნენ ვიღაცები, ყველაფერი ზერელედ კეთდებაო და ეს ხმები მას შემდეგ უფრო გამძაფრდა, როცა ინფრასტრუქტურის მინისტრად **ზურაბ ალავიძე** დანიშნეს. **ალავიძე „ნაციონალური მოძრაობის“ ზეობის პერიოდში სწორედ ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე იყო და, როგორც ამბობდნენ, ყველა „ატკატი“ მის ხელში გადიოდა. ამის მიუხედავად, ყოფილი პრემიერის, გიორგი კვირიკაშვილის ნათესავს, ვერავინ ვერაფერს უბედავდა და ალავიძეც პროექტს პროექტზე „ახორციელებდა“.**

**ახლა კი წვიმების პერიოდი დაიწყო და ნათლად გამოჩნდა, რომ სამ მილიარდ ლარზე მეტი წყალს მიაქვს. პრინციპში, რაღა მიაქვს, წაიღო უკვე და საქართველოში არ დარჩა კუთხე, სადაც წყალმა და მეწყერმა „საფუძვლიანად“ გაკეთებული ჯებირები არ გაანგრია, მეწყერსაშიშ ზონებში მიწის შემაკავებელი ბარიერები არ ჩამოშალა და ჩამარხა.** ახლა უკვე კიდევ ერთი ყოფილი პრემიერი, **ბიძინა ივანიშვილიც,** ამბობს, რომ კვირიკაშვილი და ალავიძე, პრაქტიკულად, ერთპიროვნულად წყვეტდნენ ყველაფერს და ამ სავალალო შედეგამდე ამიტომ მივედითო, მაგრამ **საქმეს ისეთი პირი უჩანს, პასუხისგებაში არავის მისცემენ და ეს სამი მილიარდი ისევ ჩვენი გადასახდელია.** უფრო კონკრეტულად კი, ყველაფერი ჩვენი გადასახადებით ისევ ახლიდან უნდა გაკეთდეს... რაც მთავარია, არავინ არის იმის გარანტი, რომ მომავალ წელს მორიგი წყალდიდობების შემდეგ ეს ყველაფერი კვლავ თავზე არ დაგვემხობა და მორიგ სამ მილიარდს არ გავატანთ არაგვსა თუ ენგურს.

**„ჩვენ ყველაფერი პროექტის მიხედვით გავაკეთეთ, მაგრამ, როგორც ჩანს, არც საპროექტოს წარმომადგენლები და რეალურად არც ჩვენ არ ველოდით ამხელა წყალს. ეს, ალბათ, გლობალური დათბობის ბრალია“,** — განაცხადა იმ კომპანიის წარმომადგენელმა, რომელმაც არაგვზე ჯებირები გააკეთა.

გლობალურ დათბობას საქართველოში უკვე ბევრი რამ დაბრალდა და კიდევ ბევრი დაბრალდება. **რას ჰქვია, ამხელა წყალს არ ველოდით?! რა, გლობალური დათბობა გუშინ დაიწყო და პროექტის შედგენისას ვერ გათვალეს?! ან ამ განცხადების შემდეგ პასუხს აღარავის რომ არ სთხოვენ, ნორმალურია? ასე ხომ ყველა მშენებელს შეუძლია თქვას, რომ არ ელოდა წყალს, არ ელოდა მეწყერს, არ ელოდა თოვლს, წვიმას... არ ელოდა და მორჩა! მაშინ ნუღარ გამოვაცხადებთ ტენდერებს, ნუ განვახორციელებთ პროექტებს და, როგორც ძველ ანდაზაშია, წყალი მიდგება, მოდგება, ბოლოს თავის კალაპოტში ჩადგება, ამას დაველოდოთ. მოსახლეობა ისეც ზარალობს და ასეც, თუმცა ასე მეტი ზარალია, რადგან წყალს მილიარდები მიაქვს...**

ორი კვირაც არ არის გასული, რაც სვანეთში ლახზირის მყინვარის დიდი ნაწილი ჩამოიშალა. თავდაპირველად განგაში ატეხეს: ლახზირის სანახავად ტურისტები დადიოდნენ და ვინმე არ იყოს მოყოლილიო, მაგრამ მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ მყინვართან მისი ჩამოშლისას არავინ იმყოფებოდა, ყინულის გროვას თავი მიანებეს. არადა, ექსპერტები ამბობენ, რომ ყინული ასეთ მდგომარეობაში უფრო მალე დადნება და შესაბამისად, მორიგი წყალდიდობა გველოდება, მაგრამ მათ არავინ უსმენს, რადგან, სინოპტიკოსების პროგნოზით, თურმე წვიმაა მოსალოდნელი. არადა, ყინულს წვიმაც რომ ადნობს, მარტივი მისახვედრია, თუმცა ზემოთ ამის გაგონებაც არ სურთ. შედეგად, მყინვარის ქვემოთ სოფლებში ეშინიათ, რომ ერთ დღეს წყალი მოვარდება და იქაურობას წალეკავს, მით უმეტეს, ყველა ღელე საკმარისზე მეტად უკვე ადიდდა და მდინარეს შეუერთდა, თუმცა...

„რაჭის იმ სოფლებში, რომლებშიც ერთი ან ორი მოსახლე ცხოვრობს, მილიონიანი პროექტები დაგეგმეს და განახორციელეს. ნაპირსამაგრი სამუშაოები დაარქვეს, თორემ რეალურად, „კამაზებით“ ათ-ათი მანქანა ხრეში დაყარეს და ეგ იყო. ადიდდა მდინარე და ის ხრეში ხომ წაიღო და ერთ ადგილზე მიიტანა, მერე კალაპოტი შეიცვალა და, სადაც საუკუნეები არ უვლია, იქ გაიარა. ასე დარჩნენ ადგილობრივები მოსავლის გარეშე. როგორც ვიცი, სვანეთის ძირითად ნაწილში კარტოფილის ნათესებია წალეკული და ახლა მთაში საშინელ ზამთარს ველით — დიდი თოვლით და უმოსავლოდ“, — გვითხრა რაჭაში მცხოვრებმა **ზურაბ ბერიშვილმა.**

უარესი მდგომარეობაა მთათუშეთში. წინა სტიქიის შედეგად თუშეთისკენ მიმავალ გზაზე ტბა გაკეთდა და... ის ტურისტული სანახაობის ნუსხაში შეიყვანეს და ეს მაშინ, როცა ტბა სავალი გზიდან სამ მეტრში იყო. წვიმის შედეგად ტბა ნაპირებიდან გადმოვიდა, სამანქანო გზა დატბორა და აგერ უკვე სამი დღეა, ტექნიკა უძლურია. არადა, ამ საქმის სპეციალისტები ამბობდნენ, ტბა უნდა ამოაშრონ და იმ ადგილზე ღორღი ჩაყარონ, რათა წყალს დრენაჟი ჰქონდეს და არ დაგუბდესო, თუმცა მათ არავინ უსმენდა. ისე, თუშეთზე ისიც ვთქვათ, რომ **ბოლო 5 წელიწადში მიუვალ სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობას ახმეტის მუნიციპალიტეტმა საახალწლოდ, საერთო ჯამში, სამი ათასი ლარის ღირებულების პროდუქტი აუტანა, ახალი წელი გაულამაზა და... ამ პროდუქტების ატანა 150 ათასი ლარი დაჯდა.**

„იმის გამო, რომ ზამთარში სამანქანო გზა არ არსებობს, იძულებული ვართ, მოსახლეობამდე ვერტმფრენებით მივიდეთ. ვერტმფრენით მგზავრობა კი ძვირია და ამიტომაც ამხელა თანხა გამოდის“, — ასე აგვიხსნეს ეს საინტერესო მოვლენა ახმეტის მუნიციპალიტეტში. არადა, სერიოზული ეჭვი გვაქვს, ზაფხულში, იმ 5 ოჯახისთვის, რომლებსაც 600 ლარის ღირებულების პროდუქტი შეხვდათ, ტრანსპორტირებისთვის დახარჯული 150 ათასი ლარი ზაფხულში რომ გადაენაწილებინათ, უფრო კმაყოფილი დარჩებოდნენ.

**სხვა, აბა, რა გითხრათ, საქართველო წინა ხელისუფლების დროსაც პარადოქსების ქვეყანა იყო და ახლაც ასეა. მსოფლიოს გაოცება გვინდა და მართლა ვაოცებთ. არ გვეგულება სახელმწიფო, რომელიც წყალს სამ მილიარდს გაატანდა და თანაც, როცა მოსახლეობა შიმშილის ზღვარზეა, მაგრამ ეს სამი მილიარდი ახლა აღარავის ახსოვს, რადგან საპრეზიდენტო დოლი გამოცხადდა და პარტიების რჩეული „ბედაურები“ რბოლაში ჩაერთვნენ.** სერიოზულოი ეჭვი გვაქვს, როგორც წესი, ქართველები, არაბული ბედაურის ნაცვლად, ისევ ჯაგლაგს ავირჩევთ, თუმცა ვინ იცის, იმდენი არაბი ჩამოვასახლეთ ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე, ეგებ არაბული ვარჩიოთ. პრინციპში, **თუ ასე გაგრძელდა, მალე ჩვენ აღარავინ შეგვეკითხება — არაბული ჯობია თუ ირანული, თვითონ გადაწყვეტენ და ვინ იცის, ეგებ ძალიან მალე, ბათუმში ასაშენებლად გამზადებული მეჩეთიდან მოლას ყივილმა დედაქალაქამდეც კი მოაღწიოს.** არადა, 12 აგვისტოს სწორედ მოლას ყივილი ჩავახშეთ საუკუნოდ... მაგრამ ეს ხომ პარადოქსების ქვეყანაა — მოვახერხეთ და ისევ დავიდგით უღელი... თანაც უბრძოლველად, საკუთარი ნებით და ვინ იცის, მუსლიმანურმა სამყარომ თავის ისტორიაშიც ჩაწეროს „ძლევაი საკვირველი“, როგორც ქვეყნის უსისხლოდ დაპყრობა-დამონების მაგალითი.

**ბესო ბარბაქაძე**

**არ გვეგულება სახელმწიფო, რომელიც წყალს სამ მილიარდს გაატანდა და თანაც, როცა მოსახლეობა შიმშილის ზღვარზეა, მაგრამ ეს სამი მილიარდი ახლა აღარავის ახსოვს, რადგან საპრეზიდენტო დოლი გამოცხადდა და პარტიების რჩეული «ბედაურები» რბოლაში ჩაერთვნენ. სერიოზული ეჭვი გვაქვს, როგორც წესი, ქართველები, არაბული ბედაურის ნაცვლად, ისევ ჯაგლაგს ავირჩევთ, თუმცა ვინ იცის, იმდენი არაბი ჩამოვასახლეთ ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე, ეგებ არაბული ვარჩიოთ. პრინციპში, თუ ასე გაგრძელდა, მალე აღარავინ შეგვეკითხება — არაბული ჯობია თუ ირანული**

**ბოლო 5 წელიწადში მიუვალ სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობას ახმეტის მუნიციპალიტეტმა საახალწლოდ, საერთო ჯამში, სამი ათასი ლარის ღირებულების პროდუქტი აუტანა, ახალი წელი გაულამაზა და... ამ პროდუქტების ატანა 150 ათასი ლარი დაჯდა**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**კიევსა და ჩრდილოკავკასიაში პარტიული და სამეურნეო მუშაობის სტილი და მეთოდები, რომლებიც იქ სტალინის ემისრებმა ნახეს, იყო ქვეყანაში შექმნილი ხალხის მართვის „ადმინისტრაციული ქაოსის“ კლასიკური ნიმუშები, რომლებიც ერთიან ძალად უნდა გარდაქმნილიყო, რაც სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ჩამოშლას გამოიწვევდა. ქვეყნის ღალატის სწორედ ამ და სხვა მაგალითებმა (1924 წელს კიროვის წინააღმდეგ ჩადენილმა ტერაქტმა) აიძულა სტალინი, 1937 წელს პარტიაში დაეწყო გენერალური წმენდა.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №26-29 (450-453)

# სტალინის პორტრეტისთვის

## 1931-1941 წლები. იდუმალების სამყარო

**მარცხით, საოცარი გამარჯვებებით, ღალატითა და წყალქვეშა დინებებით გამორჩეული ათწლედი სტალინის პოლიტიკური და ეკონომიკური აზროვნების მწვერვალია. გასული საუკუნის 30-იან წლებს დრამატურგიც, რეჟისორიც, შემსრულებელიც და მეისტორიეც ერთი ჰყავდა.**

ვიდრე არქივები გაიხსნებოდა და მკვლევარები ჯადოსნურ სარკეში ჩაიხედავდნენ, 1930-იანი წლების ისტორიული მოვლენების აღწერა, გაშუქება და ანალიზი ჰგავდა ბნელ ოთახში ძებნას კატისა, რომელიც იქ არ იყო. ნუთუ შესაძლებელია, ერთ ადამიანს ერთდროულად ეფიქრა არქტიკის ათვისებაზე, „საჰაერო ტანკის“ კონსტრუქციაზე, მდინარე მოსკოვის ქვეშ მეტროპოლიტენის გაყვანის ტექნოლოგიურ პროცესებზე, აკადემიკოს **ბერგთან** ერთად ემუშავა სრულიად ახალ დარგზე აერონავიგაციაში, პარალელურ რეჟიმში ერედაქტორა **შალვა ნუცუბიძის** ქართულიდან რუსულ ენაზე ნათარგმნი „ვეფხისტყაოსნისთვის“ და ქართულიდან რუსულად ეთარგმნა **ჩახრუხაძე** თავისი ჩახლართული რითმებითა და გამოთქმებით; 1933 წლის იანვრის პლენუმზე კი რკინის ლოგიკითა და მკაცრი ხელით ეწარმოებინა პარტიის გენერალური წმენდა?! **პარტიას ჩამოაშორეს 4 მილიონზე მეტი ადამიანი, მათ შორის ბევრი იყო მოღალატე, გამცემი, სუსტი ნებისყოფის, რომლებსაც დემორალიზაცია შეჰქონდათ არა მხოლოდ პარტიაში, არამედ საზოგადოებაში. ეს ხომ ქვეყნის გარედან მოქმედი მტრების კარგად გათვლილი ფარული დივერსია იყო ქვეყნის შიგნით.** „ისტორიკოსთა“ კვლევებს სტალინის შესახებ დაუჯერებელ ამბებამდე მივყავართ — თითქოს სტალინის მკაცრი ხელი და პარტიის წმენდა „კუდიანებზე“ ნადირობას ემსახურებოდა. არადა, **დღის სინათლეზე ფაქტების გამოტანის შემდეგ ყველასთვის ნათელი შეიქნა, რომ სტალინი ებრძოდა არა კუდიანებს, არამედ პარტიაში მოკალათებულ უუნარო და უცოდინარ კასტას, რომელსაც ვერაფრით ასწავლა საზოგადოებასთან მუშაობა და მასების მართვა.**

კიევსა და ჩრდილოკავკასიაში პარტიული და სამეურნეო მუშაობის სტილი და მეთოდები, რომლებიც იქ სტალინის ემისრებმა ნახეს, იყო ქვეყანაში შექმნილი ხალხის მართვის „ადმინისტრაციული ქაოსის“ კლასიკური ნიმუშები, რომლებიც ერთიან ძალად უნდა გარდაქმნილიყო, რაც სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ჩამოშლას გამოიწვევდა. ქვეყნის ღალატის სწორედ ამ და სხვა მაგალითებმა (1924 წელს კიროვის წინააღმდეგ ჩადენილმა ტერაქტმა) აიძულა სტალინი, 1937 წელს პარტიაში დაეწყო გენერალური წმენდა.

**წმენდის პირველივე დღეებში გამოჩნდა, რომ ქვეყნის ზოგიერთ უზარმაზარ რეგიონს განაგებდნენ ქურდბაცაცები, მფლანგველები, უცხო ქვეყნის სამსახურში ჩამდგარი ადამიანები. სტალინმა გადაჭრით მოითხოვა ქვეყანაში მოქმედი ყველა თანამდებობის პირზე დოსიეს შედგენა, რათა საბოლოოდ გარკვეულიყო თეთრი და შავი. სტალინის ყოველწამიერი დაძაბული მუშაობა ყველა კუთხე-კუნჭულს წვდებოდა. სტალინის ხელში ხვდებოდა ქვეყნისთვის საზიანო მცდელობა თუ ოდნავ საეჭვო ჩანაფიქრი.**

სტალინის საქაღალდეში აღმოჩნდა კრასნოურალსკისა და კალატინსკის სპილენძის კომბინატის სამეწარმეო საქმიანობის უფროსის — **ლ. პ. სერებრიაკოვის** ორჯონიკიძისადმი მიწერილი წერილი, რომელშიც აღნიშნავდა:

**„კალატინსკში მთელი ზედა ფენა გასაწმენდია, რასაც სწორედ ამ წუთებში ვაკეთებთ. სიცრუის, ტყუილისა და თვალის ახვევის დრო უნდა მოისპოს. მათი ტყუილების მოსმენა უკვე ყველანაირ ზღვარს სცდება, შესრულებული სამუშაოების შესახებ ჟურნალში დაბეჭდილი ოფიციალური წერილებიც კი არასწორადაა გადმოცემული. საჭიროა მკაცრი ზომების გატარება, ხალხმა თავი აიშვა და სრულ ქაოსში გადაეშვა“.**

აქ გამოყენებული „მკაცრი ზომები“ სერებრიაკოვისგან არ უნდა მოდიოდეს, იგი ხშირად ხვდებოდა სტალინს და შექმნილი მდგომარეობის შესახებ, ალბათ, არაერთხელ უხსენებია ბელადს „მკაცრი ზომები“. 1933 წლის დეკემბერში სტალინს ტროცკისტული ორგანიზაციის მუშაობის მიმდინარეობაზე წარუდგინეს მოხსენება, რომელშიც ადასტურებდნენ, რომ ტროცკისტულ ორგანიზაციაში ერთ-ერთ ძირითად ხაზს **სმირნოვი** აკონტროლებდა. ტროცკის საარქივო მასალების შესწავლის შემდეგ გაირკვა, რომ სმირნოვი ნამდვილად იყო ერთ-ერთი დაჯგუფების შემქმნელი, სწორედ მან გაასაჯაროვა თავისი მოსაზრება „ოპოზიციის ბიულეტენში“: **„სტალინმა ჩიხში შეგვიყვანა, მისი ლიკვიდაციის გარეშე გზას ვეღარ გავიკვლევთ. სტალინი უნდა მოვაშოროთ“.**



სტალინი სიმამაცით გამოირჩეოდა, მას სიკვდილის შიში, დიდი ხანია, დაძლეული ჰქონდა, მაგრამ აშინებდა, რომ ქვეყანაში არ იყო დამყარებული წესრიგი და ხალხი არ იყო უზრუნველყოფილი, რაც მისი საფიქრალი გახლდათ.

სტალინის ფიქრი, აგრეთვე, დატრიალებდა გერმანიას. აინტერესებდა, რა ხდებოდა იქ. გამოიყენებდა თუ არა გერმანია ვითარებას, საბჭოეთის ჯერ კიდევ სუსტ ეკონომიკურ მდგომარეობას და თავს დაესხმებოდა მას. ასეთ შემთხვევაში გერმანიას სმირნოვის „დახმარება“ აღარ დასჭირდებოდა, მაგრამ ეკონომიკურმა კრიზისმა გერმანიასაც დარია ხელი და იქ ორი დიდი საპროტესტო ტალღა აგორდა: ერთი — კომუნისტების **ერნსტ ტელმანის** ხელმძღვანელობით, მეორე — ნაციონალ-სოციალისტების **ადოლფ ჰიტლერის** მეთაურობით.

ჰიტლერმა გერმანიის კომუნისტურ პარტიაზე გაიმარჯვა და თანაც როგორ! — პოლიციელებმა უზარმაზარი საპროტესტო კოლონები ხელკეტებით დაშალეს. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგაც ნაცისტები უწინდებურად რადიკალური მეთოდებით მოქმედებდნენ. 1933 წლის 30 იანვარს ჰიტლერი კანცლერად აირჩიეს. ამასთანავე, მთავრობაში თანამდებობები მის მოწინააღმდეგე კონსერვატორებს ეკავათ. არჩევნები 5 მარტს დაინიშნა. 27 თებერვალს რაიხსტაგის შენობა დაიწვა, რაც კომუნისტებს დაბრალდათ. დაუყოვნებლივ აიკრძალა კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პრესა, დააპატიმრეს კომპარტიის ხელმძღვანელები. 5 მარტს **გებელსი** აღნიშნავდა: **„ბატონებო, ჩვენ რაიხში და პრუსიაში ვართ, დანარჩენი ყველაფერი მიწასთან არის გასწორებული...“** ნაცისტებმა 17 მლნ ხმა მოაგროვეს. მოკლედ, ნაცისტებმა პარლამენტში უპირატესობა მოიპოვეს და მალე დანარჩენი პარტიები აკრძალეს. სტალინის წინაშე კი გერმანიასთან ურთიერთობების მხრივ ახალი პოლიტიკის გატარების საკითხი დადგა. საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება, სანამ დასავლეთში ისეთი რამ არ მოხდებოდა, რაც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში საბჭოთა კავშირის პოზიციის დასუსტებას გამოიწვევდა. ამასთანავე, ბევრი გერმანელი მაღალჩინოსანი სამხედრო ემხრობოდა საბჭოეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას, ამიტომ სტალინისთვის საუკეთესო გადაწყვეტილებას წარმოადგენდა გერმანიასთან აღდგენილი ურთიერთობის გაგრძელება და არა მისი გადახედვა. 1933 წელს მოსკოვში იმყოფებოდა გერმანელი გენერალი **ტომასი**, რომელმაც დაადასტურა გერმანელი სამხედროების პოზიცია. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ ტომასის დაბრუნების შემდეგ ჰიტლერმა მოულოდნელად განაცხადა, რუსეთი ყოველთვის დამანგრეველ ძალას წარმოადგენდაო.

**„როდესაც ევროპაში ახალი მიწების“ დაპყრობზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში, მხედველობაში რუსეთი და ის გარშემომყოფი სახელმწიფოები უნდა ვიქონიოთ, რომლებიც მას ემორჩილებიან. ბოლშევიკების მიერ რუსეთის ხელში ჩაგდებით განგებამ რუსი ხალხი იმ ინტელიგენციის გარეშე დატოვა, რომელზეც მისი არსებობა იყო დამყარებული და ამასთანავე, მის სიმტკიცეს წარმოადგენდა“,** — დაწერა ადოლფ ჰიტლერმა წიგნში „ჩემი ბრძოლა“. სტალინის ბიბლიოთეკაში ჰიტლერის ამ ნაშრომის თარგმანი ინახებოდა და, ალბათ, წაკითხულიც ჰქონდა, მაგრამ რის გაკეთება შეეძლო იმ მომენტში მას? ჰიტლერმა, ერთი მხრივ, **გამოაცხადა, მარქსიზმის სრულად გასანადგურებლად თავს 6-8 წლის ვადას ვაძლევ, აღმოსავლეთში კი გერმანელი ხალხის მიზანი შეიარაღებული ხელით იქნება მიღწეული.** მეორე მხრივ კი, ფიურერი ირწმუნებოდა, რომ: **„ორ ქვეყანას შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობებს ვერაფერი გაანადგურებდა, თუ, რა თქმა უნდა, მოსკოვი გერმანიაში კომუნიზმის პროპაგანდას არ დაიწყებდა“.** ფიურერის ყველა ეს შეფასება სტალინის ყურამდე მიდიოდა; დაზვერვის სამსახურების დახმარებით კი ხედავდა, რომ მსოფლიო მოქმედების ახალ ფაზაში გადადიოდა.

ჰიტლერის მიერ დასახელებული ვადა ომის დაწყების შესახებ სტალინის პროგნოზს ემთხვეოდა.

**რუზველტი** მეტად რეალისტი იყო. მისმა მთავარმა პრინციპმა შემდეგ ფრაზაში ჰპოვა გამოხატულება: **„მოდი, ჩვენი ძალისხმევა ერთი რაღაცისკენ მივმართოთ — გადავარჩინოთ ქვეყანა და ხალხი და, თუ ამისთვის საკუთარი თვალსაზრისის შეცვლა დღეში ორჯერ მოგვიწევს, ეს მაინც გავაკეთოთ“. ამერიკისა და გერმანიის ხელისუფლებებში თითქმის ერთდროულად მოვიდნენ ახალი ადამიანები, ახალი იდეებით.**

**1933 წლის 15 თებერვალს რუზველტს თავს დაესხნენ. მას ესროლა იტალიელმა უმუშევარმა ემიგრანტმა, რომელმაც განაცხადა, რომ სძულდა ყველა მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე და მდიდარი. რუზველტი გადარჩა.** თებერვალში ამერიკას თავს კიდევ ერთი საშინელი ამბავი დაატყდა, ეს იყო ყველასთვის წარმოუდგენელი საფინანსო კატასტროფა, რომელსაც „დიდი დეპრესია“ უწოდეს. 1933 წელს აშშ-ში ხუთი ათასზე მეტი ბანკი დაიხურა. დარჩენილი ბანკები ფულად მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა და ისინიც ერთი მეორის მიყოლებით იხურებოდა. 14 თებერვალს მიჩიგანის გუბერნატორმა შტატის ყველა ბანკის დახურვის ბრძანება გასცა. ქვეყანა პანიკამ მოიცვა. მარტის დასაწყისში აშშ-ის ყველა ბანკი დაიხურა და კაპიტალიზმი სასიკვდილო სარეცელზე აღმოჩნდა.

**4 მარტს რუზველტმა პრეზიდენტის ფიცი დადო და პირველი, რაც გააკეთა, ისე, რომ არ შეშინებია, ბანკებს სუბსიდიები გამოუყო; ოქროს დოლარის თავისუფალი მიმოქცევა დააწესა და იმ პირებს, რომლებიც ოქროს ქაღალდს ასიგნაციებში არ გადაცვლიდა, 10 წლით თავისუფლების აღკვეთითა და ფულადი** ▶

**სანამ არქივები გაიხსნებოდა და მკვლევარები ჯადოსნურ სარკეში ჩაიხედავდნენ, 1930-იანი წლების ისტორიული მოვლენების აღწერა, გაშუქება და ანალიზი ჰგავდა ბნელ ოთახში ძებნას კატისა, რომელიც იქ არ იყო. ნუთუ შესაძლებელია, ერთ ადამიანს ერთდროულად ეფიქრა არქტიკის ათვისებაზე, «საჰაერო ტანკის» კონსტრუქციაზე, მდინარე მოსკოვის ქვეშ მეტროპოლიტენის გაყვანის ტექნოლოგიურ პროცესებზე, აკადემიკოს ბერგთან ერთად ემუშავა სრულიად ახალ დარგზე აერონავიგაციაში, პარალელურ რეჟიმში ერედაქტორა შალვა ნუცუბიძის ქართულიდან რუსულ ენაზე ნათარგმნი «ვეფხისტყაოსნისთვის» და ქართულიდან რუსულად ეთარგმნა ჩახრუხაძე თავისი ჩახლართული რითმებითა და გამოთქმებით?!**

**1933 წლის 30 იანვარს ჰიტლერი კანცლერად აირჩიეს. ამასთანავე, მთავრობაში თანამდებობები მის მოწინააღმდეგე კონსერვატორებს ეკავათ. არჩევნები 5 მარტს დაინიშნა. 27 თებერვალს რაიხსტაგის შენობა დაიწვა, რაც კომუნისტებს დაბრალდათ. დაუყოვნებლივ აიკრძალა კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პრესა, დააპატიმრეს კომპარტიის ხელმძღვანელები. მოკლედ, ნაცისტებმა პარლამენტში უპირატესობა მოიპოვეს და მალე დანარჩენი პარტიები აკრძალეს. სტალინის წინაშე კი გერმანიასთან ურთიერთობების მხრივ ახალი პოლიტიკის გატარების საკითხი დადგა.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **ჯარიმებით დაუე-მუქრა.**

საბანკო კანონმდებლობის შემოღებამ ამერიკაში საფინანსო კრიზისს ბოლო მოუღო. პრეზიდენტმა მოკლე ვადაში მიიღო სხვა კანონებიც, რომლებმაც სოფლის მეურნეობაში ვითარება დაარეგულირა. უმუშევრები საზოგადოებრივი სამუშაოებზე დაასაქმეს, დაიწყო სახელმწიფო წარმოების აღდგენა, მუშახელმა პროფკავშირთა ორგანიზაციებთან მოლაპარაკებების უფლება მოიპოვა (ეს უკვე რუზველტ-სტალინის ერთობლივი კონსულტაციების შედეგი იყო). მიუხედავად იმისა, რომ რუზველტს ბრალს სდებდნენ სოციალისტური მეთოდების გატარებაში, იგი რეფორმას მაინც განაგრძობდა. **მდინარე ტენესის მდელოების ათვისების გეგმის შესრულება, როგორც მისი ოპონენტები ამბობდნენ, „საბჭოთა გეგმების ზუსტი ასლის მიხედვით მიმდინარეობდა“ (და ზუსტად ასე იყო).** აღსანიშნავია, რომ სტალინიც და რუზველტიც სახელმწიფო გეგმების მიხედვით მოქმედებდნენ — ეკონომიკური პოტენციალის ზრდას ორივე უკიდურესად ექსტრემალურ პირობებში ახორციელებდა. სტალინის ჩრდილოეთის კოლონიზაცია და რუზველტის სახელმწიფო რეგულაციები ერთნაირ წესრიგს ეფუძნებოდა. მათ მიერ განხორციელებული ცვლილებების უკან სახელმწიფოს ნება იდგა, სტალინისა და რუზველტის სახელებს კი **მუსოლინისა** და ჰიტლერის სახელები სწორედ ამ ნიშნის მიხედვით არ მიუმატეს, თუმცა ყველა მათგანი იდეოლოგიური თვალსაზრისით ერთმანეთისგან განსხვავდებოდა.

ნაცისტებმა 1 მაისი „შრომის დღედ“ გამოაცხადეს, საბჭოთა კავშირში კი 1 მაისი „მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე იყო“.



სტალინი და კიროვი



ტროცკი და სერებრიაკოვი

**1933 წლის დეკემბერში სტალინს ტროცკისტული ორგანიზაციის მუშაობის მიმდინარეობაზე წარუდგინეს მოხსენება, რომელშიც ადასტურებდნენ, რომ ტროცკისტულ ორგანიზაციაში ერთ-ერთ ძირითად ხაზს სმირნოვი აკონტროლებდა. ტროცკის საარქივო მასალების შესწავლის შემდეგ გაირკვა, რომ სმირნოვი ნამდვილად იყო ერთ-ერთი დაჯგუფების შემქმნელი, სწორედ მან გაასაჯაროვა თავისი მოსაზრება «ოპოზიციის ბიულეტენში»: «სტალინმა ჩიხში შეგვიყვანა, მისი ლიკვიდაციის გარეშე გზას ვეღარ გავიკვლევთ. სტალინი უნდა მოვაშოროთ»**

სხვაობა თვალსაჩინოა. **რუზველტს, სტალინსა და ჰიტლერს ზოგჯერ ნაციონალებს უწოდებდნენ, რუზველტს „ამერიკელ შოვინისტადაც“ მოიხსენიებდნენ. ამაზე რუზველტი პასუხობდა, რომ ეს მას საშინაო პრობლემების მოგვარებაში ეხმარებოდა. საგარეო პოლიტიკას რაც შეეხებოდა, იგი ამერიკისთვის ტრადიციულ კურსს განაგრძობდა, რაც სხვა ქვეყნების საწინააღმდეგოდ გადადგმულ ნაბიჯებში გამოიხატებოდა. სწორედ ამიტომ, იაპონიისა და გერმანიის მხრიდან მუქარის მიუხედავად, საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება გადაწყვიტა.** სსრკ-სა და აშშ-ს შორის შეთანხმებას ხელი მოეწერა 1933 წლის 16 ნოემბერს, თუმცა იმის წარმოდგენა, რომ იმ დღიდან აშშ და სსრკ მოკავშირეები გახდებოდნენ, დიდი შეცდომა იქნებოდა. საბჭოთა კავშირში ამერიკის ელჩმა **უილიამ ბულიტმა** ამერიკის პოზიცია სრული სიზუსტით წარმოადგინა: **„თუ იაპონიასა და სსრკ-ს შორის ომი დაიწყება, ჩვენ არ ჩავერევით და ძალებს ომის ბოლოს გამოვიყენებთ, რომ ბრძოლა რომელიმე მხარის გამარჯვების გარეშე დასრულდეს და ამ ორ ქვეყანას შორის წონასწორობა არ დაირღვეს“.**

ხაზს ვუსვამთ, რომ მსგავსი პრაგმატული მსჯელობა ახასიათებდა ყველა ქვეყნის ლიდერს — რუზველტს, სტალინსა და ჩერჩილს. მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისას **უ. ბულიტმა** თქვა, რომ რუზველტის ამ გადაწყვეტილების მთავარი მიზეზი საბჭოთა კავშირის აღიარება, ჰიტლერთან „ომის გაჩაღების არდაშვება“ იყო. სტალინი ლიტვინოვის მეშვეობით აწარმოებდა რუზველტთან მოლაპარაკებას. საბჭოთა კავშირის კიდევ ერთი პრობლემა ომამდელ აღებულ ვალს შეეხებოდა. სტალინი მზად იყო, წინასწარი კრედიტის მიღების შემდეგ ეს ვალი გაესტუმრებინა, რაზეც რუზველტი დათანხმდა და ეს წინააღმდეგობაც გადაილახა. სტალინი ამერიკასთან ურთიერთობით, როგორც ჰიტლერის წინააღმდეგ შესაძლებელ მოწინააღმდეგესთან ურთიერთობით, შეიძლება ითქვას, თავს არ იტყუებდა.

სწორედ იმ პერიოდს ემთხვევა თეთრ ზღვაში სტალინის მგზავრობა, რომლის შესახებაც ფლოტის ადმირალი **ი.ს. ისაკოვი იხსენებს: „ილუმინატორში ყურებისას, თითქოს საკუთარ თავს ესაუბრებაო, სტალინმა მოულოდნლად ასეთი რამ თქვა: „რა არის შავი ზღვა? — რკინის სათლი. რა არის ბალტიის ზღვა? — ბოთლი, რომლის საცობიც ჩვენ არ გვაქვს. აი აქ არის ზღვა. აქვეა ფანჯარაც! აქ უზარმაზარი ფლოტი უნდა იყოს და, თუ დაგვჭირდა, აქედან ინგლისსაც და ამერიკასაც ცოცხლად ავიყვანთ, სხვა არსაიდან“.**

ადმირალი ისაკოვი სტალინის კიდევ ერთმა ფრაზამ დააინტერესა. აი რა თქვა სტალინმა: **„ყველაფერი, რაც თქვენ მიერ აქ ითქვა: ავიღებთ, გავიმარჯვებთ, მოვიპოვებთ... ომს ნიშნავს, ომს... მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცით, ომი როდის იქნება. როცა იქნება, მაშინ იქნება, მანამდე კი ეს ჩრდილოეთია და ჩვენ ის უნდა ვიცოდეთ, უნდა შევისწავლოთ, ავითვისოთ, მივეჩვიოთ, დანარჩენზე შემდეგ ვილაპარაკოთ“.**

არანაირი პათოსი! ან რა საჭირო იყო სამხედროებთან პათოსით საუბარი?! იცოდა, ჩრდილოეთის კოლონიზაცია რის ფასად დაუჯდებოდა. ღვთისგან მივიწყებულ პოლარულ წრეში, კურეიკაში თითქმის ექვსი წლის ცხოვრების შემდეგ კარგად იცოდა, რომ რუსეთი იყო ზამთრისა და თოვლის ქვეყანა, სადაც ცხოვრებას რუსები საუკუნეების განმავლობაში იყვნენ მიჩვეულები და უკვე მეგობრობდნენ კიდეც. მაგრამ შესაძლებელია კი მოკლე ვადაში ჩრდილოეთის კოლონიზაცია? **რა ბიუჯეტია ამისთვის საჭირო? ამისთვის როგორი კადრები უნდა გყავდეს? სერგეი რადონეჟსკის მოწაფეების მიერ შექმნილი ჩრდილოეთის სამონასტრო კოლონიები, რომლებიც რუსეთის ეკონომიკურ და კულტურულ ბაზისს ჩაუყარეს საფუძველი, ნაბიჯ-ნაბიჯ ვითარდებოდა, სანამ თეთრ ზღვამდე, სოლოვეცკის მონასტრამდე არ მიაღწია, სადაც დღეს განსაკუთრებული დანიშნულების ბანაკია მოწყობილი და პატიმრები ინდუსტრიალიზაციის გასავითარებლად მუშაობენ.**

1930-იან წლებში სწორედ მათი გამოცდილება, კოლონიზაციის ძველი გამოცდილება იქნა გამოყენებული, დაწყებული თეთრი ზღვიდან, ბალტიის არხის მშენებლობით დასრულებული. დროის არქონისა და სახსრების ნაკლებობის გამო დაიწყეს პატიმართა და გადასახლებულთა ძალების გამოყენება, რაც, თავის მხრივ, ჰგავს გადაწყვეტილებას **პეტრე დიდისა,** რომელმაც გლეხების ურალში გადასახლება მეტალურგიული ქარხნების მშენებლობის დაჩქარების მიზნით მოითხოვა, რათა იარაღის წარმოებაში ხელი არ შეშლოდა. რით განსხვავდებოდა სტალინი პეტრე დიდისგან? საქვეყნო საქმისათვის ხომ ორივე სახელმწიფო ძალებს იყენებდა?

**ასე იქცეოდა რუზველტიც. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ მისი ქვეყანა საბჭოთა კავშირზე უფრო თბილი და მდიდარი იყო. მხოლოდ ამ მხრივ განსხვავდებოდა სტალინი რუზველტისგან. თუ ამერიკის პრეზიდენტის წინაშე, რესურსების, სიმწირის კი არა, განაწილების პრობლემა იდგა, სტალინი ასჯერ რთული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა.** ჰიტლერის გამოჩენა კი სტალინის მხრიდან ქვეყნის მოდერნიზაციის დაჩქარების მოთხოვნის საფუძვლიანობას ამყარებდა.

„ათი წელი! არა, ახლა უკვე შედარებით ნაკლები“, — ფიქრობდა სტალინი კუნცევოს აგარაკის ღია ვერანდაზე და ღამეებს თეთრად ათენებდა. დღეს კი „მჩხიბავი“ თანამედროვე პოლიტიკოსები თუ ისტორიკოსები სასაცილო მდგომარეობაში იგდებენ თავს, როდესაც სტალინის პოლიტიკურ კულტურასა და მის ზებუნებრივ ნიჭს დასცინიან; იმის ნიჭი და ცოდნაც არ აქვთ, რომ გაჩერდნენ მაინც და ბოლომდე არ გამოამჟღავნონ თავიანთი სიბეცე და სხვა ქვეყნის სამსახურში ყოფნა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)









**მიუხედავად იმისა, რომ რუზველტს სოციალისტური მეთოდების გატარებაში სდებდნენ ბრალს, იგი რეფორმას მაინც განაგრძობდა. მდინარე ტენესის მდელოების ათვისების გეგმის შესრულება, როგორც მისი ოპონენტები ამბობდნენ, «საბჭოთა გეგმების ზუსტი ასლის მიხედვით მიმდინარეობდა» (და ზუსტად ასე იყო). აღსანიშნავია, რომ სტალინიც და რუზველტიც სახელმწიფო გეგმების მიხედვით მოქმედებდნენ — ეკონომიკური პოტენციალის ზრდას ორივე უკიდურესად ექსტრემალურ პირობებში ახორციელებდა**

«დემოკრატიის შუქურა»
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოში პირველი პირების მკვლელობის ან მათზე მოწყობილი თავდასხმის უკან ყოველთვის იდგნენ ამერიკის სპეცსამსახურები, რომელთა წარმომადგენლებიც ფიქრობენ, რომ მათთვის ყველაფერი დასაშვებია და უველაფრის უფლება აქვთ. ამერიკელებს ხომ ეჭვიც არ შეაქვთ, რომ მათი ქვეყანა დამოკრატიის შუქურაა და თავისუფლება მოაქვს მსოფლიოს ხალხებისთვის...**

# მკვლელობები, სახელმწიფო გადატრიალებები, მოწამვლა — «ბინძური საქმეების დეპარტამენტის» საქმიანობის მიმართულებები

**აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, რომელსაც „ბინძური საქმეების დეპარტამენტი“ შეარქვეს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გამუდმებით ერეოდა მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში — აწყობდა და აწყობს სახელმწიფო გადატრიალებებს და თავიდან იშორებს ვაშინგტონისთვის არასასურველ პოლიტიკურ ფიგურებს.**
**ბევრი ექსპერტი თანხმდება, რომ ბოლო 100 წლის განმავლობაში წამოწყებულ ომებს, რომლებსაც ამერიკის მხარდამჭერები მსოფლიო საზოგადოებრიობის შეცდომაში შესაყვანად კულტურ-რელიგიური მენტალობების დაპირისპირებას უწოდებენ, ამერიკულმა „ცივილიზაციამ“ შთაბერა სული — ამ ომებს ამერიკის შეერთებული შტატები ან აფინანსებს, ან თვითონ არის მათი წამომწყები, რათა დაამხოს ამა თუ იმ სახელმწიფოს მისთვის მიუღებელი ხელისუფლება, დაეუფლოს ქვეყნის სიმდიდრეებს, გაამყაროს თავისი ვალუტა — დოლარი და მსოფლიოზე იბატონოს...**





ალენ დალესი

ამა წლის 4 აგვისტოს ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში ეროვნული გვარდიის შექმნის 81-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატვირთული უპილოტო საფრენი აპარატების მეშვეობით თავს დაესხნენ ვენესუელის პრეზიდენტ **ნიკოლას მადუროს**. პრეზიდენტის დაცვის წევრებმა მოასწრეს საფრენი აპარატების დაზიანება და მწყობრიდან გამოყვანა, მაგრამ 7 სამართალდამცველი დაიჭრა. მადურო, მისი ცოლი, ოჯახის წევრები და ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები უვნებელნი გადარჩნენ.

ვენესუელის ლიდერმა მომხდარში ვენესუელისა და კოლუმბიის ულტრამემარჯვენე ძალები და იმ მომენტში კოლუმბიის პრეზიდენტი **ხუან მანუელ სანტოსი** დაადანაშაულა, მადურომ აგრეთვე, განაცხადა, რომ რამდენიმე პირი, ვინც მისი მკვლელობა დაგეგმა, აშშ-ში ცხოვრობს.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოში პირველი პირების მკვლელობის ან მათზე მოწყობილი თავდასხმის უკან ყოველთვის იდგნენ ამერიკის სპეცსამსახურები, რომელთა წარმომადგენლებიც ფიქრობენ, რომ მათთვის ყველაფერი დასაშვებია და უველაფრის უფლება აქვთ. ამერიკელებს ხომ ეჭვიც არ ეპარებათ, რომ მათი ქვეყანა დამოკრატიის შუქურაა და თავისუფლება მოაქვს მსოფლიოს ხალხებისთვის...

## მსოფლიო პროგრესის მეუფეები

„ღმერთმა გამოარჩია ამერიკელი ხალხი, რომელმაც მსოფლიოს კეთილდღეობა უნდა მოუტანოს, ჩვენ მსოფლიო პროგრესის მეურვეები ვართ, სამართლიანი მსოფლიოს დამცველები“. — ამბობდა სენატორი **ალბერტ ბევერიჯი.** 1917 წლის იანვარში კი მღვდლის შვილმა **ვუდრო ვილსონმა** განაცხადა, რომ: „ამერიკული პრინციპები — ეს არის სრულიად კაცობრიობის პრინციპები“...

დემოკრატიული პრინციპები და აშშ-ის დაზვერვის საიდუმლო ოპერაციები კი ძალიან შორს დგანან ერთმანეთისაგან, თუმცა ეს ოპერაციები ხშირად ხორციელდებოდა დემოკრატიის დაცვის საბაბით. ამერიკის შეერთებული შტატები ვერ ჩამოყალიბდა და ვერც ჩამოყალიბდებოდა დემოკრატიის დამცველ უნიკალურ სახელმწიფოდ, რადგან იმპერიაა. დღეს აშშ-ის მმართველ წრეებში გამეფებულია ისეთივე ცინიზმი, როგორიც იყო წინა ხელისუფლებების მმართველობის პერიოდში. როცა ნებისმიერი ხერხის გამოყენებით ცდილობენ მიზნის მიღწევას, ეს მიზანი კი მსოფლიოზე ბატონობაა. სხვა ქვეყანას ამერიკელები მიიჩნევენ როგორც ველს, პოლიგონს დიდი თამაშისთვის, ამასთანავე, ისინი ფანატიკურად ცდილობენ, თავიანთი ე.წ. ფასეულობები თავს მოახვიონ სხვა ქვეყნებს.

„შეიცანით ჭეშმარიტება, და ჭეშმარიტება მოგანიჭებთ თავისუფლებას“. — ბიბლიურ შეგონება შეგიძლიათ წაიკითხოთ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შტაბ-ბინის მთავარი ვესტიბიულის მარმარილოს კედელზე.

„ცსს-ს ხელმძღვანელობამ მათთვის დამახასიათებელი ცინიზმით აიღო დევიზად იოანეს სახარების ციტატა, — აღნიშნავდა 1970-იანი წლების შუაში „ნიუ იორკ თაიმსის“ მიმომხილველი **სეიმურ ჰერში,** — ჭეშმარიტების შესაცნობად ისინი ქმნიან გლობალურ ჯაშუშურ ქსელს, თავისუფლება კი მათთვის, შინაარსობრივად, ყველაფრის კეთების უფლებას ნიშნავს“. ორგანიზაციის დაარსების მომენტიდან მისი თანამშრომლები თავს მიიჩნევენ „ლაბადისა და ხანჯლის“ რაინდებად, რომლებსაც ყველა ცოდვა წინასწარ აქვთ მიტევებული. ასეთი მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა ცსს-ს ლეგენდარული ხელმძღვანელის, **ალენ დალესის** ეპოქაში.

ცსს-ს წინამორბედი იყო პრეზიდენტ რუზველტის თანაშემწის, **უილიამ დონოვანის** მიერ 1943 წელს შექმნილი სტრატეგიული სამსახურის სამმართველო. სწორედ დონოვანმა, რომელსაც ვაშინგტონში „ველური ბილი“ შეარქვეს, განსაზღვრა ცსს-ს მუშაობის სტილი, სწორედ დონოვანმა დაიწყო თანამშრომლობა გერმანელ ნაცისტებთან, როცა აქტიურად გამოიყენა მათი გამოცდილება და კავშირები. სწორედ მან დადო ფსონი დივერსიულ ოპერაციებზე საზღვარგარეთ. ალენ დალესი, რომელიც 1953-1961 წლებში ხელმძღვანელობდა ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს თავის წიგნში „დაწვერვის ხელოვნება“ წერს, რომ „ჩვეულებრივ დაზვერვას“ დროისა და ძალების მხოლოდ 10% უნდა დაეთმოს, 90% კი — ძირგამომთხრელ საიდუმლო საქმიანობას. ცსს-ს დირექტორად დალესის დანიშვნის შემდეგ ამ ორგანიზაციის საიდუმლო ოპერაციების რაოდენობამ მკვეთრად მოიმატა. როგორც ამერიკის დაზვერვის ყოფილი თანამშრომელი **რობერტ სტილი** აღნიშნავდა, „პრეზიდენტებმა გაათვითცნობიერეს, რომ შეუძლიათ მალულად ისარგებლონ ცსს-ს მომსახურებით, ისე, რომ არც კი აუხსნან თავიანთი მოქმედებები კონგრესსა და ხალხს“.

ახალი სპეცსამსახური, რომელსაც „ბინძური საქმეების დეპარტამენტი“ შეარქვეს, იოლად იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ვაშინგტონს თავიდან მოეშორებინა უცხო ქვეყნების არასასურველი ლიდერები.

## მოსადიკის დამხობა

1951 წელს ირანის პრემიერმინისტრმა **მოჰამედ მოსადიკმა** ინგლისურ-ირანული სანავთობე კომპანიის ნაციონალიზაცია გამოაცხადა.

1952 წელს ირანმა დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა დიდ ბრიტანეთთან, რომელმაც საერთაშორისო სასამართლოს მიმართა, შემდეგ საჩივრით — გაეროს უშიშროების საბჭოს. ირანისთვის სანქციების დაწესებას შეეწინააღმდეგნენ საბჭოთა კავშირი და ინდოეთი. საპასუხოდ ინგლისურ-ირანულმა სანავთობე კომპანიამ ირანული ნავთობპროდუქტების მიმართ საერთაშორისო ბოიკოტის მექანიზმი აამოქმედა. ირანმა ვერ შეძლო თავისი ნავთობპროდუქტების გაყიდვა. იმით შეშფოთებულებმა, რომ ირანი სსრკ-ს გავლენის სფეროში გადავიდოდა და ირანის ნავთობზე კონტროლს დაკარგავდნენ, ინგლისელებმა და ამერიკელებმა მიიღეს გადაწყვეტილება, დაემხოთ ირანის პრემიერი მოსადიკი. აშშ-ის პრეზიდენტმა **დუაიტ ეიზენჰაუერმა** ალენენ დალესს დაავალა, თავიდან მოეშორებინათ მოსადიკი. ამერიკის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში შეიმუშავეს გეგმა — ოპერაცია „აიაქსი“. ამ ოპერაციის ჩატარებაზე პასუხისმგებელ პირად დაინიშნა სამმართველოს აღმოსავლეთის განყოფილების ხელმძღვანელი **კერმიტ (კიმ) რუზველტი** — აშშ-ის 32-ე პრეზიდენტის ძმისშვილი.

კიმ რუზველტს, რომელიც ირანში **ჯეიმს ლოკრიჯის** სახელით მოქმედებდა, ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ირანელი სამხედროების, მაღალჩინოსნების, გაზეთების რედაქტორების, სასულიერო პირებისა და ბანდიტების მოსასყიდად გამოუყვო იმ პერიოდისთვის კოლოსალური თანხა — 16 მლნ დოლარი. ძირითადი აქცენტი გაკეთდა გენერალ **ზაჰედიზე.**

რუზველტმა მოკლე ხანში უზარმაზარი სამუშაო ჩაატარა ირანის მეჯლისის წევრების, გამომცემლების, რედაქტორებისა და ჟურნალისტების მისასყიდად. პუტჩის წინ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო თეირანის გაზეთებისა და ჟურნალების 80%-ს აფინანსებდა. პრესა გაივსო მოსადიკის მუშაობით უკმაყოფილო დეპუტატების ინტერვიუებით. ჟურნალისტები ამხელდნენ „კორუფციაში ჩაფლულ პრემიერმინისტრსა და მის მთავრობას“. ეს იყო საინფორმაციო ომი, რომელიც აშშ-ისთვის მიუღებელი ხელისუფლების დასამხობად ლენგლიში — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შტაბ-ბინაში დაგეგმეს.


თავდასხმა ნიკოლას მადუროზე

ირანში დაიწყო მასობრივი დემონსტრაციები. 1953 წლის 19 აგვისტოს რუზველტის აგენტებმა მოხეტიალე მსახიობების როლი მოირგეს და თეირანის ცენტრში გაითამაშეს სპექტაკლი, რომელიც შემდეგ მიტინგში გადაიზარდა. ბრბომ, რომელშიც ბევრი იყო ცსს-ს ფულით ნაყიდი ადამიანი, მოსადიკის სიკვდილით დასჯა მოითხოვა. თეირანი არეულობებსა და ქაოსში ჩაიძირა. ამასთანავე, ირანის დედაქალაქში შევიდნენ გენერალი ზაჰედის მომხრე სამხედრო ქვედანაყოფები: პრემიერმინისტრი მოსადიკი იძულებული შეიქნა, გადამდგარიყო.

ირანის ხელისუფლების სათავეში მოვიდა გენერალ ფაზლოლა ზაჰედის ხელისუფლება. მოსადიკის მომხრეთა გამოსვლები სამხედროებმა აღკვეთეს. 19 აგვისტოს მოსადიკის რეზიდენციის გარშემო ასზე მეტი გვამი ეყარა. თეირანის ქუჩები სავსე იყო დაღუპულთა ცხედრებით. პრემიერმინისტრის სახლი კი ცეცხლის ალში იყო გახვეული. ირანის პრემიერმინისტრის სავარძელში ამერიკელებმა ნაცისტი ზაჰედი ჩასვეს.ხელისუფლების სათავეში დაბრუნების შემდეგ ირანის შაჰმა **მოჰამედ რეზა ფეხლევიმ** კიმ რუზველტს ასე მიმართა: **„ამ ტახტს დავეუფლე ალაჰის, არმიისა და შენი წყალობით!“**

მოსადიკის გადადგომის შემდეგ კი ალენ დალესმა განაცხადა: „ქვეყანაში გავლენის აღსადგენად ყველაზე იაფი მეთოდი — ეს არის მთავრობის დამხობა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დახმარებით“.

## სახელმწიფო გადატრიალება გვატემალაში

1954 წელს აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ გვატემალაში ჩაატარა ოპერაცია ამ ქვეყნის დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტის **ხაკობო** ▶

**„ცსს-ს ხელმძღვანელობამ მათთვის დამახასიათებელი ცინიზმით აიღო დევიზად იოანეს სახარების ციტატა, — აღნიშნავდა 1970-იანი წლების შუაში „ნიუ იორკ თაიმსის" მიმომხილველი სეიმურ ჰერში, — „ჭეშმარიტების შესაცნობად ისინი ქმნიან გლობალურ ჯაშუშურ ქსელს, თავისუფლება კი მათთვის, შინაარსობრივად, ყველაფრის კეთების უფლებას ნიშნავს". ორგანიზაციის დაარსების მომენტიდან მისი თანამშრომლები თავს მიიჩნევენ „ლაბადისა და ხანჯლის" რაინდებად, რომლებსაც ყველა ცოდვა წინასწარ აქვთ მიტევებული.**

«დემოკრატიის შუქურა»
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არბენსის** დასამხობად და დიქტატორული პრო-ამერიკული რეჟიმის აღსადგენად.

არბენსმა გვატემალაში განახორციელა აგრარული რეფორმა და ფერმერებს გადასცა 600 ათასი ჰა მიწა, რომელიც ამერიკული კომპანია United Fruit-ს ჰქონდა მისაკუთრებული (1931-1944 წლებში გვატემალას მართავდა გენერალი უბიკო — დიქტატორი, რომელმაც ამერიკულ კომპანია „იუნაიტედ ფრუიტს" უსასყიდლად გადასცა მიწა, რომელზეც, ძირითადად, ბანანები მოჰყავდათ და მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ჰყიდდნენ) ამერიკელებს ეს, რასაკვირველია, არ მოეწონათ, და გადაწყვიტეს არბენსი მოეშორებინათ ხელისუფლებიდან.

გვატემალაში მოწყობილ სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილეობდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ მომზადებული და გაწვრთნილი 480 დაქირავებული პირი. არბენსი გაიქცა, და ქვეყანაში ხელისუფლება ხელში ჩაიგდო აშშ-ის მარიონეტმა **კასტილიო არმასმა.**

**აღსანიშნავია, რომ ცსს-ს იმჟამინდელი დირექტორი ალენ დალესი შეთავსებით იყო United Fruit-ის მმართველი საბჭოს ხელმძღვანელი და ცსს-ს ოპერაცია, ფაქტობრივად, ჩატარდა ამ სპეცსამსახურების შეფის პირადი ინტერესების დასაცავად.**

ამერიკელი ჟურნალისტი ჯოზეფ ტრენტო წერდა: „ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო გადაიქცა შემოსავლიან ჯაშუშურ ბიზნესად, რომლის მიზანიც უცხოეთში ამერიკული კორპორაციების დახმარებაა".

## პატრის ლუმუმბას მკვლელობა

1959 წელს ბელგიის კონგოში არჩევნებში გაიმარჯვა მემარცხენე სახალხო მოძრაობამ ქარიზმული ლიდერის — **პატრის ლუმუმბას** მეთაურობით. მომდევნო წელს ლუმუმბამ პრემიერის სავარძელი დაიკავა და ბელგიისგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა. „ამით მან თავს სიკვდილის განაჩენი გამოუტანა, — ამბობს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი **უილიამ ბლუმი**, — აშშ დაინტერესებული იყო ქვეყნის მდიდარი მინერალური რესურსებით და... პრემიერმა ხელისუფლების სათავეში 2 თვესაც ვერ გაძლო".

1960 წელს პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა მიანიშნა, რომ კარგი იქნებოდა, თუ ლუმუმბას გზიდან ჩამოიშორებდნენ. დალასმაც არ დააყოვნა.

**ლერი დებლინს**, კონგოში ამერიკის რეზიდენტურის ხელმძღვანელს გაუგზავნეს მოწამლული კბილის პასტა. მაგრამ მისი გამოყენება ვერ მოასწრო. ლუმუმბა, რომელსაც საშინაო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, გაიქცა. მან ქვეყანაში იქამდე იხეტიალა, სანამ ცსს-ს თანამშრომლებმა არ მიაკვლიეს და მტრებს გადასცეს. „სახალხო პრემიერი" ლუმუმბა აწამეს, შემდეგ კი შუბლში ტყვია დაახალეს.

ყველაფერი მოხდა ამერიკული დოქტრინის მიხედვით: **არასასურველი ადამიანის თავიდან მოშორების საუკეთესო მეთოდი — ეს არის მისი განადგურება. ზუსტი გასროლა ყველა პრობლემას აგვარებს.**




**ფიდელ კასტროზე 638-ჯერ სცადეს თავდასხმა, მაგრამ ყველა უშედეგოდ დასრულდა**

## ნადირობა ფიდელზე

„მოსადიკის დამხობისა და ლუმუმბას მკვლელობის შემდეგ ცსს-ს თანამშრომლებს გაუჩნდათ განცდა, რომ საერთაშორისო არენაზე ყველაფრის გაკეთება შეეძლოთ", — წერს ცსს-ს ყოფილი შეფი **სტენსფილდ ტერნერი.** უსიამოვნების შემთხვევაში, — ამბობდნენ ისინი, — ჩვენ ყოველთვის მზად ვართ, თამაშში ჩავერთოთ და ნებისმიერი მთავრობა დავამხოთ. და, ისე ჩანდა, რომ ფიდელ კასტროს არანაირი შანსი არ ჰქონდა".

რევოლუციის შემდეგ **ფიდელ კასტრომ** და მისმა მომხრეებმა კუბაზე ამერიკული კომპანიების მიერ მისაკუთრებული შაქრის პლანტაციების ნაციონალიზაცია ჩაატარეს და სსრკ-ს დაუახლოვდნენ. ამან ვაშინგტონი აღაშფოთა, და ცსს შეეცადა, დაემხო ფიდელ კასტრო — ღორების ყურეში ემიგრანტების შეიარაღებული ჯგუფი გადასხა, მაგრამ ოპერაცია ჩაფლავდა.

ამის შემდეგ ცსს-ს თანამშრომლებმა შეიმუშავეს ოპერაცია „მანგუსტი", რომლის მიზანიც კუბის ლიდერის ფიზიკური ლიკვიდაცია იყო. მაგრამ ამერიკელთა ეს ოპერაციაც უშედეგოდ დასრულდა.

**ფიდელ კასტროზე 638-ჯერ სცადეს თავდასხმა, მაგრამ ყველა უშედეგოდ დასრულდა. კომანდანტე კასტრო თითქოს მოჯადოებული იყო.**

**იმხანად ცსს-ში შექმნილი იყო ფიზიკური ლიკვიდაციის სამსახური, რომელსაც შემუშავებული ჰქონდა არასასურველი პირების მკვლელობის სხვადასხვა მეთოდი. ერთხელ კასტროს გაუგზავნეს მოწამლული სიგარების ყუთი, მეორედ მის მოწამვლას ავტოკალმით, აბებითა და რომით შეეცადნენ; შემდეგ კასტროს აკვალანგზე მომაკვდინებელი ბაქტერიები გადაიტანეს; ასაფეთქებელი მოწყობილობა ჩადეს ზღვის ნიჟარაში, რომელსაც ცურვისას ფიდელის ყურადღება უნდა მიეპყრო და მიახლოვებოდა, მაგრამ ფიდელის ლიკვიდაციის ყველა მცდელობა კრახით დასრულდა.**

ცსს-ს თანამშრომლებმა კასტროს მოკვლა დაავალეს მის ყოფილ საყვარელს, **მარიტა ლორენცოს**, როდესაც ქალი კუბის ლიდერთან მივიდა, ფიდელმა პირდაპირ ჰკითხა: „ჩემს მოსაკლავად მოხვედი?" მარიტას გაუკვირდა, — საიდან იცი? — „ეს შენს თვალებში ჩანს. აჰა, აიღე პისტოლეტი და მესროლე", მაგრამ ქალმა ვერ შეძლო, ფიდელი მოეკლა.

ღორების ყურეში ჩაფლავებისა და ფიდელის მკვლელობის წარუმატებელი მცდელობების შემდეგ ალენ დალესი გადადგა, თუმცა მისი მსოფლმხედველობა, სწრაფვა მსოფლიოზე ბატონობისკენ, ცსს-მ შეინარჩუნა.




## გადატრიალება ინდონეზიაში

1965 წელს ცსს-მა შეძლო სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა ინდონეზიაში, შედეგად ხელისუფლებას ჩამოაშორეს პრეზიდენტი **სუკარნო,** რომელიც ლოიალურად იყო განწყობილი კომუნისტური პარტიის მიმართ, მან ქვეყნიდან გააძევა მსოფლიოს ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი, განახორციელა იმ საწარმოების ნაციონალიზაცია, რომელიც უცხოურ ქვეყნების კომპანიებს ეკუთვნოდა.

და ცსს-მაც გადაწყვიტა, თავიდან მოეშორებინა ინდონეზიის ჭირვეული ლიდერი. სამმართველოს თანამშრომლებმა დააფინანსეს სუკარნოს პოლიტიკური მოწინააღმდეგეები მუსლიმური პარტიებიდან, შეიარაღეს ამბოხებულები და გადაიღეს პორნოფილმიც კი („ბედნიერი დღეები"), რომელშიც სუკარნოს სექსით იყო დაკავებული საბჭოთა მზვერავ ქალთან.

სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ამერიკელებმა პრეზიდენტის სავარძელში ჩასვეს გენერალი **სუჰარტო,** რომელმაც მყისვე გასცა განკარგულება „ყველა სოფლიდან განედევნათ კომუნისტები". და ერთი თვის განმავლობაში ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს. აღსანიშნავია, რომ დასახვრეტთა სია ცსს-ს შტაბბინაში შეადგინეს.

## ოპერაცია „ფენიქსი"

1966 წელს ვიეტნამის ომის მიმდინარეობისას ცსს-ს თანამშრომლებმა შეიმუშავეს ოპერაცია „ფენიქსი", რომლის მიზანიც იყო „სამხრეთ ვიეტნამში კომუნისტური გავლენის ამოძირკვა". ამისთვის ქვეყანაში ჩამოაყალიბეს „სიკვდილის ესკადრონები", რომლებიც სამხრეთ ვიეტნამის განმათავისუფლებელ ნაციონალურ ფრონტთან თანამშრომლობაში ეჭვმიტანილ მოქალაქეებს აწამებდნენ და კლავდნენ. ცხედარის გვერდით კი ტოვებდნენ ბანქოს ქაღალდს — ყვავის ტუზს.

ცსს-ს მიერ შექმნილმა „სიკვდილის ესკადრონებმა" სამხრეთ ვიეტნამში 210 ათასზე მეტი ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს.

## ჩე გევარას მკვლელობა

„ჩვენი ამოცანა იყო შიშისა და ისტერიის ატმოსფეროს შექმნა", — წერს ცსს-ს ყოფილი აგენტი **ფილიპ ეიჯი,** რომელიც 1968 წელს წავიდა სამმართველოდან და დაიწყო სამხრეთ ამერიკაში მოღვაწე თავისი კოლეგების მხილება. **„ჩვენთვის მუშაობდნენ მაღალი თანამდებობის მქონე პოლიტიკოსები და რეგიონის ყველა ქვეყანაში შეგვეძლო სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა".**

1967 წელს კუბის რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერი **ერნესტო ჩე გევარა** შეეცადა, პარტიზანების ბაზა შეექმნა ბოლივიაში — სახელმწიფოში, რომელიც ლათინური ამერიკის გულში მდებარეობს.

სწორედ აქედან აპირებდა ის კონტინენტზე რევოლუციის გავრცელებას. **„კაცობრიობის მთავარი მტერი ამერიკის შეერთებული შტატების, — წერდა ჩე გევარა, — და მას ბევრი ვიეტნამი უნდა შევუქმნათ".**

ბოლივიაში ჩე გევარა ურუგვაელი კომერსანტის, **ადოლფო გონსალესის** სახელით მოქმედებდა — ჭაღარა თმით, სათვალით. ძნელი ამოსაცნობი იყო, მაგრამ ცსს-ს ვერ დაემალა. კომანდანტე ჩეს წინააღმდეგ გადასროლილი იქნა ცსს-ს სპეციალური რაზმები ექსპერტ ფელიქს როდრიგესის ხელმძღვანელობით.

1967 წლის 8 ოქტომბერს ჩე გევარა შეიპყრეს კუებრადა დელ ოროს ხეობაში. ცსს-დან შიფროგრამის მიღების შემდეგ — „დაიწყეთ სინიორ გევარას განადგურება" — სახელგანთქმული რევოლუციონერი სიცოცხლეს გამოასალმეს.

## ალიენდეს დამხობა

1971 წელს ჩილეს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა სოციალისტთა ლიდერმა **სალვადორ ალიენდემ.** ამან აშშ-ში დიდი შეშფოთება გამოიწვია, რადგან ალიენდემ ჩილეს სატელეფონო ქსელის ნაციონალიზაცია გამოაცხადა, ეს ქსელი კი ეკუთვნოდა ტრანსნაციონალურ კორპორაცია International Telephone&Telegraph-ს, რომლის მმართველი საბჭოს ხელმძღვანელი იყო ცსს-ს ყოფილი დირექტორი **ჯონ მაკონი.**

როგორც **რიჩარდ ჰენსი,** ცსს-ს იმჟამინდელი დირექტორი იგონებს, აშშ-ის პრეზიდენტმა **ნიქსონმა** კაბინეტში გამოიძახა და „ალიენდეს ლიკვიდაცია" დაავალა. ცსს-მა ჩილეში ოპერაციის ჩასატარებლად 10 მლნ დახარჯა. 1973 წელს ამერიკელების მიერ მოსყიდული პოლიტიკოსების მხარდაჭერით, გენერალმა **პინოჩეტმა** სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო. ალიენდე მოკლა, თვითონ კი პრეზიდენტის პოსტი დაიკავა.

## კავშირი „ფერად რევოლუციებთან"

აუცილებლად უნდა აღინიშნოს კავშირი „ფერად რევოლუციებთან", რომელთა კურატორიც არის **უილიამ ჯექსონის** (უილიამ ჯექსონი ალენ დალესთან ერთად ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დამფუძნებლად და ორგანიზატორად ითვლება) ვაჟი — **ბრუს ჯექსონი.**

ბრუს ჯექსონი 1979 წლიდან მსახურობდა აშშ-ის არმიის სამხედრო დაზვერვაში. 1990 წელს სამუშაოდ გადავიდა კომპანია Lehman Brothers-ში, დაკავებული იყო საკუთრებისა და ვაჭრობის სფეროს კვლევით. 1993 წლიდან მუშაობდა კომპანია „ლოკჰიდ მარტინში" ვიცეპრეზიდენტად. არის "ნატოს გაფართოების აშშ-ის კომიტეტის დამფუძნებელი. 2002 წელს დააარსა გარდამავალი დემოკრატიის ინსტიტუტი, რომელსაც ამჟამადაც ხელმძღვანელობს. ბრუს ჯექსონის მოღვაწეობის ძირითადი მიმართულება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მხარდაჭერაა ნატოში შესასვლელად. 2002 წელს შექმნა პროამერიკული ლობი რუმინეთში, ბულგარეთში, სლოვაკეთში, სლოვენიაში, ესტონეთში, ლიტვასა და ლატვიაში. იმხანად ეს ქვეყნები ნატოში ინტეგრაციისთვის ემზადებოდნენ. ამოცანის წარმატებით შესრულების შემდეგ ჯექსონი გადაისროლეს გუაამის (რეგიონული ორგანიზაცია, რომელიც 1997-2006 წლებში შეიქმნა საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და უზბეკეთის მონაწილეობით) ქვეყნებში. გუაამის ბაზაზე ვაშინგტონს განზრახული ჰქონდა უსაფრთხოების სისტემის შექმნა შავ ზღვაზე. ამით ის უზრუნველყოფდა კასპიის ზღვის ენერგეტიკულ რესურსებთან მისასვლელს.

საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში ჯექსონი მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო შტაბის წევრი იყო და საქართველოში პოლიტიკურ ცვლილებებზე ლაპარაკობდა.

„მე მომხრე ვარ რევოლუციების, განსაკუთრებით — ხავერდოვანი რევოლუციების, ვიმედოვნებ, რომ საქართველო პირველი წარმატება იქნება კავკასიაში". აღსანიშნავია, რომ ბრუს ჯექსონს, რომელიც უკრაინის პრეზიდენტ **ვიქტორ იუშენკოს** მრჩეველიც იყო, მჭიდრო კავშირი აქვს **გიგა ბოკერიასთან.**



**უილიამ ჯექსონი და გიგა ბოკერია „კმარას" მაისურით**

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

პანოპტიკუმი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1921 წელს რუსეთი და თურქეთი საქართველოს ალიქვამდნენ, როგორც მათ მიმართ მტრულად განწყობილი დასავლეთის პოტენციურ პლაცდარმს და ამან შესაძლებლობა მისცა ორ, ერთმანეთთან ტრადიციულად დაპირისპირებულ სახელმწიფოს, საერთო ენა გამოენახათ. შესაძლოა, ახლა საფრთხე გაცილებით დიდია, ვიდრე ვალუტის კურსის ცვლილება.**

# დონალდ ტრამპის თურქული გამბიტი და საქართველო

## რეგიონში ახალი, გაცილებით რთული და დაუნდობელი ეპოქა იწყება



**გასული კვირის ბოლოს, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ლარმა ისევ დაიწყო გაუფასურება. ეს არაერთმა მიზეზმა განაპირობა, თუმცა მთავარი თურქეთისა და რუსეთის ეკონომიკაში განვითარებული მოვლენები, ლირასა და რუბლის კურსის ბოლოდროინდელი ცვლილებებია. აშშ-ის სანქციებმა, ფაქტობრივად კი, ეკონომიკურმა ომმა ამ ორი ქვეყნის, აგრეთვე, ირანის წინააღმდეგ საქართველოს პირველი ნეგატიური შედეგი მოუტანა.**

ფინანსთა მინისტრის მოადგილე **ნიკოლოზ გაგუა** ოპტიმიზმს ინარჩუნებს: „ჩვენ გვაქვს თავისუფალი მცურავი გაცვლითი კურსი, რომლის გამოც მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებმა ზეგავლენა მოახდინა ჩვენი ეროვნული ვალუტის კურსზეც, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია, ხაზი გავუსვათ, რომ ლარის კურსი ჩვენს ძირითად სავაჭრო პარტნიორებთან მნიშვნელოვნად გამყარებულია, გაუმჯობესება, დაახლოებით 17%-ია. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დინამიკა ფასების სტაბილურობას ქვეყანაში ვერ შეუქმნის საფრთხეს, გამომდინარე იქიდან, რომ ეროვნულ ბანკს გააჩნია ყველა საჭირო ბერკეტი ფასების სტაბილურობის შესანარჩუნებლად. როგორც ცნობილია, ბოლო პერიოდის განმავლობაში ინფლაცია, დაახლოებით, 2,5%-ის ფარგლებშია“. ალბათ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევაში ფასებს სტაბილურს ვეღარ ვუწოდებთ, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები, რომლებიც თურქეთის მიმართულებაზე მუშაობენ, ძალიან ნერვიულობენ.

თურქული ლირა იანვრიდან აგვისტომდე 29%-ით გაუფასურდა, ბოლო დღეებში კი ამ გაუფასურებამ ზვავისებური ხასიათი მიიღო. ამის მთავარი მიზეზი ძველ მოკავშირესთან, შეერთებულ შტატებთან, ურთიერთობის გაუარესებაა. ეს ურთიერთობა ჯერ კიდევ 2016-ში გაფუჭდა, როდესაც **ერდოღანის** მოწინააღმდეგეებმა სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა სცადეს, შემდგომი თვეების განმავლობაში კი თანდათან უარესდებოდა. ბოლო ეტაპზე დეტონატორის როლი ამერიკელი პასტორის, **ენდრიუ ბრანსონის,** საქმემ შეასრულა — მას ბრალს დებენ ჯაშუშობისა და **ფეთჰულა გიულენთან** კავშირში, რომელსაც თურქეთის ხელისუფლება ტერორისტად თვლის. ვაშინგტონის მოთხოვნის მიუხედავად, თურქებმა ბრანსონი არ გაათავისუფლეს. ამის შემდეგ, 1 აგვისტოს აშშ-მა შემოიღო პერსონალური სანქციები თურქეთის შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრების წინააღმდეგ, რასაც ერდოღანმა სიმეტრიულად უპასუხა.

10 აგვისტოს დონალდ ტრამპმა „ტვიტერში“ დაწერა: „სულ ახლახან თურქეთისთვის გავაორმაგე ტარიფები ფოლადსა და ალუმინზე, რადგან მისი ვალუტა, თურქული ლირა, ეცემა ჩვენი ძალიან ძლიერი დოლარის მიმართ!.. ამ დროისთვის ჩვენი ურთიერთობა თურქეთთან არც ისე კარგია“. საპასუხოდ თურქებმა გაზარდეს ტარიფები 22 დასახელების ამერიკულ საქონელზე. ამის შემდეგ ვაშინგტონში განაცხადეს, რომ თურქეთისთვის დაწესებულ სავაჭრო პრეფერენციებს გადახედავენ. ამასობაში თურქულმა ლირამ სწრაფი დაცემა დაიწყო. პრეზიდენტმა ერდოღანმა მოქალაქეებს მოუწოდა, დოლარი და ევრო ლირაზე გადაცვალონ და „ასე უპასუხონ მათ, ვინც ქვეყანას ეკონომიკური ომი გამოუცხადა“. მან ასევე თქვა: „ვაპირებთ, გადავიდეთ ვაჭრობაზე ეროვნულ ვალუტებში იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც ორმხრივი ვაჭრობის ყველაზე დიდი მოცულობა გვაქვს — ჩინეთთან, რუსეთთან, ირანთან, უკრაინასთან. თუ ევროპის ქვეყნები მოისურვებენ, თავი დააღწიონ დოლარის მარწუხებს, ანალოგიურად მოვიქცევით“.

დაპატიმრებული პასტორის ისტორია კონფლიქტის მხოლოდ ერთი ნაწილია, რომელიც ზედაპირზე დევს. კიდევ ერთი, გაცილებით მასშტაბური, თუმცა ნაკლებად ხმაურიანი კონფლიქტი ჯერ კიდევ ობამას პრეზიდენტობის პერიოდში დაიწყო, როდესაც ირანის ბირთვული პროგრამის გამო, ამ ქვეყნის საბანკო სექტორს სანქციები დაუწესეს. ამერიკელები მაშინ ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ დასჯიან ყველას, ვინც დაეხმარება თეირანს, სანქციებს გვერდი აუაროს. თურქეთმა, რომელიც ირანული ნავთობის უმსხვილესი იმპორტიორი გახლდათ, ეს მუქარა ცნობად მიიღო, მაგრამ იმ მასალების თანახმად, რომლებიც აშშ-ის ხელისუფლებას ფეთჰულა გიულენის მომხრეებმა წარუდგინეს, 2012 წელს თურქეთის ხელისუფლებამ ნება დართო სახელმწიფოს კუთვნილ „ჰალკ ბანკს“, ჩართულიყო ჩახლართული სქემის რეალიზაციაში, რომლის ფარგლებშიც ირანული ნავთობი ოქროზე იცვლებოდა. ამ მასალების მიხედვით, პროცესში ჩართულმა ამერიკელმა ბანკირებმა არ იცოდნენ, რომ ფული თეირანში მიდის. გასული წლის მარტში ამერიკელებმა „ჰალკ ბანკის“ თავმჯდომარის მოადგილე **ჰაკან ატილა** დააპატიმრეს, მაისში კი 32-თვიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ამან თურქეთის მკვეთრად ნეგატიური რეაქცია გამოიწვია. რაც მთავარია, ამ საქმესთან დაკავშირებით აშშ-მა შეიძლება თურქული აქტივების გაყინვა და კონფისკაცია დაიწყოს. პრეცედენტი უკვე არსებობს — „ბნპ პარიბასის“ დაჯარიმება 8,9 მილიარდი დოლარით ირანის, სუდანისა და კუბის წინააღმდეგ სანქციების რეჟიმის დარღვევის გამო (იყო სხვა მსგავსი შემთხვევებიც).

დაპირისპირება ეკონომიკის სფეროს გასცდა. 10 აგვისტოს „ნიუ იორკ თაიმსში“ გამოქვეყნებულ სტატიაში რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ, თუ ვაშინგტონი პოლიტიკას არ შეცვლის, თურქეთს ახალი მეგობრებისა და მოკავშირეების ძებნა მოუწევს. ექსპერტები გაკვირვებული არიან პრეზიდენტ ტრამპის დამოკიდებულებით ტრადიციული რეგიონული პარტნიორის მიმართ, რომელმაც შეიძლება მრავალწლიანი სამოკავშირეო ურთიერთობა იმსხვერპლოს. ბოლოს აშშ-მა სანქციები თურქეთის წინააღმდეგ 1975 წელს, კვიპროსის კრიზისის დროს შემოიღო.

**გაეროს სპეციალური მომხსენებლის — იდრის ჯაზაირის შეფასებით, რუსეთმა ამის გამო 52-55 მილიარდ დოლარზე მეტი ზარალი ნახა, ხოლო სხვა ქვეყნებმა — 100 მილიარდ დოლარზე მეტი (ეს 2017 წლის შეფასებაა, ახლა სიტუაცია გაუარესებულია). ჯაზაირის თქმით, რუსეთი სანქციებთან გამკლავებას წარმატებით ახერხებს**

წინამორბედებისგან განსხვავებით, რომლებიც აშშ-ს გლობალიზაციის პროცესის ლიდერად და მთავარ მოდერატორად განიხილავდნენ, ტრამპი, როგორც ჩანს, იდეალს კლასიკური იმპერიალიზმის ეპოქაში ხედავს, სადაც მთავარ ადგილს იკავებდა ეროვნული ინტერესების მკაცრი პრიორიტეტი, ბრძოლა ბაზრებისთვის, სავაჭრო ომები, სანქციები და ა.შ. ამ მომენტისთვის დონალდ ტრამპი აწარმოებს სხვადასხვა ინტენსიურობის ეკონომიკურ ომს ევროკავშირსა და ჩინეთთან. მან უარი თქვა „ბირთვულ გარიგებაზე“ ირანთან და ამ ქვეყნის წინააღმდეგ სანქციების ძველი პაკეტი აამოქმედა. სხვათა შორის, ერთ-ერთი ყველაზე საგულისხმო კომენტარი ტრამპის ანტითურქულ პოლიტიკაზე სწორედ ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა **მუჰამედ ჯავად ზარიფმა** გააკეთა: **„ტრამპის ზეიმი, რომ თურქეთს, ნატოს მოკავშირეს, ეკონომიკური ზიანი მიაყენა, სამარცხვინოა. აშშ-მა უარი უნდა თქვას სანქციებისა და დაშინებისადმი თავის მიდრეკილებაზე, თორემ მსოფლიო გაერთიანდება, რათა ისინი აიძულონ, ეს გააკეთონ. საუბარი არაა მხოლოდ სიტყვიერ გაკიცხვაზე. ჩვენ წარსულშიც მხარს ვუჭერდით ჩვენს მეზობლებს და ახლაც იმავეს გავაკეთებთ“**. ტარიფების გაზრდის პროცესში დონალდ ტრამპმა არ დაინდო უახლოესი პარტნიორები, „კარის მეზობლები“ — კანადა და მექსიკა. გასულ კვირას კი ცნობილი გახდა, რომ აშშ რუსეთის წინააღმდეგ ახალ სანქციებს შემოიღებს.

8 აგვისტოს ბრიფინგზე სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სანქციები შეიძლება შეეხოს „იმ საწარმოებს, რომლებზეც რუსული ეკონომიკის 70% და მუშა ხელის 40% მოდის“. ამასთანავე, სენატორების ჯგუფის შემუშავებული კანონპროექტის თანახმად, 7 რუსულ ბანკს აშშ-ის ტერიტორიაზე ოპერაციების განხორციელება აეკრძალება, ხოლო ამერიკული კომპანიები, ფაქტობრივად, დაკარგავენ შესაძლებლობას, რუსულ სახაზინო ვალდებულებებთან იმუშაონ. იგეგმება რუსეთში ე.წ. ორმაგი დანიშნულების ელექტრონიკის ექსპორტის შეზღუდვაც. ამის პასუხად, რუსეთის პრემიერმინისტრმა **დიმიტრი მედვედევმა** განაცხადა, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციების შემდგომი გაძლიერება ეკონომიკური ომის გამოცხადების ტოლფასი იქნება „და ამ ომზე რეაგირება მოგვიწევს — ეკონომიკური, პოლიტიკური, საჭიროების შემთხვევაში კი — სხვა მეთოდებით; ამერიკელ მეგობრებს ეს უნდა ესმოდეთ“. „ჩვენი ქვეყანა, ბოლო ასი წელია, სანქციების ზეწოლის პირობებში ცხოვრობს. რისთვის კეთდება ეს? იმისთვის, რომ რუსეთი საერთაშორისო ასპარეზზე ძლიერი კონკურენტების სიიდან ამოშალონ“, — დასძინა რუსეთის პრემიერმინისტრმა.

**2014 წლის უკრაინის კრიზისის შემდეგ დასავლეთის ქვეყნებმა რუსეთის წინააღმდეგ სხვადასხვა ტიპის სანქციები შემოიღეს. გაეროს სპეციალური მომხსენებლის — იდრის ჯაზაირის შეფასებით, რუსეთმა ამის გამო 52-55 მილიარდ დოლარზე მეტი ზარალი ნახა, ხოლო სხვა ქვეყნებმა — 100 მილიარდ დოლარზე მეტი (ეს 2017 წლის შეფასებაა, ახლა სიტუაცია გაუარესებულია). ჯაზაირის თქმით, რუსეთი სანქციებთან გამკლავებას წარმატებით ახერხებს, „რაც მიუთითებს იმაზე, რომ მთავრობის მიერ მიღებულმა საადაპტაციო ზომებმა დადებითი შედეგი გამოიღო“.**

**ტრამპის ადმინისტრაცია აწარმოებს ეკონომიკურ ომს საქართველოს სამი მეზობლის — რუსეთის, თურქეთისა და ირანის წინააღმდეგ. პირველი ორის ეკონომიკის თუნდაც მცირე დესტაბილიზაცია საქართველოზე ნეგატიურ გავლენას ყოველთვის ახდენს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ სამივე ქვეყანამ შეიძლება დედოლარიზაციის პროცესი დააჩქაროს და არა მხოლოდ ეკონომიკური კოოპერაციის, არამედ პოლიტიკური დაახლოების ახალი გზები მოძებნოს**

ამგვარად, ტრამპის ადმინისტრაცია აწარმოებს ეკონომიკურ ომს საქართველოს სამი მეზობლის — რუსეთის, თურქეთისა და ირანის წინააღმდეგ. პირველი ორის ეკონომიკის თუნდაც მცირე დესტაბილიზაცია საქართველოზე ნეგატიურ გავლენას ყოველთვის ახდენს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ სამივე ქვეყანამ შეიძლება დედოლარიზაციის პროცესი დააჩქაროს და არა მხოლოდ ეკონომიკური კოოპერაციის, არამედ პოლიტიკური დაახლოების ახალი გზები მოძებნოს. **ტრამპის პოლიტიკა ჩამოთვლილ ქვეყნებს ალიანსების შექმნისკენ უბიძგებს. ამ შემთხვევაში საქართველო, თუ ხელისუფლება პროცესებს ადეკვატურად არ შეაფასებს, შეიძლება გადაიქცეს არა დამაკავშირებელ ხიდად, არამედ იზოლირებულ კუნძულად.** 1921 წელს რუსეთი და თურქეთი საქართველოს ალიქვამდნენ, როგორც მათ მიმართ მტრულად განწყობილი დასავლეთის პოტენციურ პლაცდარმს და ამან შესაძლებლობა მისცა ორ, ერთმანეთთან ტრადიციულად დაპირისპირებულ სახელმწიფოს, საერთო ენა გამოენახათ. შესაძლოა, ახლა საფრთხე გაცილებით დიდია, ვიდრე ვალუტის კურსის ცვლილება, ხოლო რეგიონში ახალი, გაცილებით რთული და დაუნდობელი ეპოქა იწყება.

**ლუკა ნემსაძე**

ნოსტალგიის გაზეთი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მაშინ იყო, რომ ქართველი მეტრომშენებლები რუსეთში მიიწვია მოსკოვის „მეტრომშენის“ ხელმძღვანელმა იური კოშელევმა, რომელიც კარგად იცნობდა და დიდად აფასებდა ამ დარგის ჩვენ მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს, მეგობრობდა თბილმეტრომშენის უფროსთან ბიძინა სონღულაშვილთან.**

# მისი უდიდებულესობა მუშათა კლასი

„თქვენ ხართ მარილი მიწისა“
*(მათ. 5,13)*

**მუშა, ქვეყნის დოვლათის შემქმნელი, ჩვენს მედიას (უპირველესად — ელექტრონულს) მხოლოდ მაშინ ახსენდება, როცა უბედურება დატრიალდება მის თავს: ან გადმოვარდება ვინმე მშენებარე კორპუსიდან, ან აფეთქდება მეთანი მაღაროში, ან აქციას გამართავენ ხელფასის მომატების მოთხოვნით. მაყურებელიც ასეთ სიუჟეტებს ეტანება.**
**პარადოქსია, ადამიანები ბედნიერ ცხოვრებაზე ოცნებობენ და ტრაგიკული ამბების მოსმენით ერთობიან... მიგვაჩვიეს?! არადა, იყო დრო, როცა „მოამბის“ ყოველდღიურ გამოშვებაში მადლობას ვეუბნებოდით კეთილსინდისიერი შრომით გამორჩეულებს, განსაკუთრებით, ახალგაზრდებს. „მადლობა“ ერქვა ამ რუბრიკას, რომლითაც ერთხელ ახალგაზრდა სპეციალისტი ბიძინა ივანიშვილი გაიცნო საქართველომ. არც მეტი, არც ნაკლები.**
**ასეთია ცხოვრება, რომლის დასაწყისში დგახარ და რომელიც სიურპრიზებით გრძელდება.**

აქ, თბილისის ერთ ტრადიციულ უბანში, სამი კორპუსი შენდება.

ახედავ და დაინახავ, რომ სადღაც იქ, „სულ მაღლა და ზემოთ“, სადაც მთავრდება ამწე კოშკურის ისრის სამოქმედო არეალი, ამ აგვისტოში თბილისს შემორჩეულ ღრუბლებს მიბჯენია მრავალსართულიანობის საფინალო კონტურები.

ქვემოთ, ხევში კი ბურღაობს ექსკავატორი ამ შენობის ტყუპისცალის საძირკვლის გათხრაზე. სამი ნულოვანი სართულისთვის მიწისქვეშა სივრცის შესაქმნელადო, — გამისწორებენ აქაურები, რომლებმაც პატივი დამდეს და „უცხო პირი“ დაცულ ტერიტორიაზე მიმიპატიჟეს.

წლების განმავლობაში აქ ანტისანიტარიის ისეთი გეენა ტრიალებდა, რომ პარიზის ისტორიული კლოაკა რივიერად მოგეჩვენებოდათ: ბარაკის ტიპის ნაგებობები, მოშლილი საკანალიზაციო ქსელის დამსკდარი მილები, ფეკალიებით სავსე ჭები, რომლებიდანაც ყროლი მასა გადმოედინებოდა. და ასეთ გარემოში ცხოვრობდნენ ადამიანები XXI საუკუნეში. დედაქალაქის პრესტიჟული უბნის კიდეში.

მშენებლობის დამთავრების შემდეგ ათეულობით აქ მცხოვრები ოჯახი, კანცელარიული შტამპი რომ ვიხმარო, „გაიუმჯობესებს საცხოვრებელ პირობებს“.

უფასოდ!

კორპუსებს 21-კაციანი ბრიგადა აშენებს, ინჟინრებთან და მენეჯერებთან ერთად. შეკრული კოლექტივია — ვეტერანებისა და ახალგაზრდა კადრების გონივრული შენადნობი.

ჯერ უფროს თაობას წარმოგიდგენთ.



**თამაზ ასანიძე, ცნობილი მეტრომშენებელი, სამშენებლო კომპანიის მთავარი ინჟინერი, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისში, 400 მეტრომშენებელთან ერთად, რუსეთში წავიდა სამუშაოდ, რადგან მაშინ საქართველოს ეკონომიკა აბსოლუტურ კოლაფსში აღმოჩნდა და ეს მაღალკვალიფიციური არმია დაუსაქმებელი დარჩა, პერსპექტივით — ნული.**

მეტრო ვის ახსოვდა...

მაშინ იყო, რომ ქართველი მეტრომშენებლები რუსეთში მიიწვია მოსკოვის „მეტრომშენის“ ხელმძღვანელმა **იური კოშელევმა**, რომელიც კარგად იცნობდა და დიდად აფასებდა ამ დარგის ჩვენ მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს, მეგობრობდა თბილმეტრომშენის უფროსთან **ბიძინა სონღულაშვილთან.**

იური კოშელევმა გამოსტაცა უმუშევრობის ბაყბაყდევს ქართველი მეტრომშენებლები და მოსკოვში დაასაქმა.

— თავდაპირველად მეტრო „ჩკალოვსკაიას“ უბნის უფროსად გამამწესეს, — იხსენებს ბატონი თამაზი, — ურთულესი სამუშაოები შევასრულეთ. მოგვიწონეს და მანეჟის მიწისქვეშა სავაჭრო ცენტრის მშენებლობაზე გადაგვიყვანეს: კრემლის კომუნიკაციების დახლართული ქსელის აბლაბუდაში იუველირული სიზუსტით გვირაბი უნდა გაგვეყვანა. ჩვენამდე არც ერთმა ორგანიზაციამ ხელი არ მოჰკიდა. ვერ დაიკისრეს პასუხისმგებლობა.

**ჩვენებმა შეძლეს. სახელი გაუვარდათ. ურთულეს ობიექტებზე იწვევდნენ, იყო ეს ეკატერინბურგში თუ იმავე მოსკოვში მეტროს მშენებლობაზე. ასანიძემ აქ კომპლექსის უფროსად კარგა ხანს იმუშავა.**

ხოლო მას შემდეგ, რაც კომპანია „ინგეოკომმა“ ტენდერი მოიგო, ქართველები ბოსფორის სრუტის ქვეშ ოთხკილომეტრიანი გვირაბის მშენებლობაზე დასაქმდნენ. იცოდეთ: ამ უნიკალური პროექტის განხორციელების ავანგარდში ქართველები იდგნენ, ქართველი სუპერსპეციალისტები, თამაზ ასანიძის ხელმძღვანელობით.

ცრუქაქუცა მიხეილ სააკაშვილი თბილისიდან ლონდონში გასაყვანი გზის მოლანდებებით რომ ერთობოდა, ჩვენი თანამემამულეები საუკუნის ამ პროექტს რეალურად ახორციელებდნენ.

25 წელიწადი მუშაობდა თამაზ ასანიძე საქართველოს ფარგლებს გარეთ. 2017-ში დაბრუნდა სამშობლოში, მშენებლად.

* * *

**ბატონი ოთარ ჭითანავა, სამშენებლო კომპანიის მენეჯერი, უწინდელი სლენგით — „პრორაბი“, 70 წლისა ხდება. აქედან 50 წელიწადი მშენებლობაზე მუშაობს. ამ დროის განმავლობაში ორჯერ შეიცვალა სახელმწიფო წყობილება. მორიდებით ვთხოვ, საკუთარი გადასახედიდან შეაფასოს ერთიცა და მეორეც.**



ახალგაზრდა მშენებელთა ბრიგადა. მარჯვნივ — ოთარ ჭითანავა

— უწინ ხალხს ისე არ უჭირდა, როგორც დღეს, — ბრძანებს ბატონი ოთარი, — სამუშაო საძებნი არავის ჰქონდა და ბევრი სიკეთეც იყო: ბინებს უფასოდ გვირიგებდნენ, მუშათა კლასს აფასებდნენ სახელმწიფო ჯილდოებით, ათასნაირი შეღავათითა და წახალისებით. რაც მთავარია, იყო ურთიერთპატივისცემა, სინდის-ნამუსი, ვიცოდით უფროს-უმცროსობა, ქალისადმი მოკრძალებული დამოკიდებულება ნორმა იყო.

დღეს, სამწუხაროდ, ადამიანი საზოგადოებისთვის გაწეული შრომით არ ფასდება, მოქალაქეზე ზრუნვა აღარ არის ხელისუფლების უმთავრესი ამოცანა.

ადამიანმაც დაკარგა მოვალეობის გრძნობა. ჩემს შორეულ ახალგაზრდობაში ათმეთაურად რომ დამნიშნეს, სანამ დავალებულ საქმეს ბოლომდე არ მივიყვანდი, არ მოვეშვებოდი. მიუხედავად იმისა, რომ საღამოობით პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაუსწრებელზე ვსწავლობდი და დაღლილ-დაქანცულს ლექციაზე შეიძლება ჩამეყვინთა კიდეც, ვასწრებდი სწავლასაც და შრომასაც. გამონაკლისი მხოლოდ მე არ ვყოფილვარ.

დღეს შრომის ორგანიზებაზე, მით უფრო, მეცნიერულ ორგანიზებაზე, არა მგონია, ფიქრობდნენ სახელმწიფო სტრუქტურებში. ისევ „ძველების თაობა“ ვცდილობთ ჩვენი ცოდნისა და გამოცდილების მოხმობით სამუშაო პროცესის რაციონალურ კალაპოტში ჩაყენებას.

**50 წლის განმავლობაში აშენებული აქვს, ლტოლვილების კოტეჯების, საცხოვრებელი კორპუსებისა და სხვა ნაგებობათა ჩათვლით, 200-მდე ობიექტი. სად?**

**თბილისის ყველა რაიონში, შემდეგ — ქურთაში, სკრაში, სხვაგან და სხვაგან, მოკლედ, ყველგან, სადაც საჭირო იყო.**



**პაატა ოკუჯავას მშენებელთა ბრიგადა ახალგაზრდულია: დურგლები, მეარმატურეები, მებეტონეები, ელშემდუღებლები. როგორც წესი, კვალიფიციური მუშები. ჩემისთანას, მაგალითად, შავ მუშადაც არ მიიღებენ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ თავს ვერ გავართმევ, მიუხედავად იმისა, რომ ბებერი ხარის რქებიცა ხნავენ. მეორეც იმიტომ, რომ არც ერთი მათგანი შავ სამუშაოს, მშენებლობას თუ დასჭირდა, არ ერიდება, გააკეთებს.**

ძირითადად რაიონებიდან ჩამოსულებით არის დაკომპლექტებული ბრიგადა, ერთი-ორიც თბილისელია.

— კარგი ბიჭები მყავს, — ამბობს პაატა, — ოჯახივით ვართ, ერთი ორგანიზმივით: **ალექსი ფარსადანიშვილი, დავით არზუმანიანი, ტარიელ გადაბაძე, გენადი აგაპკინი, გიორგი ღუღუნიშვილი, მერაბ ხვედელიძე, თამაზ ცინდელიანი.**

— **ინტერნაციონალი!**

— ასე გამოდის.

პაატა მარტვილელია, სოფელ დიდი ჭყონიდან. 2006 წლიდან მშენებლობაზე მუშაობს — თვითნასწავლი მშენებელია, მაგრამ ისეთი გამოცდილი, ზოგ დიპლომიანს რომ შეშურდება. ბრიგადის წევრების უმეტესობა მარტვილიდანაა, კახეთიდანაც მყავსო, — დამიზუსტებს. მეზობელი სენაკიდანაც: **როლანდ გუგუნავა, გიორგი ხოფერია, გიორგი ნაჭყებია** (აქ წამით შევწყვეტ ჩამოთვლას და მივმართავ ჩემს ძველ მეგობარს, კოლეგასა და ამაგდარ ადამიანს — გიორგი ნაჭყებიას, რომელიც ახლახან 90 წლისა გახდა; აი, შენი სეხნიაც გამოჩნდა ახალ თაობაში. სახელთან ერთად, საქმენიც გამეორდება, ჩემო ჟორა ბატონო!), **ირაკლი პერანიძე, ბეჟან არევაძე, ქირია, გერხელია...**

— **ხელფასების პრობლემა?**

— ვერგებით ხელფასს. ახლახან წაგვიმატეს. იქით-იქით კიდევ იქნებაო.

ამასობაში (ჩემი თხოვნით) შეგროვდა ბრიგადა მესამე სართულზე ასასვლელ კიბესთან, ნაწილობრივ. ყველა ვერ მოცდა სამუშაოს. შეგროვდნენ და ძალიან ჰგავდა ახალგაზრდების ეს კრებული მსოფლიო პირველობაზე გამარჯვებული სპორტსმენების გუნდს, რომელმაც ფინალური შეხვედრა - ეს-ესაა მოიგო და სამახსოვრო ფოტოს იღებს.

არ იყო ოქროსფერი წვიმის ამოფრქვევა, არ ჟღერდა საზეიმო მელოდიის დიდებული აკორდები, არ ჰქუხდა და გრიალებდა ეგზალტირებული მაყურებლებით სავსე ტრიბუნები. მხოლოდ სახუმარო რეპლიკებს ისროდნენ ასეთ ფოტოსესიებს მიუჩვეველი ბიჭები, რომლებსაც მაინცდამაინც არ სჯეროდათ, რომ გაზეთში დაიბეჭდებოდა მათი ჯგუფური ფოტო.

არ სჯეროდათ, რადგან ჟურნალისტებს დღემდე არ აუტალახებიათ ლამის მუზეუმის პარკეტივით მოვლილი აქაური ბეტონის იატაკები, სადაც, სიგარეტის ნამწვავს კი არა, ზაფხულის ხვატით დამჭკნარ-გაყვითლებულ ფოთოლსაც ვერ იპოვი.

ამ ოთხშაბათს, დილით გაზეთების დასტას რომ მოგიტანთ (კი გამიჭირდება თქვენამდე ამოღწევა — თვეში ორი სართული აგყავთ), მაშინ ხომ დაიჯერებთ! მოგიტანთ და ძველი ტრადიციისამებრ გეტყვით: გმადლობთ, ბიჭებო!

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. ნუ იკითხავთ, კერძოდ რომელ მშენებლობას ეხება ეს ნაუცბათევი ჩანახატი, ვერ გიპასუხებთ, რადგან საკმარისია, სადმე გამოჩნდეს დადებითი პუბლიკაცია, სახელდებითი კონკრეტიკით, რომ საგადასახადო სამსახური უმალვე რეკლამად ჩათვლის და მერე, მიდი და იხადე გადასახადი შემოსავლიდან, რომელიც არ მიგიღია, რადგან არავის არ მოუცია.**

**ან რატომ უნდა მოეცა?**

**სამაგიეროდ, ვინც გინდა და რამდენიც გინდა, ლანძღე, სანამ არ მოგწყინდება, უბატონოდ ხმას არავინ გაგცემს.**

**სიტყვის თავისუფლება დღეს ასე ესმით.**

**ა.ს.**

## საკითხავი აი ეს არის...

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ეროვნულ უფლებისთვის ბრძოლა ისევე ძველია, როგორც თვით ერი. მას აქვს თავისი მეთოდები, საუკუნოებით ნაკურთხი და ერებიც იმარჯვებდნენ ვიდრე არ ღალატობდნენ ამ მეთოდებს ბრძოლისას. მაგრამ რა ბოლო უნდა ჰქონდეს ისეთ ბრძოლას, რომელშიაც მთავრობა მხოლოდ ნაციონალურ ნიადაგზედ გვებრძვის?“**

# საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ პარტიათა პოლიტიკური სიბეცე: «ყველაფრის დანახვა შორ მანძილზედ და არაფრის დანახვა ახლოს!»

„საქართველო სასტიკ პოლიტიკურ კრიზისს განიცდის. იგი გამოწვეულია, ერთის მხრივ, მთავრობის ყოფაქცევით... მეორეს მხრივ — საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ პარტიათა მოქმედებით. ჩვენ ვსცხოვრობთ კოლექტიურ აზრსა და დისციპლინას მოკლებულ დროს“ — ამაზე ბევრი საუბრობს დღეს, მაგრამ ეს სიტყვები გაცილებით დიდი ხნის წინათ ითქვა — 1913 წელს, როცა შალვა ამირეჯიბმა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალ „კლდეში“ გამოაქვეყნა წერილი სათაურით „პოლიტიკური კრიზისი საქართველოში“.

საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში დღეს სხვადასხვა პროფესიის მრავალი ადამიანია თავმოყრილი, რომლებიც გვევლინებიან პოლიტიკური პარტიების თავმჯდომარეებად და პოლიტიკოსობას ჩემულობენ, თუმცა ბევრ მათგანს წარმოდგენაც არ აქვს არც პოლიტიკაზე, არც ისტორიაზე, არც დიპლომატიაზე, არც იმაზე — თუ სად, როდის, რა და როგორ უნდა თქვას ან არ თქვას. ამის უამრავი მაგალითია და ყოველივე უარყოფითად აისახება საქართველოს დღევანდელ ცხოვრებაზე.

ქართველ ვაიპოლიტიკოსთა პოლიტიკური სიბეცე კი საქართველოსა და ქართველ ხალხს ძვირად უჯდება.

ქართულ პოლიტიკურ სპექტრს გასაჯანსაღებლად სჭირდება ღირებულებებზე დამყარებული პოლიტიკური ჯგუფები და არა მატერიალურ სიკეთეებზე ორიენტირებული დაჯგუფებები. იმედი ვიქონიოთ, რომ საზოგადოება თვითონვე იპოვის საკუთარ თავში ძალას, რათა წარმოშვას ახალი ტიპის პოლიტიკოსები, პარტიები და შეცვალოს პოლიტიკური კულტურა საქართველოში.

ამ იმედის გასამყარებლად მკითხველს ვთავაზობთ პოლიტიკოსის, პუბლიცისტის, პოეტის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლის — შალვა ამირეჯიბის საუკუნისწინანდელ წერილს „პოლიტიკური კრიზისი საქართველოში“.

„ეროვნული პოლიტიკა მოძრავი უნდა იყვეს, იგი ცეცხლსა ჰგავს ჩაუქრობელს, რომელიც არასოდეს არ უნდა ქრებოდეს იმიტომ, რომ მისი ანთება ყოველთვის ადვილი არ არისო“, — შენიშნავს ავტორი.

ჩვენთვის კი დღეს საკითხავია: დღევანდელ ხელისუფლებას როგორი ეროვნული პროგრამა აქვს? ისეთი ხომ არა, რომელიც გვიზრდის რაღაც „მსოფლიო მოქალაქეთ“ „ამ მსოფლიოს ვითარების სულ მდარე ცოდნით“?

თვითრწმენა გამარჯვების ნახევარიაო. რწმენა არ უნდა დავკარგოთ, რწმენა საკუთარი შესაძლებლობებისა და, რაღა თქმა უნდა, ღვთისა. ისტორია გვკარნახობს, რომ მართლმადიდებლობის რწმენით გაძლიერებული ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ფენიქსივით ბევრჯერ განახლებულა. მაგრამ, თუ დაგვაჯერეს ხალხი, რომ არც წინაპარი გვივარგოდა; არც თვითონ გვაქვს რამე და არც ჩვენი ჩამომავლობა შექმნის რაიმე ღირებულს; თუ გამოგვაცლიან რწმენას და მოგვიშლიან იმედს, მაშინ ჩვენი დღენი დათვლილი იქნება.

სწორედ ამ საქმეს ემსახურება დღეს ლიბერალთა ბრძოლა დედაეკლესიასთან, საქართველოში ჩამოთესლილი არასამთავრობოები და მათ მიერ მოწამლული, მანქურთებად ქცეული რიგი ადამიანებისა... მაგრამ მთელი ხმით მინდა ვიყვირო და გავაგონო მტერსაც და მოყვარესაც, რომ „ჩვენს ფიზიკურ აღნაგობაში განუყრელად ჩაღვრილია ბიოლოგიური გამძლეობაც. მარტო ეს ერთი მაგალითიც ნათლად ამტკიცებს ჩვენს უბერებლობას: მარტო წინა აზიაში, ჩვენ გვერდით და გარშემო ოციოდე დიდი ერი და სახელმწიფო დაიღუპა, ზოგნი კი მიილივნენ და დაიშრიტნენ. ეს ერები რიგრიგად გვფლობდნენ. შემდეგ ბატონები რიგრიგადვე დაგვეხოცნენ, ჩვენ კი ისევ ფეხზე ვდგევართ და ჩვენი გზით მივაბიჯებთ — დინჯად, მტკიცედ და უდრეკად. ამ გზაზედ მრავალჯერ ჩავვარდით სამარეში — ზოგჯერ ცალი ფეხით, ზოგჯერ კიდევ ყელამდის.

ხალხთა ულეველ ჭიდილში ქართულ რასსას ებრაელთა უკვდავება და ჭიანჭველას ძალა აღმოაჩნდა: ვინც ჩვენი შეჭმა დააპირა, ჩვენი შხამით მოიწამლა“ (მიხეილ ჯავახიშვილი).

*შალვა ამირეჯიბი*

# პოლიტიკური კრიზისი საქართველოში



სახალხო დღესასწაული „დიდგორობა“. წელს ის ახალგაზრდების აქცია-მსვლელობით დაიწყო მუშთაიდის ბაღიდან და დიდგორის ველზე დასრულდა

საქართველო სასტიკ პოლიტიკურ კრიზისს განიცდის. იგი გამოწვეულია ერთის მხრივ მთავრობის ყოფაქცევით, როგორც ამას გაზეთი „იმერეთიც“ აღნიშნავს, მეორეს მხრივ — საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ პარტიათა მოქმედებით. ჩვენ ვსცხოვრობთ კოლექტიურ აზრსა და დისციპლინას მოკლებულ დროს. ეროვნული პოლიტიკის უქონლობა წითელი ზოლია, რომელიც ჩაჰქსოვია ყოველ მოვლენას, რომელსაც კი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ბეჭედი აზის. მონობასთან ბრძოლა დღეს, პოლიტიკურ პარტიებისათვის, მთავრობასთან კავშირით შეიცვალა და გუშინდელი ნაზარეთი დღეს აღთქმის ქალაქად იქცა, საიდანაც ურწმუნონიც კი მესსიას მოელიან. მთელი საქართველო გახრწნილ ლაზარეს დაემსგავსა, რომლის მეგობრებს კიდევა სურთ მისი აკლდამაში შეგდება.

სრული უქონლობა **ეროვნულ პროგრამისა** დამახასიათებელი თვისებაა მომენტისა. თვით ეროვნული იდეია, რომელიც სულ ახლო წარსულში საკამათო საგნად ითვლებოდა, იმავ წარსულის წყალობით, დღეს სასტიკ სუბორდინაციას განიცდის. ცნება ერისა და ეროვნული მოთხოვნილებანი დღეს რთულ თეორიულ და აბსტრაქტულ სოციალურ სისტემებს ექვემდებარება და **ეროვნული პოლიტიკა, თავის ბუნებით ლაღი და ფრიად პერმანენტული, უძრავად სდგას სასტიკ რეაქციის ქაობში ჩაფლული.** ეს სუბორდინაცია არის, რომ ჰქმნის პოლიტიკურ კრიზისს. აიღეთ თანამედროვე ქართული პროგრამები: შიგ ნახავთ სოციალიზმსაც და ფედერალიზმსაც, რვა საათის სამუშაო დღესაც და მუშათა დაზღვევას, მაგრამ **თქვენ ვერ ნახავთ, რომ ეს პროგრამები იძლეოდნენ პრაქტიკულ დასკვნებს, რომელიც საჭირონი არიან ყოველი ქართველისთვის მათს მძიმე ცხოვრებაში და ბრძოლაში. აღზრდა ქართველის მოქალაქისა სულით და ხორცით, ნათელის მსოფლმხედველობით და უდრეკ პატრიოტიზმით — აი რა უნდა იყოს დანიშნულება ამ პროგრამებისა, რასაკვირველია, იმის გარდა, რომ ეს პროგრამები ამასთანავე სავსებით უნდა გამოხატავდნენ ქართულ პოლიტიკურ მისწრაფებას. ნამდვილად კი, ამის ნაცვლად ისინი გვიზრდიან რაღაც „მსოფლიო მოქალაქეთ“ ამ მსოფლიოს ვითარების სულ მდარე ცოდნით. და ამრიგად, რაც უფრო „აფართოვებენ“ ეს პროგრამები ჩვენს ჰორიზონტს, მით უფრო ხედვის ენერგია პერიფერიებში მიგვდის და მით უფრო ხედვის ენერგია ცენტრში კლებულობს და პოლიტიკური სიბეცეც ხომ სწორედ ამასა ჰქვიან — ყველაფრის დანახვა შორ მანძილზედ და არაფრის დანახვა ახლოს!**

განსაკუთრებულმა გატაცებამ ინტერნაციონალურის იდეებით შეჰქმნა ის, რომ გამოტოვებულ იქნა თვით ნაციონალური იდეია და თვით ისინიც კი, რომლებიც ეროვნულ პოლიტიკის მჭედლებად ითვლებიან, უკეთეს შემთხვევაში ისეთ მებრძოლთ მოგვაგონებენ, რომლებიც საბრძოლველად კი გამოსულან, მაგრამ წინდაწინვე დასტირიან თავიანთ მტრებს, რომელთა სისხლი ბრძოლის ველს ჯერ კიდევ არ მიუღია. ასეთი ოპერატიული გულკეთილობა მებრძოლთა ჩვენ მიგვაჩნია ჭეშმარიტ პოლიტიკურ სილაჩრედ.

**დრო მოითხოვს, რომ ჩვენი პოლიტიკური პროგრამები განწმენდილ იქნენ იმ ხორცმეტებისგან, რომლებიც ჰქმნიან მხოლოდ მის სანახაობას და არა შინაარსს. ეროვნული იდეია ისტორიის ყველა ხანაში განცვიფრებამდე კონკრეტული იყო, მას მიტომ ითვისებდა ხალხი, რომ იგი სადა იყო და არავითარის აბსტრაქციებით არ იყო დატვირთული.** „რომი ან სიკვდილი“, — იძახდნენ იტალიელები გარიბალდის მეთაურობით და ეს ორი სიტყვა გასაგები იყო ყოველ პატრიოტ კარაბინერისთვის. ჩვენში კი, მიუხედავად ყოველივე ფიცისა, რომ ეროვნულმა იდეიამ მძლავრად გაიდგა ხალხში ფესვები, მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ იდეია ხალხზედ ჯერ კიდევ შორსა სდგას. რათა? იმიტომ, რომ იგი არ არის კონკრეტული, სადა. იგი დატვირთულია აბსტრაქციებით და ხალხს აღარ ეყურება. **ეროვნული პოლიტიკა მოძრავი უნდა იყვეს, იგი ცეცხლსა ჰგავს ჩაუქრობელს, რომელიც არასოდეს არ უნდა ქრებოდეს იმიტომ, რომ მისი ანთება ყოველთვის ადვილი არ არის და როცა ეროვნულ იდეიას ზედ აკოწიწებენ სხვა რთულ სოციალურ აბსტრაქციებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მის განვითარებას აჩერებენ. ეროვნულ უფლებისთვის ბრძოლა ისევე ძველია, როგორც თვით ერი. მას აქვს თავისი მეთოდები, საუკუნოებით ნაკურთხი და ერებიც იმარჯვებდნენ ვიდრე არ ღალატობდნენ ამ მეთოდებს ბრძოლისას. მაგრამ რა ბოლო უნდა ჰქონდეს ისეთ ბრძოლას, რომელშიაც მთავრობა მხოლოდ ნაციონალურ ნიადაგზედ გვებრძვის და ჩვენ კი კლასობრივ ბრძოლაზედ აგებულს პასუხს ვაძლევთ? ეს არის ნონსენსი საქართველოს პოლიტიკურ მაჯისცემისა და ვიდრე ჩვენი პოლიტიკის მეთაურნი არ შეიგნებენ ამას, ჩვენ თავს ვერ დავაღწევთ ამ საშინელ კრიზისს.**

„კლდე“ №35,
3 გიორგობისთვე, 1913 წ.

რუბრიკას უძღვება
**დარეჯან ანდრიაძე**

**«ეს პროგრამები ამასთანავე სავსებით უნდა გამოხატავდნენ ქართულ პოლიტიკურ მისწრაფებას. ამის ნაცვლად ისინი გვიზრდიან რაღაც «მსოფლიო მოქალაქეთ» ამ მსოფლიოს ვითარების სულ მდარე ცოდნით. და ამრიგად, რაც უფრო «აფართოვებენ» ეს პროგრამები ჩვენს ჰორიზონტს, მით უფრო ხედვის ენერგია პერიფერიებში მიგვდის და მით უფრო ხედვის ენერგია ცენტრში კლებულობს და პოლიტიკური სიბეცეც ხომ სწორედ ამასა ჰქვიან — ყველაფრის დანახვა შორ მანძილზედ და არაფრის დანახვა ახლოს!»**

**«ეროვნული პოლიტიკა მოძრავი უნდა იყვეს, იგი ცეცხლსა ჰგავს ჩაუქრობელს, რომელიც არასოდეს არ უნდა ქრებოდეს იმიტომ, რომ მისი ანთება ყოველთვის ადვილი არ არის და როცა ეროვნულ იდეიას ზედ აკოწიწებენ სხვა რთულ სოციალურ აბსტრაქციებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მის განვითარებას აჩერებენ»**

ვასილი სიდოროვი: ქუჩებში ცხოვრება გამოჩნდა და მე ვიგრძენი დიდი ქალაქის მაჯისცემა. საღამოვდებოდა, ყველგან ანთებდნენ ფარნებს. დიახ, ეს იყო ტფილისი, ჩვენი პლანეტის ერთ-ერთი ორიგინალური ქალაქი. მე ყოველთვის ვოცნებობდი, ერთხელ კიდევ მოვხვედრილიყავი ამ კურიოზულ, ჭრელ, საქართველოს ძველ დედაქალაქში, დედაქალაქში, რომელსაც მე გადავყავდი ზღაპრების სამყაროში — ათას ერთი ღამიდან „სინდბად მეზღვაურისა“ და „ალადინის ლამპრის ზღაპრებში.

დედაქალაქის ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ზემელი

**რუსთაველის გამზირისა და ვერის დაღმართის კუთხეს დღემდე ზემელად მოიხსენიებენ, მაგრამ ბევრმა, შესაძლოა, არც კი იცის, ვინ იყო ზემელი. ევგენი ზემელი აფთიაქარი გახლდათ. მისი ჰომეოპათიური აფთიაქი ოლგას ქუჩისა და ვერის დაღმართის კუთხეში მდებარეობდა. არსებობს მცდარი ვერსია, რომ თითქოს ეს აფთიაქი მელიქ-აზარიანცის „შემოსავლიანი სახლის“ პირველ სართულზე იყო განთავსებული.**

XIX საუკუნის თბილისში საafთიაქო ბიზნესით, ძირითადად, გერმანელები იყვნენ დაკავებულნი: **ევგენი ზემელი, ფერდინანდ ოტენი, ფლორა შენბერგი, ფრიც გლეზერი, ენგელბრეჰტ შენგარდი** და სხვები. ზემელსა და ოტენს სამი აფთიაქი ეკუთვნოდათ, სულ კი 1912 წლისთვის თბილისში 23 აფთიაქი და 30 სააფთიაქო მაღაზია ფუნქციონირებდა. ცნობილი ფაქტია, რომ ზემელი ფულს უხდიდა ტრამვაის ვატმანებს, რათა გაჩერებისას ხმამაღლა დაეძახათ: **„ზემელის აფთიაქი!“.**

XX საუკუნის 70-იან წლებში, სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან დაკავშირებით, ზემელის აფთიაქი დაანგრიეს, მაგრამ სახელი „ზემელი“ ამ ადგილს დღემდე შემორჩა.

„თბილისი პლანეტის მართლაც ორიგინალური ქალაქი, ყოველთვის იყო მეგობრობის, ძმობის, სიყვარულის სიმბოლო და ასეთად რჩება იგი ყოველი კეთილი სტუმრის მოგონებაში“, — ვკითხულობთ **მამია ჩორგოლაშვილის წიგნში „მთწმინდა“, რომელშიც თავმოყრილია სხვადასხვა დროს თბილისში სტუმრად ჩამოსული არაერთი უცხოელის შთაბეჭდილებები.**

რად ღირს თუნდაც XX საუკუნის ცნობილი რუსი პოეტის — ევგენი ევტუშენკოს ეს გულწრფელი სიტყვები:

**„ვიცი, რუსად რომ**
**არ ვშობილიყავ,**
**ქართველ კაცობას**
**ვარჩევდი ქვეყნად!“**

თბილისის სილამაზით მოხიბლული ნორვეგიელი მწერალი **კნუტ ჰამსუნი** საქართველოს დედაქალაქს გულისტკივილით ეთხოვება და იმედს გამოთქვამს, რომ იგი კვლავ ეწვევა ამ მომაჯადოებელ ქალაქს, რამეთუ მას მტკვრის წყალი დაულევია. ეს კი, მისი აზრით, საკმარისია ნატვრის ასასრულებლად. „ვიქტორიის“ ავტორი წერდა: **„მაშ, ეს არის თბილისი, ქალაქი, რომელზეც მრავალ რუს პოეტს დაუწერია და სადაც ბევრი რუსული რომანის მოქმედება თამაშდება... ეს ქვეყანა არც ერთ სხვა ქვეყანას არ ჰგავს, რომელსაც მე ვიცნობ და იმ გრძნობით ვარ შეპყრობილი, რომ მთელი სიცოცხლე სიამოვნებით ვიცხოვრებდი აქ... მალე ჩვენ ამ ქვეყნიდან წავალთ, მაგრამ მუდამ მექნება უკან დაბრუნების ნატვრა, მე ხომ მტკვრის წყალი დამილევია“.**

ძველ თბილისზე საყურადღებო მოგონებები შემოგვინახეს რუსმა მწერლებმა, ხელოვნების მოღვაწეებმა, მოგზაურებმა.

აი რამდენიმე ჩანაწერიც:

**ევგენი მარკოვი:**

„თბილისი ყოველ შემთხვევაში არის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი არამც თუ რუსეთის იმპერიაში, არამედ მთელს ევროპაში. კიევისა და ნოვგოროდის სიძველენი ახალგაზრდაა თბილისზე მთელი ასეული წლებით“.

**ვასილი სიდოროვი:**

„ქუჩებში ცხოვრება გამოჩნდა და მე ვიგრძენი დიდი ქალაქის მაჯისცემა. საღამოვდებოდა, ყველგან ანთებდნენ ფარნებს. დიახ, ეს იყო ტფილისი, **ჩვენი პლანეტის ერთ-ერთი ორიგინალური ქალაქი.** მე ყოველთვის ვოცნებობდი, ერთხელ კიდევ მოვხვედრილიყავი ამ კურიოზულ, ჭრელ, საქართველოს ძველ დედაქალაქში, დედაქალაქში, რომელსაც მე გადავყავდი ზღაპრების სამყაროში — ათას ერთი ღამიდან „სინდბად მეზღვაურისა“ და „ალადინის ლამპრის ზღაპრებში“.

**კონსტანტინე პაუსტოვსკი:**

„ამ შუქმა და ჰაერის ყინულივით ბრწყინვა-ციმციმმა შემიქმნეს სწორედ პირველი შთაბეჭდილება თბილისზე; როგორც იდუმალებით მოცულ და ხალისიან ქალაქზე. წამით ისიც კი ვთქვი გულში: თბილისი აღმოსავლეთის ფლორენცია ყოფილა-მეთქი. იმხანად რუსეთის უკვე მრავალ ადგილსა და ქალაქს ვიცნობდი. ზოგიერთ ქალაქს დატყვევებულიც ვყავდი თავისი ეშხითა და შნოთი, მაგრამ არასოდეს თვალით არ მენახა **ისეთი დაქსაქსული, ჭრელი, თანაც ლაღი და უმშვენიერესი ქალაქი, როგორიც თბილისი იყო“.**

**იაკობ პოლონსკი** თბილისით მოხიბლული ლექსების ციკლს უძღვნის საქართველოს დედაქალაქს:

**როგორ დავიწყო? ვხეტიალობ ზევით, ხან — ქვევით,**
**მაგრამ არ ვიცი, თუ სადა ვარ, ვეღარ ვერკვევი,**
**ვხედავ, თბილისი ქალაქია ორგინალური...**

ან კიდევ:

**უნდა თბილისში თვით ცხოვრობდე, გიყვარდეს, გძულდეს**
**და მოკრძალებით, დაკვირვებით წვრთნიდე გონებას,**
**ან დაელოდო სანეტარო ზეშთაგონებას...**

გენიალური რუსი კომპოზიტორი **პეტრე ჩაიკოვსკი,** რომელიც თბილისს 1886 წლის აპრილში ესტუმრა, შთაბეჭდილებებით სავსე წერილს უგზავნის მ. ი. ჩაიკოვსკაიას. იგი სწერდა: **„ვიყავი მამადავითის მონასტერში, აქ დაკრძალულია გრიბოედოვი. აქედან თბილისის მომხიბლავი ხედი იშლება... ქალაქი საოცრად ლამაზია. ბაღებში (ისევე, როგორც რომში, შევხვდი მხოლოდ მწვანე მცენარეებს) თავს გაწონებთ ყვავილთა ჯარი... მთავარ ქუჩებზე სიცოცხლე დუღს. მდიდრული მაღაზიები ეროვნული სურნელით გათრობთ... ქალაქი ძალზე საინტერესო და ორიგინალურია... საერთოდ, თბილისზე პირველი შთაბეჭდილება უაღრესად სასიამოვნოა“.**

დიახ, თბილისი მართლაც, რომ პლანეტის ერთ-ერთი ულამაზესი და ორიგინალური ქალაქია.

არაბი პოეტი **რიზკალაჰ ჰასუნი** წერდა:

**დამასკოს აქებს,**
**ვით სამოთხეს,**
**ყურანის სურა,**
**აღმოსავლეთის პოეტებიც**
**მას უმღერიან,**





**1912 წლისთვის თბილისში 23 აფთიაქი და 30 სააფთიაქო მაღაზია ფუნქციონირებდა. ცნობილი ფაქტია, რომ ზემელი ფულს უხდიდა ტრამვაის ვატმანებს, რათა გაჩერებისას ხმამაღლა დაეძახათ: «ზემელის აფთიაქი!»**



**ჰოი, აშუღნო, ალაჰის**
**წიგნს ნუ იღებთ ყურად**
**— „ტფილისი ქვეყნად**
**ყველაფერზე**
**მშვენიერია“.**

ასეთი თბილი სიტყვების შემდეგ მოდი და გაამტყუნე **გრიგოლ ორბელიანი,** კადნიერება როგორ გამოიჩინა და მსოფლიოს ცნობილ ქალაქებს თბილისი როგორ არჩიაო. **გრიგოლ ორბელიანმა** ხომ თქვა: **„კაცს ყველგან შეუძლია იყოს, თუნდა იაპონიაში, თუნდ შვეიცარიაში, თუნდ ინგლისში, მაგრამ ცხოვრებით კი მარტო თბილისში უნდა იცხოვროსო“.**

ფრანგი მოგზაური და ნეგოციანტი **ჟან შარდენი** თავის მოგონებების წიგნში ყველაფერს შეეხო, ალუწერელი არც ქართველი ქალების სილამაზე დარჩენია:

„თბილისი... ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია... საუცხოო და მაგარი კედლითაა შემოზღუდული... თბილისში რამდენიმე ლამაზი საკრებულო შენობაა, ბაზრები, ე. ი. სავაჭრო ადგილები, არის დიდი ქვით ნაშენი და კარგად მოვლილი. ასეთივეა ქარვასლებიც, უცხოელების საცხოვრებელი ადგილები... თბილისის გარეუბნებს მრავალი სალაღობო სახლი და საუცხოო ბაღი ამშვენებს. ქართველების ტომი უმშვენიერესია აღმოსავლეთში და შემიძლია, ვთქვა — მთელს ქვეყანაზედ. იქ არ მინახავს არც ერთი ცუდი სახის ქალი, ანგელოზებივით ლამაზებიც ბევრი შემხვედრია. ქალების უმეტესი ნაწილი ბუნებას ისეთი სიკეკლუციით დაუსაჩუქრებია, რომ სხვა ასეთს ვერსად შეხვდებით. შეუძლებელია, თვალი მოჰკრათ იქაურ ქალს და არ შეგიყვარდეთ. არ შეიძლება, დახატოთ ქართველი ქალების სახესა და ტანადობაზე უმშვენიერესი სახე და ტანადობა“.

თბილისთან პირველმა ნაცნობობამ მოაჯადოვა დიდი ფრანგი რომანისტი „გრაფ მონტე-კრისტოს“ ავტორი **ალექსანდრე დიუმა:**

„ნაშუადღევის ორი საათი იქნებოდა, — იგონებს ა. დიუმა, — როცა ჩვენმა მეეტლემ ერთი მთის წვერიდან დაგვანახვა მოლურჯო ორთქლი და გვითხრა: — აი, თბილისიც.

ისე გამიკვირდა, თითქოს ვისმეს ეთქვას, „აი, სატურნი ან აი, მერკურიო“. ჩვენ უკვე გადაწყვეტილი გვქონდა, რომ თბილისი ისეთი პლანეტაა, რომელსაც ვერასდროს ვეღარ მივაღწევთ, მითუმეტეს, არაფერი გვაუწყებდა, თუ რომელიმე ქალაქს და განსაკუთრებით დედაქალაქს ვუახლოვდებოდით... ნუთუ ეს თბილისია, ეს ქართული სამოთხე, რომელსაც ამდენხანს ველოდით, მხოლოდ ოცნებაში დარჩა? — ამოვიოხრეთ უნებურად, მაგრამ, აი, უეცრად სიხარულისგან შევყვირეთ. გზის გადაღმა, უფსკრულის სიღრმეში ბობოქრობდა მტკვარი. მთის ფერდობზე კი იარუსებად გაშლილიყო და მდინარის ნაპირებამდე ეშვებოდა ქალაქი, თავისი სახლებით მსგავსი დაწიოკებული ჩიტების გუნდისა, რომლებიც თითქოს ისე დამსხდარიყვნენ აქა-იქ, როგორც მოხვედროდათ. ყოველ ნაბიჯზე აღტაცებული შეძახილები ისმოდა:

— აქეთ მოიხედეთ!.. იმ კაცს შეხედეთ! აგერ ხიდი!.. ციხე! იქით, იქით უყურეთ!..

უფრო იქით, უფრო შორს საუცხოო სანახაობა იშლებოდა. ჩვენ გადავიარეთ ხის ხიდი, რომელიც ვერ გავიგე, როგორ ეკიდა სამოცი ფუტით მდინარეზე. როგორც იქნა, მივედით თბილისში. ახლა **დანახულის მიხედვით, უკვე შეგვეძლო, გვეთქვა, რომ თბილისი ამართლებდა ჩვენს მიერ შექმნილ წარმოდგენას“.**

**მოგზაურნი თბილისს მსოფლიოს დედაქალაქად წოდებულ პარიზს ადარებდნენ.**

ფრანგი ბოტანიკოსი **ემილ ლევიე** წერდა:

**„მაღლიდან (ე.ი. მთაწმინდიდან — მ. ჩ.) ქალაქი საღამოს ჟამს მშვენიერი სანახავია. ასე მგონია, ეიფელის კოშკიდან გადავცქერი გაჩირაღდნებულ პარიჟს-მეთქი“.**

რიგ მოგზაურებს თბილისის კოლორიტი, ტრადიციები, ლამაზი ქალები ხიბლავდა, ზოგსაც — მისი ეკონომიკა. სწორედ ამ პოზიციიდან აღიქვეს იგი საფრანგეთის კაპიტალის აგენტებმა. ერთ-ერთი მათგანი, **პესიონელი** შენიშნავდა: „გავსინჯოთ ქალაქ თბილისის მდებარეობა... ჩვენ დავინახავთ, რომ ეს არის ყველაზე მოხერხებული ადგილი სპარსეთთან შავი ზღვით ვაჭრობის მიზნით... ეს გზა იქნება ყველაზე მოკლე და ნაკლები ხარჯების მომცემი... თბილისის მდებარეობა ხდის მას სპარსეთის ყველა ქალაქის კლიტე-გასაღებად“.

საფრანგეთის კონსულს — **გამბას** ასეთი აზრი ჰქონდა თბილისზე: „თბილისში ერთსა და იმავე დღეს მოდიან სოვდაგრები პარიზიდან, შიკრიკები — პეტერბურგიდან, ვაჭრები — კონსტანტინეპოლიდან, ინგლისელები — კალკუტასა და მადრასიდან, სომხები — სმირნასა და ეზდიდან და უზბეკები — ბუხარიდან. ასე რომ, **ეს ქალაქი შეიძლება ჩაითვალოს საკვანძო ადგილად ევროპასა და აზიას შორის**“.

თბილსის ყოფასა და კულტურაზე ბევრი კარგი დაწერილა, მაგრამ უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერებში გვხვდება გულდასაწყვეტი სტრიქონებიც, ისინი მტრისგან აოხრებულ თბილისს ახსენებს მკითხველს. ასეთი თბილისი უნახავს **ამბრაზიო კონტარინის:** „ტფილისი წინად სახელგანთქმული იყო თავისის სიდიდით და ამჟამად კი დაცემულია, მაგრამ ქალაქის ის უბნები, რომლებიც აოხრებას გადარჩენია, ეხლაც კარგად არის დასახლებული“.

თბილისის სილამაზით მოხიბლული ნორვეგიელი მწერალი **კნუტ ჰამსუნი** საქართველოს დედაქალაქს გულისტკივილით ეთხოვება და იმედს გამოთქვამს, რომ იგი კვლავ ეწვევა ამ მომაჯადოებელ ქალაქს, რამეთუ მას მტკვრის წყალი დაულევია. ეს კი, მისი აზრით, საკმარისია ნატვრის ასასრულებლად. „ვიქტორიის“ ავტორი წერდა: **„მაშ, ეს არის თბილისი, ქალაქი, რომელზედაც მრავალ რუს პოეტს დაუწერია და სადაც ბევრი რუსული რომანის მოქმედება თამაშდება... ეს ქვეყანა არც ერთ სხვა ქვეყანას არ ჰგავს, რომელსაც მე ვიცნობ და იმ გრძნობით ვარ შეპყრობილი, რომ მთელი სიცოცხლე სიამოვნებით ვიცხოვრებდი აქ... მალე ჩვენ ამ ქვეყნიდან წავალთ, მაგრამ მუდამ მექნება უკან დაბრუნების ნატვრა, მე ხომ მტკვრის წყალი დამილევია“.**

თბილისი სტუმრებს მარტო ტრადიციებით, ისტორიული ძეგლებითა და კულტურით როდი ხიბლავდა. ქართველი კაცის ბუნება, სტუმართმოყვარეობა, შემართება ყოველთვის იყო მეგობრობის, სიახლოვის ის წყარო, რომელიც საუკუნეების მანძილზე უშრეტად მოედინება ქართული მიწიდან.

დემოკრატიული ჯოჯოხეთი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**300 ათასზე მეტი ბომბისგან გაჩენილი ხანძარი დიდ ფართობს მოედო. ქალაქი სწრაფად აალდა, როგორც გიგანტური კოცონი. ტოკიოს თავზე რამდენიმე ასეული მეტრის სიმაღლის ცეცხლი აგიზგიზდა. ასიათასობით ხის ნაგებობის ერთდროულად აალებამ ცეცხლის შტორმი წარმოქმნა. გავარვარებული ნაკადები ჰაერისა, რომლის ტემპერატურა ცეცხლმოკიდებული ქალაქის თავზე 1000 გრადუს აჭარბებდა, სწრაფად მიიწევდა მაღლა და გარეუბნებიდან ისე სწრაფად შთანთქავდა სუფთა ჰაერის ნაკადებს, რომ მათი სიჩქარე ქარიშხლის სიჩქარეს უტოლდებოდა. ქარის სიჩქარე ისეთი იყო, რომ ადამიანები ფეხზე ველარ დგებოდნენ და მათ გავარვარებული ჰაერის ნაკადები აგიზგიზებულ ცეცხლში მიაქანებდა.**

**1945 წლის 6 აგვისტოს ამერიკელებმა ატომური ბომბი ჩამოაგდეს ჰიროსიმაში, 9 აგვისტოს — ნაგასაკიში და სიცოცხლე მოუსწრაფეს 700 ათასზე მეტ მშვიდობიან მოქალაქეს. რატომ არ გაიზიარა ჰიროსიმასა და ნაგასაკის ბედი იაპონიის დედაქალაქმა, რატომ არ ჩამოაგდეს ატომური ბომბი ამერიკელებმა ტოკიოშიც?**

# რატომ არ ჩამოაგდეს ამერიკელებმა ატომური ბომბი ტოკიოში



## ჰიროსიმასა და ნაგასაკის დაბომბვამდე ოთხი თვით ადრე ამერიკელებმა ნაპალმის ბომბებით ცოცხლად დაწვეს დაახლოებით 3 მილიონი იაპონელი

1945 წლის 9-დან 10 მარტის ღამეს მარიანის კუნძულებიდან 334 ბომბდამშენი B-29 აფრინდა და კურსი ტოკიოსკენ აიღო. თვითმფრინავებს მიჰქონდათ ცეცხლგამჩენი ბომბები, თითოეულს დაახლოებით 1000 ერთეული. ეს მომცრო ბომბები მოთავსებული იყო კასეტებში, თითოეულ ბომბში იყო 7 ლიტრი ნაპალმი ამერიკელი მეცნიერების მიერ ახლახან გამოგონებული სწრაფი აალების თვისების მქონე ნივთიერება, დამზადებული, ძირითადად, ბენზინისგან, რომელსაც დამატებული ჰქონდა მინარევები აალებისა და წვის მომენტში ტემპერატურის მოსამატებლად.

B-29-ებმა სულ 1,5-2 კმ იფრინეს და უკვე ქალაქის თავზე იყვნენ. ღამე იყო მთვარიანი, ხედვა — შესანიშნავი. მდინარე სუმიდა, რომელიც ქალაქის შუაში გადის, ვერცხლისფრად ჩანდა მთვარის შუქზე და შესანიშნავი ორიენტირი იყო მფრინავებისთვის.

იმ წლების ტოკიოში ქვისა და ცემენტის შენობების წილი 5%-ზე ნაკლები იყო, დანარჩენი ერთსართულიანი სახლები აგებული იყო მუყაოსა და ბამბუკისგან. ამ სახლებს ერთმანეთისგან ჰყოფდა ვიწრო ქუჩები. მჭიდროდ დასახლებული ქალაქი იდეალური მიზანი იყო ცეცხლგამჩენი ბომბებისთვის. ტოკიოს მცხოვრებთ, რომლებიც არ ელოდნენ ღამით თავდასხმას, მშვიდად ეძინათ.

**300 ათასზე მეტი ბომბისგან გაჩენილი ხანძარი დიდ ფართობს მოედო. ქალაქი სწრაფად აალდა, როგორც გიგანტური კოცონი. ტოკიოს თავზე რამდენიმე ასეული მეტრის სიმაღლის ცეცხლი აგიზგიზდა. ასიათასობით ხის ნაგებობის ერთდროულად აალებამ ცეცხლის შტორმი წარმოქმნა. გავარვარებული ნაკადები ჰაერისა, რომლის ტემპერატურა ცეცხლმოკიდებული ქალაქის თავზე 1000 გრადუს ცელსიუსს აჭარბებდა, სწრაფად მიიწევდა მაღლა და გარეუბნებიდან ისე სწრაფად შთანთქავდა სუფთა ჰაერის ნაკადებს, რომ მათი სიჩქარე ქარიშხლის სიჩქარეს უტოლდებოდა. ქარის სიჩქარე ისეთი იყო, რომ ადამიანები ფეხზე ველარ დგებოდნენ და მათ გავარვარებული ჰაერის ნაკადები აგიზგიზებულ ცეცხლში მიაქანებდა.**

**ხანძარი უზარმაზარ ფართობზე ბობოქრობდა, ამიტომ ამ ჯოჯოხეთიდან თავის დაღწევა შეძლეს მხოლოდ მათ, ვინც ხანძრის ეპიცენტრიდან მოშორებით იმყოფებოდა ან სწრაფად ხვდებოდა, საით უნდა გაქცეულიყო თავის საშველად.**

ბევრი დაიღუპა არა ცეცხლისგან, არამედ სიცხისა და უჰაერობისგან — რადგან გავარვარებულ ჰაერში ჟანგბადი აღარ იყო, სუნთქვა აღარ შეიძლებოდა. ამიტომ თავშესაფრები, რომლებსაც მოქალაქეები ბომბების აფეთქებისგან უნდა დაეცვა, სასაფლაოდ იქცა მათთვის, ვინც ხსნას იქ ეძებდა.

**41 კვ. კმ-ის ფართობზე ხანძრის ალში ჩაიფერფლა 330 ათასი სახლი, სულ კი ტოკიოს ნაგებობების 40%-ზე მეტი განადგურდა.**

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 1935 წელს ტოკიოს მოსახლეობა 6,4 მლნ კაცს ითვლიდა, 1940 წელს — 7,4 მლნ-ს. მოსახლეობის მოსალოდნელი მომატების ნაცვლად, 1945 წელს, ამერიკელთა დაბომბვის შემდგომ, ტოკიოს მოსახლეობის რაოდენობამ 3,5 მლნ შეადგინა — 3,9 მლნ-ით ნაკლები, ვიდრე 1940 წელს იყო. მაგრამ მხოლოდ ამ მონაცემებით არ შეიძლებოდა დაბომბვის შედეგების განსაზღვრა, რადგან სამხედრო სამსახურში გასაწვევი წლოვანების ბევრი მამაკაცი მოქმედი არმიის რიგებში იყო, მოსახლეობის ნაწილმა კი კატასტროფამდე დატოვა ქალაქი.

**სპეციალისტთა გაანგარიშებით, 1945 წლის დასაწყისში ტოკიოში 5,8 მლნ ადამიანი რჩებოდა, ნაპალმმა, რომელიც კაცობრიობამ მასობრივი განადგურების იარაღად აღიარა, სიცოცხლეს გამოასალმა 5,8-3,5=2,3 მლნ კაცი. ამერიკელებმა ჯოჯოხეთურ ცეცხლში გამოწვეს მშვიდობიანი, უმწეო ადამიანები, ძირითადად, ქალები და ბავშვები. ნაპალმის ბომბების ჩამოყრამ ისეთი დანაკარგი გამოიწვია, რომ ქალაქის მოსახლეობამ 1940 წლის რაოდენობას მხოლოდ 1953 წელს მიაღწია — დემოგრაფიული მაჩვენებლებით, აღდგენას 13 წელი დასჭირდა,** ეს, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ იმის შემდგომ წლებში მოსახლეობის რაოდენობა გაცილებით სწრაფად იმატებდა, ვიდრე ომამდე პერიოდში. 1925-დან 1940 წლამდე, 15 წლის განმავლობაში, ტოკიოს მოსახლეობამ 2,86 მლნ-ით მოიმატა, 1950-დან 1965 წლამდე — 4,59 მლნ-ით.



ბომბდამშენები B-29 ტოკიოს თავზე

დასავლური (ამერიკული) სტატისტიკური მონაცემებით, ტოკიოში ნაპალმის ბომბების ჩამოგდების შედეგად დაიღუპა გაცილებით ნაკლები — 200 ათასი ადამიანი, მაგრამ ჩნდება კითხვა: მაშინ **რით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ 1945 წლის ტოკიოს მოსახლეობა თითქმის 3 მლნ-ით შემცირდა და დემოგრაფიული მონაცემების აღდგენას ათეულ წელზე მეტი დასჭირდა?** შეფასებები და გათვლები, რომლებიც ეყრდნობა რეალურ მონაცემებს ტოკიოს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ, აჩვენებს, რომ მსხვერპლის რაოდენობა დაახლოებით 10-ჯერ მაინც არის შემცირებული.





გენერალი კერტის ლემეი

ამერიკელმა გენერალმა **კერტის ლემეიმ**, რომლის ინიციატივითაც იქნა გამოყენებული ნაპალმის ბომბები ტოკიოსა და სხვა ქალაქების დასაბომბად, მოგვიანებით განაცხადა: **„ვფიქრობ, ომში რომ დავმარცხებულიყავით, მე გამასამართლებდნენ, როგორც სამხედრო დამნაშავეს“.** ამ გენერლის ზნეობრივი პორტრეტისთვის ერთი შტრიხის დამატება შეიძლება: ტოკიოს განადგურების ოპერაციას ლემეიმ **„სამლოცველო სახლი“** უწოდა. ეს სახელწოდება მრავლისმეტყველად მიუთითებს ამერიკელი გენერლის, საზოგადოდ, ამერიკელების ცინიზმზე. ტოკიოზე თავდასხმა იქცა კატასტროფად, თავისი შედეგებით აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ყველაზე მასშტაბურ და საშინელ აქციად ჰიროსიმასა და ნაგასაკის ატომური დაბომბვების შემდეგ. ტოკიოს განადგურება ნაპალმის ბომბებით — ეს არის ერთ მომენტში ყველაზე მასობრივი მკვლელობა კაცობრიობის ისტორიაში. როდესაც წყდებოდა საკითხი ამერიკელების მიერ ატომური დაბომბვის მიზნებზე, ტოკიო არც განიხილებოდა, რადგან ქალაქი 1945 წლის მარტში ცეცხლში ჩაიფერფლა დემოკრატი ამერიკელების „ნაჩუქარი“ ნაპალმის ბომბებით.

ტოკიო 1945 წლის მარტი



**ტოკიოს განადგურება ნაპალმის ბომბებით — ეს არის ერთ მომენტში ყველაზე მასობრივი მკვლელობა კაცობრიობის ისტორიაში. როდესაც წყდებოდა საკითხი ამერიკელების მიერ ატომური დაბომბვის მიზნებზე, ტოკიო არც განიხილებოდა, რადგან ქალაქი 1945 წლის მარტში ცეცხლში ჩაიფერფლა დემოკრატი ამერიკელების «ნაჩუქარი» ნაპალმის ბომბებით**

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

მინისტრის თანაშემწე რებეკა ტოტის „მარცხენა“ შემოსავლის ამბავი მას შემდეგ გამჟღავნდა, რაც მას ჟურნალისტი დაუკავშირდა და მდიდარ კლიენტად გაეცნო. 20 წლის ქალი ორჯერ შეხვდა მას ხუთვარსკვლავიან სასტუმროში და ორივე ჯერზე 750 გირვანქა სტერლინგი მიიღო. „მეგობრულ“ საუბარში წაიტრაბახა, რომ თავისი უფროსის ყველა ნაბიჯის საქმის კურსშია და გულიანად იხალისა ჟურნალისტის შეთავაზებაზე — მორიგი სექსურთიერთობა მინისტრის სამუშაო მაგიდაზე ჰქონოდათ.

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## მოსამართლე — ოჯახის შესახებ, რომელიც 30 წლის განმავლობაში სექსუალურად ძალადობდა ბავშვებზე: ეს იყო პედოფილიის უსაშინელესი შემთხვევა







**ამ ოჯახის მიერ ჩადენილი დანაშაული 30 წლის განმავლობაში ვერ გახსნეს სამხილის არარსებობის გამო. ენტონი პოტასი და მასთან ერთად სამი მისი ნათესავი სჩადიოდნენ დანაშაულს, რომელიც ბავშვების მიმართ არნახული სისასტიკით იყო გამორჩეული. შედეგად, 49 წლის მამაკაცს, რომელიც სასამართლოში დაახასიათეს, როგორც უკიდურესად გარყვნილი, სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, — იუწყება The Sun.**

გისოსებს მიღმა აღმოჩნდნენ ენტონის მშობლები, მისი ცოლი და ოჯახის მეგობარი. თავი დამნაშავედ ცნო პატიმრის ორმა ძმამაც. ყველა მათგანს წაუყენეს ბავშვის გაუპატიურებისა და სქესობრივი აქტის განსახორციელებლად წაქეზების ბრალდება.

**„თქვენ ხართ უკიდურესად გარყვნილი ადამიანი, რომელიც ბოროტად სარგებლობდა ბავშვების გულუბრყვილობით და რყვნიდა მათ. ჩემს 50-წლიან პრაქტიკაში არ მახსოვს ამაზე უარესი რამ“,** — განაცხადა მოსამართლემ.

ეს საშინელი დანაშაული პირველად გაცხადდა 1989 წელს, როცა მსხვერპლთაგან ერთ-ერთმა ილაპარაკა, რაც ხდებოდა. მაგრამ საქმე არც მაშინ აღიძრა, არც — 2015 წლის მაისში, როცა სამმა ბავშვმა, რომლებიც 14 წლისანი არ იყვნენ, განაცხადეს, რომ მათზე იძალადეს: ვერც ამ შემთხვევაში მოიპოვეს სათანადო მტკიცებულებები. მხოლოდ 2016 წელს შეიქნა ცნობილი, რამდენი ბავშვი გააუპატიურეს ამ ხნის განმავლობაში: როგორც იქნა, გამოჩნდნენ მოწმეები.

# ცრუკარდიოლოგის სექსუალური ვნებანი



**58 წლის მამაკაცმა პაციენტს თავი კარდიოლოგად წარუდგინა და შემოწმებისას ინტიმურ ადგილებზე ხელების ფათური დაუწყო. ეს მოხდა ლონდონის ერთ-ერთ საავადმყოფოში, სადაც გამოსაკვლევად ორსული ქალი მიიყვანეს. „ექიმ“ გრეგორ ბოილს ვნების ამოფრქვევის პროცესი მედდამ შეაწყვეტინა, — იუწყება Mirror.**

პოლიციელებს მიაჩნიათ, რომ ამ კაცის მსხვერპლთა რაოდენობა საკმაოდ ბევრია, ხოლო გარყვნილება გვიან გამჟღავნდა იმის გამო, რომ მოტყუებულმა ქალებმა არ იცოდნენ, სინამდვილეში ვინ იყო ეს ავხორცი „კარდიოლოგი“.

2016 წლის სექტემბერში გრეგორმა ყური მოჰკრა მომავალი მსხვერპლის ბოიფრენდის ჩივილს, რომ მისი საყვარელი გულის ტკივილს უჩიოდა, რასაც ორსული ქალის ჯანმრთელობაზე შეიძლებოდა უარყოფითად ემოქმედა. კარდიოლოგად წარუდგა ბოიფრენდს და დახმარება შესთავაზა. უთხრა, რომ ექსპერტულ კვლევაში ფულს არ გამოართმევდა.

ორსული ქალი გრეგორთან მიღებაზე მიიყვანეს. იქ მოხდა ის, რაზეც ინფორმაციის დასაწყისში ვილაპარაკეთ. ექსპერტის „პროცედურულ გამოკვლევას“ შემთხვევით შეესწრო მედდა, რომელიც დაეჭვდა, რომ მამაკაცი „კერძო ექიმი“ იყო და ატეხა ხმაური. საავადმყოფოს თანამშრომლებმა მედიცინის გენერალური საბჭოს რეესტრში გრეგორ ბოილის გვარი ვერ იპოვეს. გარყვნილი მამაკაცი სამედიცინო დაწესებულებაშივე დააპატიმრეს.



# ბრიტანელი მინისტრის თანაშემწე ელიტური მეძავი აღმოჩნდა

**კლიენტთან ერთ შეხვედრაში ეს მეძავი 750 გირვანქა სტერლინგს ითხოვდა და ნებას რთავდა „მუშტარს“, მოქცეოდა ისე, როგორც მოესურვებოდა. მინისტრის ტექნიკურ თანაშემწეს, რომელიც ტორის (ლეიბორისტების) პარტიის კვოტით იყო დანიშნული სახელმწიფო თანამდებობაზე, ჩანს, არ ჰყოფნიდა ხელფასი და ფულს დამატებით გამოიმუშავებდა საკუთარი სხეულის ექსპლუატაციით. მშენებლობის მინისტრ დომინიკ რაებლის მდივანი სექსუალური მომსახურების რეკლამირებას ესკორტსაიტის მეშვეობით ახერხებდა, — იუწყება Daily Mail.**



მინისტრის თანაშემწე **რებეკა ტოტის** „მარცხენა“ შემოსავლის ამბავი გამჟღავნდა მას შემდეგ, რაც მას ჟურნალისტი დაუკავშირდა და მდიდარ კლიენტად გაეცნო. 20 წლის ქალი ორჯერ შეხვდა მას ხუთვარსკვლავიან სასტუმროში და ორივე ჯერზე 750 გირვანქა სტერლინგი მიიღო.

„მეგობრულ“ საუბარში წაიტრაბახა, რომ თავისი უფროსის ყველა ნაბიჯის საქმის კურსშია და გულიანად იხალისა ჟურნალისტის შეთავაზებაზე, მორიგი სექსურთიერთობა მინისტრის სამუშაო მაგიდაზე ჰქონოდათ.

როცა ჟურნალისტი შეეკითხა რებეკას, რისი გაკეთების ნებას დართავდა მასთან ინტიმური კავშირის პროცესში, მეძავმა უპასუხა: „ყველაფრის, რასაც შემომთავაზებთ“. ამჟამად მიმდინარეობს ამ „ჟურნალისტური ექსპერიმენტის“ გამოძიება. MI5-ის უსაფრთხოების სამსახური დაინტერესდა, მინისტრის თანაშემწის აღვირახსნილობა ხომ არ შეიცავს პოტენციურ საფრთხეს, როგორც, საერთოდ, დიდი ბრიტანეთისთვის, ასევე, კერძოდ, პოლიტიკოსისთვის.



კარიერის დასაწყისში რებეკას კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ: კოლეჯის დამთავრების შემდეგ, სწავლის გაგრძელების ნაცვლად, 16 წლის გოგონა სახელმწიფო სამსახურში ჩადგა. ლეიბორისტული პარტია სოციალურ ქსელში წერდა, რომ ძალიან ამაყობს ასეთი ახალგაზრდა თანამშრომლით.

# ცოლ-ქმარი ვაჟიშვილზე ძალადობდა და მის მომსახურებას პედოფილებს სთავაზობდა

**48 წლის ბერინ ტახა და მისი 39 წლის ქმარი კრისტიან ლისი ორი წლის განმავლობაში საკუთარ ვაჟს აიძულებდნენ, სექსუალური კავშირი დაემყარებინა პედოფილებთან. 10 წლის ბიჭისთვის კლიენტებს სუტენიორი მშობლები დარკნეტში (დაფარული ინტერნეტი) პოულობდნენ, — იუწყება Daily Mail.**

კრისტრიან ლისი, ბიჭის მამინაცვალი, რომელიც ყმაწვილს მამად მიაჩნდა, ნასამართლევი იყო ბავშვების მიმართ სასტიკი მოპყრობის ბრალდებით. ამას ხელი არ შეუშლია ბერინ ტახასთვის, იგი საკუთარ სახლში მიეყვანა და შემდეგ ეძალადა შვილზე. სასამართლო სხდომაზე ქალმა განაცხადა, რომ თავდაპირველად ქმრის გულის მოგებას შეეცადა, შემდეგ კი ფულის საშოვნელად გამოიყენა ბიჭი.

ცოლ-ქმარს 60-მდე ბრალდება წაუყენეს, რომელთა შორის იყო მცირეწლოვანის გახრწნა, პროსტიტუციის იძულება, გაუპატიურება და ბავშვთა პორნოგრაფიის გავრცელება. მათთან ერთად სასამართლოს წინაშე წარდგა რამდენიმე კლიენტი-პედოფილი. მაგალითად, ესპანეთის მოქალაქე ბავშვის გაუპატიურებისთვის 10 წლით ციხეში ჩასვეს. ბერინ ტახას 12,5 წლით პატიმრობა მიუსაჯეს, მის ქმარს — 12 წლით. ამას გარდა, შვილს კომპენსაციის სახით 50 ათასი დოლარი უნდა გადაუხადონ. ბიჭი ერთმა ოჯახმა იშვილა და, ადვოკატის თქმით, თავს კარგად გრძნობს.



ყველაზე ყველაზე...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## 1. იგუასუ, ბრაზილია-არგენტინა

იგუასუ 275 ჩანჩქერისგან შედგება, საერთო სიგანე 3 კმ-ზე მეტია. იგუასუ, რომელსაც ქმნის ორი მდინარე — იგუასუ და პარანა, მდებარეობს ბრაზილიასა და არგენტინის საზღვარზე. ეს არის უნიკალური ადგილი, რომელსაც ადგილობრივმა ინდიელებმა თავიანთ ენაზე „დიდი წყალი“ („იგუასუ“) უწოდეს. ევროპელთაგან კი 1541 წელს პირველმა აღმოაჩინა კონკისტადორმა **დონ ალვარო ნუნიეს კასერომ.** ჩანჩქერ იგუასუს ბევრი მიიჩნევს მსოფლიოს მერვე საოცრებად, მის სანახავად ყოველწლიურად არგენტინასა და ბრაზილიაში ასიათასობით ტურისტი ჩადის.



**„თუ ამ პლანეტაზე არსებობს მაგია, მაშინ ის არის წყალში“, — წერდა ცნობილი ამერიკელი ესეისტი, ანთროპოლოგი და ნატურალისტი ლორენ აიზლი. და მართლაც — საკმარისია, ამ აღმაფრთოვანებელი ჩანჩქერებიდან ერთ-ერთი ნახოთ, რომ დარწმუნდეთ ამერიკელი ესეისტის ნათქვამის მართებულობაში.**

# 10 ყველაზე გამორჩეული და ლამაზი ჩანჩქერი მსოფლიოში



## 10. საზერლენდი, ახალი ზელანდია

საზერლენდი ოკეანეთში ყველაზე მაღალი ჩანჩქერია. მისი სიმაღლე 580 მ-ს შეადგენს. ჩანჩქერი მდებარეობს ახალი ზელანდიის ერთ-ერთ თვალწარმტაც ადგილას — ფიორლენდის ნაციონალური პარკის ტერიტორიაზე, რომელიც იუნესკოს მსოფლიოს მემკვიდრეობის სიაშია.

ჩანჩქერი საზრდოობს მთის ტბიდან, რომლიდანც წყალი ჩაედინება მდინარე არტერში და სამხრეთი ალპების წვეროდან მძლავრი ნაკადით ეშვება ქვემოთ.



## 9. დეტიფოსი, ისლანდია

ისლანდია განთქმულია მშვენიერი ჩანჩქერებით, ტბებით, გეიზერებითა და მყინვარებით. ისლანდიის ერთ-ერთი ლამაზი და ცნობილი ჩანჩქერია დეტიფოსი — ევროპის ყველაზე მძლავრი ჩანჩქერი. მდებარეობს ნაციონალურ პარკ იიოკიულსაურგლიუვიურის ტერიტორიაზე და მდინარე იიოკიულსაურგლიუვიურის გაგრძელებაა.

დეტიფოსის სიგანე 100 მეტრია, სიმაღლე — 44 მ (8 მ-ით დაბალია ნიაგარაზე).



## 8. გულფოსი, ისლანდია

გულფოსი (ნიშნავს „ოქროს ჩანჩქერს“) მდებარეობს ისლანდიის სამხრეთ-დასავლეთში, მდინარე ჰვიტას ხეობაში. ეს არის უზარმაზარი ჩანჩქერი, რომელსაც უნიკალური ფორმა აქვს. მას ქმნის სამი განცალკევებული დონე და ორი კასკადი. ზედა დონის სიმაღლე 11 მ-ია, ქვედასი — 21 მ. ხეობის სიღრმე 70 მ-ს შეადგენს.



## 7. კაიეტური, გაიანა

კაიეტური მსოფლიოში ერთ-ერთ მძლავრ და ლამაზ ჩანჩქერად ითვლება. მდებარეობს გაიანაში (სამხრეთი ამერიკა), მდინარე პოტაროზე.

სიმაღლე 226 მეტრია, დაახლოებით 5-ჯერ მეტი ნიაგარაზე და 2-ჯერ მეტი ვიქტორიზე.



## 6. იოსემიტი, კალიფორნია

იოსემიტი კალიფორნიაშია (აშშ), ამავე სახელწოდების ნაციონალურ პარკში. ეს ყველაზე მაღალი ჩანჩქერია ჩრდილოეთ ამერიკაში და მეოცეა მსოფლიოში. იოსემიტის სიმაღლე 739 მ-ია.



## 5. ანხელი, ვენესუელა

ანხელი მსოფლიოში ყველაზე მაღალი ჩანჩქერია. მისი სიმაღლე 979 მ-ს შეადგენს, სიგანე — 107 მ-ს. სახელი ეწოდა მფრინავ ჯეიმს ეინჯელის პატივსაცემად, რომელმაც ჩანჩქერს 1944 წელს გადაუფრინა. ანხელი მდებარეობს ვენესუელის ტროპიკულ ტყეებში, კანაიამას ნაციონალურ პარკში. ჩანჩქერი გადმოდის მთა აუიანტეპუის მწვერვალიდან. წყლის დაცემის სიმაღლე ისეთი დიდია, რომ მიწამდე მხოლოდ ღრუბელი აღწევს.



## 4. სასტავცი, ხორვატია

სასტავცი ყველაზე დიდი და ლამაზი ჩანჩქერია ხორვატიის „პლიტვიცკის ტბების“ ეროვნულ პარკში.

ფირუზისფერი გამჭვირვალე წყალი 72 მ სიმაღლიდან ეცემა.



## 3. ვიქტორია, ზამბია, ზიმბაბვე

ვიქტორია მსოფლიოს ულამაზესი ჩანჩქერია. ის შოტლანდიელმა მოგზაურმა, აფრიკის მკვლევარმა **დევიდ ლივინგსტონმა** აღმოაჩინა 1855 წელს. ჩანჩქერი ვიქტორია მდინარე ზამბეზიზე მდებარეობს, სიგანე 1800 მეტრია, სიმაღლე 107 მ. ხეობის ფსკერზე წუთში ასობით მილიონი ლიტრი წყალი ხმაურით ეხეთქება. ჩანჩქერის ხმაური 20-30 კმ-ის მანძილზე ისმის. ჩანჩქერი ვიქტორია იუნესკოს მსოფლიოს მემკვიდრეობის სიაშია.



## 2. ნიაგარა, აშშ-კანადა

ეს ჩანჩქერი მდებარეობს მდინარე ნიაგარაზე, რომელიც აშშ-ის 5 დიდი ტბიდან 4-ის წყლით საზრდოობს. ნიაგარას, მის მიერ გატარებული დიდი მოცულობის წყლის გამო, ყველაზე მძლავრ ჩანჩქერად მიიჩნევენ ჩრდილოეთ ამერიკაში.

ნიაგარა — ეს არის სამი ჩანჩქერი: ამერიკული ჩანჩქერი (ამერიკის მხრიდან), 20-მეტრიანი ჩანჩქერი ფატა და ჩანჩქერი-ნალი, ანუ კანადის ჩანჩქერი. ნიაგარას სიმაღლე 52 მ-ს შეადგენს, საერთო სიგრძე 1150 მ-ია, მათგან 323 მ ამერიკული ჩანჩქერის სიგრძეა, 792 მ — კანადური ჩანჩქერის.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

„...რუსთავში რუსულ სკოლაში ერთი ბიჭი სწავლობდა, სახელად აზატა, გვარად ველიანცი, მეშვიდე კლასში იყო, როცა დათუნაშვილმა ერთ მატჩში „არარატის“ კარში 5 გოლი გაიტანა. ამით დამდუღრულმა აზატამ დათუნაშვილის ფოტო იშოვა, გაადიდებინა და გაამრავლებინა. ინტერნაციონალურად აღზრდილ-გამობრძმედილმა მშობლებმა კი, რაკი მაუზერი ვერ უშოვეს, შვილს გეკო უყიდეს და, სანამ სკოლას დაამთავრებდა, ეს ჩვენი ნაპიონერალ-ნაკომკავშირალი აზატა სამიზნეში ამოღებულ „დათუნაშვილს“ უბათქუნებდა და უბათქუნებდა თუ თვალებში, თუ ცხვირში, თუ შუბლში... დროდადრო ახლო ნათესავებთან ერევანშიც ჩადიოდა და ყოველი დაბრუნებისას ამხანაგებს ერევანს ედემად უსახავდა“.

სპორტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დათუნაშვილის 5 გოლი და მაჩაიძის მიერ გატანილი ბურთი, რომელმაც პირველი დამარცხება აგემა «რაზდანზე» «არარატს»

**1904 წელს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციათა ასოციაციის (ფიფას) შექმნამდე და 1930 წელს ურუგვაიში მსოფლიოს პირველი საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარებამდე მსოფლიოში საფეხბურთო მატჩები და ტურნირები ქაოსურად იმართებოდა, ეს ხდებოდა, ძირითადად, დიდ ბრიტანეთში, საიდანაც გავრცელდა სპორტის ეს ყველაზე პოპულარული სახეობა მსოფლიოში.**


ილია დათუნაშვილი

პირველი ოფიციალური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში 1872 წლის 30 ნოემბერს გაიმართა გლაზგოში შოტლანდიასა და ინგლისის ნაკრებებს შორის (0:0). მას შემდეგ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ჩამოყალიბდა საფეხბურთო ფედერაცია (ამჟამად ფიფაში 211 წევრია) და იმართება ეროვნული ჩემპიონატი. ზოგიერთმა კლუბმა ისეთ წარმატებას მიაღწია, რომუამრავი თაყვანისმცემელი შეიძინა არა მხოლოდ თავის ქვეყანაში, არამედ მსოფლიოში, შესაბამისად, ბევრია ასეთი კლუბებისადმი როგორც გულშემატკივარი, ისე ანტაგონისტურად განწყობილი გულშემატკივრებიც.

უკვე რამდენიმე ათეული წელია, არ ცხრება მწვავე დაპირისპირება არგენტინის ორ წამყვან კლუბსა და მათ გულშემატკივრებს შორის. ბუენოს-აირესის **„ბოკა ხუნიორსისა“** და **„რივერ პლეიტის“** გულშემატკივრები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ არიან გადაკიდული, თითოეული მათგანისთვის საყვარელი გუნდის გამარჯვება ან მარცხი პირად გამარჯვებად ან მარცხად აღიქმება, რის გამოც ამ ორი გუნდის შეხვედრის შემდეგ გულშემატკივართა შორის ხშირია ფიზიკური დაპირისპირება. ანალოგიური ვითარებაა თურქეთის **„ფენერბახჩესა“** და **„გალათასარაის“** გულშემატკივართა შორის, რომლებსაც არაერთხელ დაურბევიათ სტუმრად ჩასული მოწინააღმდეგის გულშემატკივრები („ფენერბახჩე“ სტამბოლის აზიურ რაიონს წარმოადგენს, „გალათასარაი“ — ევროპულს).

შოტლანდიის ორი ყველაზე წარმატებული კლუბის — **„სელტიკისა“** და **„რეინჯერსის“** გულშემატკივრებს შორის დაპირისპირება განპირობებულია, უწინარესად, რელიგიით. „სელტიკს“ გულშემატკივრობენ კათოლიკეები, „რეინჯერსს“ — პროტესტანტები. ერთმანეთთან არიან დაპირისპირებული ინგლისური კლუბებიც — ლონდონის **„არსენალი“** და **„ტოტენჰემ ჰოტსპური“**, აგრეთვე, **„მანჩესტერ უნაიტედი“** და **„ლივერპული“**; იტალიაში — **მილანის „მილანი“** და **„ინტერი“**, ესპანეთში კი — მადრიდის **„რეალი“** და ბარსელონას **„ბარსელონა“**, ეს დაპირისპირება „ელ კლასიკის“ სახელითაა ცნობილი.

სხვათა შორის, 1969 წელს ფეხბურთის გამო **ჰონდურასსა და სალვადორს** შორის დაიწყო ომი, რომელმაც რამდენიმე ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ასეთი დრამატული და სისხლიანი დაპირისპირება არა, მაგრამ საკმაოდ მწვავე მეტოქეობა იყო საბჭოთა პერიოდში თბილისის „დინამოსა“ და ერევნის „არარატს“ შორის. ეს, უწინარესად, განპირობებული იყო სომხების მონდომებით, რადაც უნდა დაჯდომოდათ, მოეგოთ თბილისელებისთვის. თბილისის „დინამოელები“ კი ერევნის „არარატს“ (მანამდე, ჯერ „დინამოს“, შემდეგ კი „სპარტაკის“ სახელით გამოდიოდა სსრკ-ის ჩემპიონატებში და ისიც არარეგულარულად, სომხეთის პირველმა გუნდმა მხოლოდ 1960-იანი წლებიდან დაიწყო სსრკ-ის ჩემპიონატში რეგულარულად მონაწილეობა) ანგარიშგასაწევ ძალად არ თვლიდნენ.


მანუჩარ მაჩაიძე

თბილისის „დინამო“ და ერევნის „არარატი“ სულ 69-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. 30 მატჩი მოიგეს დინამოელებმა, 18 — არარატელებმა. სხვათა შორის, სომხებმა ფეხბურთშიც გამოიყენეს სხვისი მიღწევების მითვისების ნიჭი. ფეხბურთის ძველ გულშემატკივარს ემახსოვრება, რომ საბჭოთა პერიოდში მოსკოვში, აგრეთვე, 15-ვე რესპუბლიკის დედაქალაქში გამოიცემოდა ყოველწლიური „საფეხბურთო ცნობარი“ (რუსულ და ადგილობრივ ენაზე), რომელშიც შეტანილი იყო სსრკ-ის წინა წლის საფეხბურთო ჩემპიონატის შედეგები, ჩემპიონატში მონაწილე გუნდების შემადგენლობები, ერთმანეთში ნათამაშები მატჩების სტატისტიკური მონაცემები და ა.შ. 1977 წელს ერევანში მომიწია რამდენიმე დღით სტუმრობამ და იქ შევიძინე სწორედ სომხეთში გამოცემული „საფეხბურთო ცნობარი — 1977“, რომელშიც „დინამოსა“ და „არარატის“ შეხვედრის შედეგები თავდაყირა იყო მოცემული: „არარატს“ მეტი მოგება ეწერა, „დინამოს“ — მეტი წაგება. არადა, იმხანადაც და, საერთოდ, ყოველთვის პირიქით იყო — „დინამოს“ გაცილებით მეტი გამარჯვება აქვს მოპოვებული „არარატზე“.

საზოგადოდ, „თბილისის“ დინამოსა და ერევნის „არარატის“ შეხვედრებიდან გამოსაყოფია 5 თამაში, რომლებზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.


„დინამო“ - „არარატი“

## დათუნაშვილის 5 გოლი 30 წუთში

1966 წლის 22 სექტემბერს თბილისის დინამოელმა **ილია დათუნაშვილმა** ერევნის „არარატთან“ მატჩში საკავშირო ჩემპიონატების რეკორდი დაამყარა — პირველად ისტორიაში ერთ მატჩში გაიტანა 5 გოლი, თანაც 30 წუთში (პირველი 48 წთ-ზე, მეორე — 77-ზე). აი როგორ აღწერს ცნობილი ქართველი დრამატურგი (ავტორი პიესებისა „ეზოში ავი ძაღლია“, „ამბავი სიყვარულისა“) და პუბლიცისტი („ასეთი გრძელი, გრძელი წერილი ვიქტორ ასტაფიევს“ და სხვ.) **კიტა ბუაჩიძე** საქართველოში მცხოვრები სომხების დამოკიდებულებას თბილისის დინამოელებისადმი ზემოაღნიშნული მატჩის შემდეგ:

„...რუსთავში რუსულ სკოლაში ერთი ბიჭი სწავლობდა, სახელად აზატა, გვარად ველიანცი, მეშვიდე კლასში იყო, როცა დათუნაშვილმა ერთ მატჩში „არარატის“ კარში 5 გოლი გაიტანა. ამით დამდუღრულმა აზატამ დათუნაშვილის ფოტო იშოვა, გაადიდებინა და გაამრავლებინა. ინტერნაციონალურად აღზრდილ-გამობრძმედილმა მშობლებმა კი, რაკი მაუზერი ვერ უშოვეს, შვილს გეკო უყიდეს და, ვიდრე სკოლას დაამთავრებდა, ეს ჩვენი ნაპიონერალ-ნაკომკავშირალი აზატა სამიზნეში ამოღებულ „დათუნაშვილს“ უბათქუნებდა და უბათქუნებდა თუ თვალებში, თუ ცხვირში, თუ შუბლში... დროდადრო ახლო ნათესავებთან ერევანშიც დადიოდა და ყოველი დაბრუნებისას ამხანაგებს ერევანს ედემად უსახავდა... ერთხელ ტოლებმა ჰკითხეს, თუ ასე კარგია, რატომ საცხოვრებლად იქ არ გადახვალო, პოტენციურმა ვაზგენ ხატისოვმა მათ ასეთი პასუხი გასცა: „Мы, армяне, хитрый народ. Наша цель — рассеятся по всей Грузии и завладеть ею!“

## „დინამო“ – „არარატი“: მწარე მარცხი თბილისში

1971 წელს „დინამოში“ თაობათა ცვლის პროცესი მიმდინარეობდა და გუნდს კარგი შედეგები არ ჰქონდა, ერევნის „არარატი“ კი პირიქით აღმავლობის გზაზე იდგა. 1971 წლის 3 მაისს თბილისში „ლოკომოტივის“ სტადიონზე გამართულ მატჩში ქართველმა ფეხბურთელებმა მწარე მარცხი იწვნიეს სომეხი კოლეგებისგან — 0:4, ორი ბურთი გაგვიტანა **მარქაროვმა**, თითოთითო — **ზანაზანიანმა** და **ბონდარენკომ**.

## მაჩაიძის გოლი და „არარატის“ პირველი მარცხი „რაზდანზე“

1971 წლის მაისში თბილისში გამანადგურებელი ანგარიშის მოგებით გაყოყოჩებული სომხები, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ ახალი სტადიონის გახსნა ოფიციალურად 19 მაისს გამოაცხადეს, ამბობდნენ, რომ „რაზდანს“ ნამდვილი გახსნა იმავე წლის 14 სექტემბერს გაიმართებოდა საზეიმო ვითარებაში, როცა „არარატი“ დაამარცხებდა თბილისის „დინამოს“. ამ ღირსშესანიშნავ მატჩს დაესწრო 70 ათასი მაყურებელი, რომელიც თბილისელთა შესანიშნავი თამაშის მომსწრე შეიქნა. ბრწყინვალედ ითამაშა დინამოელთა ახალგაზრდა მეკარე **თამაზ სტეფანიამ** (სამწუხაროდ, მოგვიანებით ავტოავარიაში დაიღუპა), **დავით ყიფიანმა** და განსაკუთრებით — **მანუჩარ მაჩაიძემ**, რომელიც ფაფარაშლილი ლომივით იბრძოდა და რომელსაც ერევნელებმა ვერაფერი მოუხერხეს.

ასე აღწერს „სოვეტსკი სპორტის“ მიმომხილველი ამ მატჩის ერთადერთ გოლს: „დავით ყიფიანმა სამი მცველი მოატყუა და ბურთი გაუგორა მანუჩარ მაჩაიძეს, ვისი დარტყმაც ზუსტი აღმოჩნდა“. ამის შემდეგ დინამოელებს კიდევ ორი ბურთი უნდა გაეტანათ, მაგრამ არარატელთა კარი ორივეჯერ ძელმა იხსნა.

## 3:0 – 1976 წლის თასის ფინალი

1976 წლის 3 სექტემბერს თბილისის „დინამომ“ პირველად მოიპოვა სსრკ-ის თასი, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე 5-ჯერ ითამაშეს ფინალში, თუმცა 5-ჯერვე უშედეგოდ.

თასის ამ გათამაშების ფინალში, რომელიც მოსკოვში გაიმართა, „დინამოს“ მეტოქე იყო ერევნის „არარატი“, რომელსაც უკვე ორჯერ ჰქონდა მოპოვებული ეს საპატიო ჯილდო (სსრკ-ის თასი „დინამომ“ მეორედ 1979 წელს მოიპოვა). ამ მეტად პრინციპულ შეხვედრაში „დინამოელებმა“ იმარჯვეს ანგარიშით 3:0. ბურთი გაიტანეს **დავით ყიფიანმა, ფირუზ კანთელაძემ** და **რევაზ ჩელებაძემ.**

## 10 კაცით 11-ის წინააღმდეგ და 4:1

ეს მატჩი 1981 წლის 11 ივლისს გაიმართა ერევანში სტადიონ „რაზდანზე“. „დინამოს“ ევროპის თასის მფლობელთა თასი მოპოვებული ჰქონდა და სომხებისთვის ამაზე კარგი სტიმული რა იქნებოდა, თუ ტიტულოვან მეტოქეს დაამარცხებდნენ. მატჩის პირველ ტაიმში ივანო-ფრანკოვსკელმა მსაჯმა სტუპარმა სრულიად უმიზეზოდ მოედნიდან გააძევა **თენგიზ სულაქველიძე** და თბილისელები 10 კაცით დარჩნენ 11-ის წინააღმდეგ. ამ მომენტში იყო 1:1, მაგრამ მეორე ტაიმში თბილისელებმა სამი უპასუხო ბურთი გაიტანეს: 2 — რამაზ შენგელიამ, 1 — ვიტალი დარასელიამ და მატჩი მოიგეს ანგარიშით 4:1.

**ნიკა კორინთელი**



# კონვენცია კასპიის ზღვის სტატუსის შესახებ — ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი

**12 აგვისტოს ყაზახეთის აქტაუში რუსეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, თურქმენეთისა და ირანის ლიდერების შეხვედრაზე ხელი მოაწერეს კასპიის ზღვის კონვენციას, რომელზეც მუშაობა 22 წელიწადს გრძელდებოდა.**

ექსპერტების აზრით, კონვენცია შეიძლება შეფასდეს, როგორც რევოლუცია, როგორც საერთაშორისო სამართალში შეტანილი უდიდესი წვლილი.

კასპიის ზღვის სტატუსის კონვენციის თანახმად, წყლის ზედაპირის ძირითადი ფართობი მხარეთა საერთო სარგებლობაში რჩება, ფსკერსა და წიაღისეულს კი მეზობელი სახელმწიფოები გაინაწილებენ საერთაშორისო სამართლის საფუძველზე ურთიერთშეთანხმებით დაყოფილი ნაკვეთების მიხედვით. ნაოსნობა, თევზჭერა, სამეცნიერო კვლევები და მაგისტრალური მილსადენების გაყვანა განხორციელდება მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმებით. მასშტაბური საზღვაო პროექტების რეალიზაციისას აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ეკოლოგიური ფაქტორი.

**კონვენციის მიხედვით, კასპიის რეგიონში დაუშვებელია არარეგიონული სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების არსებობა.** კასპიისპირა სახელმწიფოებს პასუხისმგებლობა ეკისრება ზღვაზე უსაფრთხოების დაცვისა და მისი რესურსების მმართველობის საკითხებზე.



# «დიდგორობა — 2018»

**დიდგორის ბრძოლა — ძლევაი საკვირველი 1121 წლის 12 აგვისტოს გაიმართა დავით IV აღმაშენებლის მეთაურობით თურქ-სელჩუკთა კოალიციური ლაშქრის წინააღმდეგ თბილისის მისადგომებთან — დიდგორის ველზე.**

**დიდგორის ბრძოლაში გამარჯვებამ შესაძლებელი გახადა ქვეყნის საბოლოო გათავისუფლება და დასაბამი მისცა ოქროს ხანას საქართველოს ისტორიაში. საქართველომ საბოლოოდ დაიმკვიდრა რეგიონის უძლიერესი სახელმწიფოს სახელი.**

წელს დიდგორის ბრძოლიდან 897-ე წლისთავი აღინიშნა. საზეიმო მსვლელობა მუშტაიდის ბაღიდან ახალგაზრდების მსვლელობით დაიწყო, შემდეგ კი დიდგორის ველზე გადაინაცვლა.

ღონისძიება საქართველოს სახელმწიფო ჰიმნით გაიხსნა.

საქართველოს პრემიერმინისტრმა **მამუკა ბახტაძემ,** თავდაცვის მინისტრმა **ლევან იზორიამ** და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა მოწვეულ სტუმრებსა და მოსახლეობას დიდგორობა მიულოცეს და 9 საუკუნის წინანდელი გამარჯვების მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

ცერემონია საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეების დაჯილდოებით გაგრძელდა. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების დასავლეთ სარდლობის მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის უფროს ლეიტენანტ **ალუდა ჩიქოვანსა** და კაპრალ **რევაზ ყოლბაიას** უწყებრივი მედლები „დიდგორის ჯვარი" გადასცა.

აღნიშნული ჯილდო თავდაცვის სამინისტრომ და გენერალურმა შტაბმა, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, 2014 წელს დააწესა და ყოველი წლის 12 აგვისტოს დიდგორის ველზე გამორჩეულ სამხედროებს გადასცემს.

სახალხო დღესასწაული „დიდგორობა — 2018" ხალხური სიმღერებითა და ფოლკლორული ანსამბლების კონცერტით გაგრძელდა. ასევე ჩატარდა შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

# რა «შეეშალა» საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ დავით ზალკალიანის განცხადებით, 23-24 აგვისტოს საქართველოს გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი ეწვევა.**



„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია გერმანიის კანცლერის ვიზიტი საქართველოში. საქართველოსთან ერთად, ის ეწვევა სამხრეთ კავკასიის რეგიონს. მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის მხრიდან, რომელიც არის საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ძალიან მყარი მხარდამჭერი, გვაქვს ასეთი მაღალი დონის ვიზიტი. წინა ვიზიტი ათი წლის წინათ განხორციელდა და ვფიქრობ, დროის თვალსაზრისით, ამ ვიზიტს აქვს მართლაც ძალიან დიდი მნიშვნელობა. რეგიონში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, იმ გამოწვევების ფონზე, რომლებიც ჩვენს ქვეყანას აქვს, გერმანიის მხარდაჭერა ევროკავშირში და ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციაში ძალიან მნიშვნელოვანია", — განაცხადა ზალკალიანმა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს გერმანიის მხარდამჭერზე ლაპარაკისას, რბილად რომ ვთქვათ, დაავიწყდა ეთქვა მნიშვნელოვანი, ან შეგნებულად დაუშვა შეცდომა, თანაც ძალიან დიდი:

**ყველასთვის ცნობილია, რომ გერმანია არათუ მხარდამჭერია ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს გაწევრებისა, არამედ თავიდანვე, როგორც ეს საკითხი დადგა დღის წესრიგში, ყველაზე დიდი მოწინააღმდეგეა საფრანგეთთან ერთად, რადგან არ სურს, აუტკივარი თავი აიტკივოს და ნატოში საქართველოს ინტეგრირების გამო რუსეთს დაუპირისპირდეს.**

და კიდევ — გერმანიის კანცლერი საქართველოში ჩამოსვლამდე, 18 აგვისტოს, რუსეთის პრეზიდენტ პუტინს შეხვდება და მასთან შეთანხმებული რეკომენდაციებით დამოძღვრავს საქართველოს ხელისუფლებას და არა მხოლოდ მას.

# საქართველოში ადრიანო ჩელენტანოს ელოდებიან



**პოპულარულ იტალიელი მუსიკოსი და მსახიობი კონცერტს თბილისში გაისად, მარტში გამართავს.**

„ლეგენდარულ იტალიელ მსახიობსა და მომღერალს, ადრიანო ჩელენტანოს, თბილისში 2019 წლის მარტში ველოდებით", — განაცხადაა კომპანია Fix Group-ის მენეჯერმა ირაკლი კაკაბაძემ. ვარსკვლავის კონცერტი დაგეგმილია თბილისის საკონცერტო დარბაზში. საღამო სიმფონიური ორკესტრის თანხლებით ჩაივლის. ბილეთები 28 აგვისტოდან გაიყიდება. მისი შეძენა შესაძლებელი იქნება ონლაინ, ვებგვერდზე biletebi.ge.

კონცერტის ორგანიზატორია Fix Group-ი. კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, ერთადერთი, რის გამოც შეიძლება ჩელენტანოს კონცერტი გადაიდოს, მსახიობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებაა — მას 2019 წელს 81 წელი უსრულდება.

# 2016-2017 სასწავლო წლებში სკოლაში სწავლა 11 741-მა მოსწავლემ შეწყვიტა

**საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მონაცემებით, რომლებიც საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსმა" გამოითხოვა, 2016-2017 სასწავლო წლებში სკოლაში სწავლა 11 741-მა მოსწავლემ შეწყვიტა. აღნიშნულ პერიოდში საშუალო საფეხურზე (X-XII კლასები) სწავლა ვერ განაგრძო 8300-მა, ხოლო საბაზო საფეხურის (VII-IX კლასები) დასრულებამდე — 3441 მოსწავლემ.**

სკოლაში სწავლას ყველაზე მეტმა მოსწავლემ თბილისში დაანება თავი. კერძოდ, საშუალო საფეხურზე სწავლა შეწყვიტა 2168-მა მოსწავლემ, ხოლო საბაზო საფეხურის დასრულებამდე — 1348-მა მოსწავლემ. რაც შეეხება რეგიონებს, თბილისის შემდეგ ყველაზე მეტმა მოსწავლემ სკოლა ქვემო ქართლსა და კახეთში დატოვა. ქვემო ქართლში საშუალო საფეხურზე სწავლა ვერ გააგრძელა 1835-მა მოსწავლემ, ხოლო საბაზო საფეხურის დასრულებამდე — 828 მოსწავლემ. კახეთში საშუალო საფეხურზე სწავლა შეწყვიტა 891-მა მოსწავლემ, ხოლო საბაზო საფეხურის დასრულებამდე — 327-მა.

როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მოწოდებული სტატისტიკიდან ირკვევა, 2016-2017 სასწავლო წლებში საშუალო საფეხურზე აფხაზეთში სკოლა დატოვა 64-მა მოსწავლემ, აჭარაში — 764-მა, გურიაში — 270-მა, იმერეთში — 738-მა, მცხეთა-მთიანეთში 181-მა, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში — 37-მა, სამეგრელო-ზემო სვანეთში — 636-მა, სამცხე-ჯავახეთში — 312-მა, ხოლო შიდა ქართლში — 404-მა მოსწავლემ. საბაზო საფეხურის დასრულებამდე აფხაზეთში სკოლა დატოვა 18-მა მოსწავლემ, აჭარაში — 226-მა, გურიაში — 36-მა, იმერეთში — 235-მა, მცხეთა-მთიანეთში — 32-მა, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში — 2-მა, სამეგრელო-ზემო სვანეთში — 128-მა, სამცხე-ჯავახეთში — 156-მა, ხოლო შიდა ქართლში — 105-მა მოსწავლემ.

რაც შეეხება მიზეზებს, 2016-2017 სასწავლო წელს საბაზო საფეხურზე ავადმყოფობის გამო სწავლა ვერ განაგრძო 96-მა, ხოლო საშუალო საფეხურზე — 78-მა მოსწავლემ. სწავლის შეწყვეტის სხვა მიზეზებად განათლების სამინისტრო საზღვარგარეთ მოსწავლეების ოჯახთან ერთად გამგზავრებას, მუშაობის დაწყებას, სკოლიდან გარიცხვას და სხვა მიზეზებსაც ასახელებს.

ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894